პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

სამშაბათი, 1 სექტემბერი 1936 წ. № 202 (4701)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენება, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, წარმოადგენს თვითეული კომუნისტის, კომკავშირელის, არაპარტიული ბოლშევიკის, სოციალისტური მინდვრების სტახანოველის, დამკვრელის, ყველა მშრომელის გაშლილ ბოლშევიკურ სამოქმედო, საბრძოლო პროგრამას.

წინ, ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი ძლიერი აღმავლობისკენ!

ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1936 წლის 25 აგვისტოს

I. საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებანი საქართველოს სოფელში

ამხანაგებო! როგორც იცით, 1929-31 წლებში საქართველოში დაშვებული იყო სერიოზული პოლიტიკური შეცდომები გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევაში. ეს შეცდომები გამოიხატა უხეში ადმინისტრირებით საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში, სოფლის მეურნეობის განვითარების არასწორი დაგეგმვით, დამახინჯებებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებათა დარგში და პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი პოლიტიკური მუშაობით გლეხობის მასებს შორის.

ამ შეცდომებმა საქართველოს გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს შეურყიეს რწმენა კოლმეურნეობებისადმი.

უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი გულდასმითი მუშაობა ჩაატარეს დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, რათა შეეჩერებინათ კოლმეურნეობათა შემდგომი ნგრევა, ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად განემტკიცებინათ დარჩენილი კოლმეურნეობანი და საქმით ეჩვენებინათ საქართველოს გლეხობისათვის საკოლმეურნეო წყობილების ყველა უპირატესობა.

ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცხოვრებაში დიდი მოვლენა მოხდა.

კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ, რომელიც 1935 წლის გაზაფხულზე შედგა, მიიღო ისტორიული დოკუმენტი საკოლმეურნეო წყობილების განსამტკიცებლად — **საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდება.**

სტალინური წესდების გამოყენება საქართველოს კოლმეურნეობებში შეიქმნა გადამწყვეტ პირობად საქართველოს კოლმეურნეობათა ზრდისა და განმტკიცებისათვის უკანასკნელ წლებში.

1931 წელს საქართველოში იყო 2.039 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 96.143 მეურნეობა, რაც მხოლოდ 21,8 პროცენტს შეადგენდა.

ახლა კი საქართველოში არის 4.417 კოლმეურნეობა, მათში გაერთიანებულია 363.015 მეურნეობა, **რაც 74,4 პროცენტს შეადგენს.**

საქართველოში კოლექტივიზაციის ეს ზრდა წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკთა დიდ გამარჯვებას გლეხობის ხელმძღვანელობის საქმეში, პარტიის ხაზის სწორად განხორციელების საქმეში.

საქართველოში კოლექტივიზაციის ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში და სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში.

მარცვლეულის დარგში საქართველოს კოლმეურნეობანი აბარებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საერთო გეგმის 95,8 პროცენტს; ჭარხლის დარგში — 92 პროცენტს, ბამბის დარგში — 82 პროცენტს, თამბაქოს დარგში — 82,2 პროცენტს, ჩაის დარგში — 70 პროცენტს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად საქართველოს კოლმეურნეობანი აბარებენ ჩაის გეგმის 100 პროცენტს.

კოლმეურნეობათა ზრდასთან და განმტკიცებასთან ერთად გაიზარდა მათი განსაზოგადოებული საშუალებანი.

თუ 1931 წელს კოლმეურნეობათა ყველა განსაზოგადოებული ფონდის ღირებულება დაახლოვებით 81 მილიონ მანეთს უდრიდა, ამჟამად იგი 210 მილიონ მანეთს უდრის.

თუ 1931 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი მხოლოდ 32.523 ათას მანეთს უდრიდა, 1935 წელს მან უკვე 230 მილიონ მანეთს მიაღწია.

თუ 1931 წელს ანარიცხები კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში მხოლოდ 3.144 ათას მანეთს უდრიდა, 1935 წელს ეს ანარიცხები 21 მილიონ მანეთს უდრის, ხოლო 1936 წლის გეგმით 34.508 ათას მანეთს უნდა შეადგენდეს.

კოლმეურნეობათა ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად, მათი მეურნეობის აღმავლობასა და განვითარებასთან ერთად მატულობს კოლმეურნეთა შემოსავლიანობა.

1931 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლიდან შრომადღეების მიხედვით განაწილებული იყო მხოლოდ 18 მილიონი მანეთი, რაც შეადგენდა კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის 58 პროცენტს, და ერთი შრომადღის ღირებულება უდრიდა 1 მან. და 20 კაპიკს.

1935 წელს შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც შრომადღეების მიხედვით ნაწილდება, კოლმეურნეობებში ავიდა 144 მილიონ მანეთამდე, რაც შეადგენს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 63 პროცენტს, და შრომადღის ღირებულება, თუ შემოსავლის ნატურალურ ნაწილს გადავიანგარიშებთ ფულზე სახელმწიფო დამზადების ფასებში, ავიდა 3 მანეთსა და 32 კაპიკამდე.

საქართველოში კოლმეურნეობათა ზრდისა და განმტკიცების ეს ციფრები იმას მოწმობენ, რომ **საქართველოს გლეხობა მტკიცედ მიდის კოლმეურნეობათა გზით, ლენინ-სტალინის პარტიის ნაჩვენები გზით, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს სოფელში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა.**

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებანი პარტიულსა და საბჭოთა ორგანიზაციებს აკისრებენ ახალს დიდსა და პასუხსაგებ ამოცანებს კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმის ხელმძღვანელობაში, სას. სამ. არტელის სტალინური წესდების ყოველი მუხლის განუხრელად განხორციელებაში.

ამხანაგი **სტალინი** ჯერ კიდევ 1933 წელს თავის გამოსვლაში საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე სოფლად მუშაობის საკითხების შესახებ ამბობდა:

„ჩვენ ყველას გვახარებს ის, რომ ჩვენს პურის რაიონებში მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა გახდა გაბატონებულ ფორმად. მაგრამ ყველას როდი ესმის ის, რომ ეს გარემოება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას და ჩვენს პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ბევრი ფიქრობს, რომ, რაკი ამათუიმ რაიონში, ამათუიმ ოლქში მიღწეულია კოლექტივიზაციის, ვთქვათ, 70 ან 80 პროცენტი, ამით უკვე ყველაფერი მოცემულია, და ჩვენ შეგვიძლიან საქმე მივანდოთ მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, საქმე მივანდოთ თვითდინებას იმ მოსაზრებით, რომ კოლექტივიზაცია თითქოს თვითონ გააკეთებს თავის საქმეს, თვითონ ასწევს სოფლის მეურნეობას. მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა, ამხანაგებო. **ნამდვილად კი გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში**“. (ხაზგასმა ჩემია—ლ. ბ.).

ამხანაგი **სტალინის** ეს მითითება საქართველოს ბოლშევიკებმა მტკიცედ უნდა შეითვისონ.

საქართველოში კოლექტივიზაციის 38,5 პროცენტიდან, რომელიც 1935 წლის 1 იანვრისათვის გვქონდა, 1½ წლის განმავლობაში კოლექტივიზაციის დონე ავიდა 74,4 პროცენტამდე. რაიონთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით კოლექტივიზაციის ზრდის შემდეგი სურათი გვაქვს: კახეთის რაიონებში 1935 წლის 1 იანვრისათვის საშუალოდ იყო კოლექტივიზაციის 30,5 პროცენტი, ახლა კი 74,5 პროცენტია; გუდაუთის რაიონში, აფხაზეთში, იყო 13,5 პროცენტი, ახლა კი—89,2 პროცენტია; ახალციხის რაიონში იყო 10,3 პროცენტი, ახლა კი 40,8 პროცენტია.

ამრიგად, საქართველოს სოფელში მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა შეიქმნა მეურნეობის უპირატეს ფორმად, ხოლო ეს, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა,—„კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტიული ორგანიზაციების ზრუნვას და მათს პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის“.

უნდა კი ითქვას პირდაპირ, რომ ჩვენში **ახლაც კი** არიან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებზედაც ამხანაგი **სტალინი** ამბობდა, რომ მათ ვერ გაიგეს თავისი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კოლექტივიზაციის ზრდასთან დაკავშირებით. ვერ უზრუნველჰყვეს გაზრდილ კოლმეურნეობათა ჯეროვანი ხელმძღვანელობა. მაშ სხვა რითი უნდა აიხსნას ის სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ც. კ-მა უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინა ყაზბეგის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის ბაშკიჩეთის და ალბულაღ-მანგლისის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში?

საჭიროა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ ამ რაიონებისა და ოლქის როგორც პარტიულმა, ისე საბჭოთა ხელმძღვანელებმა ცუდად გაიგეს თავიანთი მუშაობის შეცვლილი პირობები კოლექტივიზაციის ზრდასთან დაკავშირებით.

იმის ნაცვლად, რომ გაეძლიერებინათ კოლმეურნეობათა მიმართ ოპერატიული ხელმძღვანელობა, დაეხმარებით და გულდასმით ემუშავნათ თვითეული ცალკე კოლმეურნეობის, ცალკე ბრიგადის, თვითეული საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმის განმტკიცებაზე, კოლმეურნეობებში შემსვლელი ყველა ახალი გლეხური მეურნეობის დამაგრებაზე, მათ საქმე თვითდინებას მიანდეს, სჩანს, ფიქრობდნენ, რომ „კოლექტივიზაცია თითონ გააკეთებს თავის საქმეს, თითონ ასწევს სოფლის მეურნეობას“.

ეს მათი უხეში შეცდომაა.

მაგრამ მართალი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლექტივიზაციის ზრდასთან დაკავშირებით კოლმეურნეობების განმტკიცების ამოცანათა შეუფასებლობა მხოლოდ ჩამოთვლილ რაიონებშია. იგი არის აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებშიც, აგრეთვე აფხაზეთსა და აჭარაშიც.

გაითვალისწინა რა კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დასახული დიდი ამოცანები, ც. კ-ის ბიურომ გადასწყვიტა საქართველოს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების შემდგომ ღონისძიებათა საკითხი სპეციალურად დაეყენებინა განსახილველად საქართველოს კომპარტიის ც. კ-ის ამ პლენუმზე.

II. როგორ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. კოლმეურნეობათა განმტკიცება და ზრდა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად და განუხრელად გატარდება ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება.

თქვენ იცით, რა მუშაობა შეასრულა საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-მა იმ ღონისძიებათა დასამუშავებლად, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღებასთან იმ სანიმუშო წესდების საფუძველზე, რომელიც მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ და დაამტკიცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ც.-კმა 1935 წლის 17 თებერვალს.

ეს ღონისძიებანი, საქართველოს თავისებურებასა და პირობებთან შეფარდებით, ითვალისწინებდნენ საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობას, კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის პირუტყვის რაოდენობას საქართველოს რაიონების ცალკე ჯგუფების მიხედვით და მთელ რიგ სხვა საკითხებს, რომელთა მიზანია კოლმეურნის პირადი ინტერესების სწორი შეთანხმება მის მუშაობასთან საკოლმეურნეო წარმოებაში.

საქართველოს კოლმეურნეობათა ზრდა და განმტკიცება უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორი განხორციელების შედეგია.

მაგრამ შედეგები შეიძლებოდა გაცილებით უფრო დიდი ყოფილიყო, რომ პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციებს, მიწსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფრო უკეთ ეხელმძღვანელნათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყოველი მუხლის განხორციელებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიურო ყოველდღე ამოწმებდა, ესმარებოდა და ასწორებდა შეცდომებსა და ნაკლოვანებებს წესდების გამოყენების საქმეში, მაინც საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არის აშკარა ნაკლოვანებანი და წესდების ცალკე მუხლების დარღვევა.

○

ავიღოთ წესდების მეორე კარი — მიწის შესახებ. წესდების ეს მუხლი მოითხოვს კოლმეურნეობათათვის მიწების შემომტკიცებას სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტით, არტელის სარგებლობაში მყოფი მიწის ზუსტი საზღვრების დაწესებას და კოლმეურნეთა პირადი სარგებლობაში საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას.

მიმდინარე წელს მიწათმოწყობა და კოლმეურნეობათათვის მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტების მიცემა უნდა დამთავრდეს საქართველოს 43 რაიონში, ხოლო დანარჩენ 16 რაიონში, უმთავრესად სანაპირო და მთიან რაიონებში, ამ ღონისძიების გატარება გადადებულია 1937 წლისათვის.

1935-1936 წლების გეგმით სახელმწიფო აქტები უნდა მიეცეს 3.399 კოლმეურნეობას 1.149,783 ჰექტარ ფართობზე.

ფაქტიურად 1936 წლის 1 აგვისტოსათვის სახელმწიფო აქტები მიეცა მხოლოდ 1.156 კოლმეურნეობას და გეგმა მხოლოდ 34 პროცენტით არის შესრულებული.

საგარეჯოს, წალენჯიხისა და ლუქსემბურგის რაიონებში **პირველ აგვისტოსათვის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არცერთი სახელმწიფო აქტი არ ჰქონდათ მიცემული**, ქიათურის რაიონში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 118 კოლმეურნეობისა, სახელმწიფო აქტი მიეცა მხოლოდ ერთ კოლმეურნეობას, დუშეთის რაიონში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 110 კოლმეურნეობისა სახელმწიფო აქტი მიეცა მხოლოდ 9 კოლმეურნეობას.

ცოტა არ არის შემთხვევა, როცა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები (ყვარლის რაიაღმასკომი—თავმჯდომარე ამხ. თანდილაშვილი, ტფილისისა—ამხ. მიგრიაული, ლაგოდეხისა — ამხ. ბეჟაშვილი.), მიუხედავად იმისა, **რომ** კოლმეურნეობებში ჩატარდა სახელმწიფო აქტის გაცემისათვის ყველა საჭირო სამუშაო, დანაშაულებრივ - ბიუროკრატიულად აჭიანურებდნენ ამ სამუშაოების, მიწათმოწყობისა და კოლმეურნეობებზე მიწების შემომტკიცების პროექტთა დამტკიცებას.

აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ დაწყებულა სახელმწიფო აქტების მიცემა კოლმეურნეობებისათვის და **არ ჩატარებულა კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის ელემენტარული აღრიცხვა.**

ამ რაიონის კოლმეურნეობა „წითელ არახუში“ არც კოლმეურნეობის ძველმა თავმჯდომარემ ხარაზიამ, არც ახალმა — სირგვავამ, არც გამგეობის წევრებმა არ იციან, თუ რამდენი მიწა აქვს კოლმეურნეობას და რა საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ კოლმეურნეებს. **ამ კოლმეურნეობაში დღემდე არ არის წესდება მიღებული და რაიაღმასკომის მიერ რეგისტრირებული.**

ასეთი მდგომარეობის დროს ზედმეტია ლაპარაკი წესდების განხორციელებაზე.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებაში ნათქვამია, რომ „არტელის მიწის მასივი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მცირდებოდეს“.

ჩხარის რაიაღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ფანჩულიძე) უკვე წესდების მიღების შემდეგ თავისი დადგენილებით ჩამოუჭრა **ბერიას ორჯონიკიძის, კალინინის, წულუკიძის, და ცხაკაიას სახელობის** კოლმეურნეობებს 16 ჰექტარი მიწა ამერიკული ვაზის აღმასკომის სადედე მოსაწყობად. რაიაღმასკომის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, როგორც უკანონო.

კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა ჯერ კიდევ 1935 წელს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ეს მუშაობა დღემდე არ არის დამთავრებული. შეუწყნარებლად გააჭიანურეს ეს მუშაობა მთლიანად აფხაზეთმა და ახალქალაქის, თელავის, ბაშკიჩეთის, ყვარლის, ალბულაღის, კასპის, ამბროლაურის, თიანეთის, დუშეთის, ასპინძის, ხაშურის, ლაგოდეხის, ყარაიას რაიონებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

მიუხედავად სას. სამ. არტელის წესდებას გარკვეული მითითებისა და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა კოლმეურნეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის წესისა და მათი ოდენობის შესახებ თვითეულ რაიონში ცალკე, მთელი რიგი რაიონები ამ საკითხში დღემდე შეცდომებს უშვებენ.

მაგალითად, ბაღდათის რაიონში, სოფელ ვარციხის კოლმეურნეს ვლადიმერ ჯანელიძეს, რომელსაც ჰქონდა 0,64 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი, ჩამოუჭრეს 0,39 ჰექტარი იმ დროს, როცა ამ რაიონისათვის საკარმიდამო მიწის ოდენობა დაწესებულია 1 ჰექტარამდე. ეს ერთეული შემთხვევა როდია ამ კოლმეურნეობაში. ასეთს უკანონო, წესდების საწინააღმდეგო მოქმედებებს დასტური მისცა ბაღდათის რაიაღმასკომმა.

მეორე მხრივ, არ ხდება იმ კოლმეურნეთა ზედმეტი მიწების ჩამოჭრა, რომელთა საკარმიდამო ნაკვეთები აღემატება ამათუიმ რაიონისათვის დაწესებულ ნორმებს.

თელავის რაიონის აწყურის კოლმეურნეობაში, სადაც დამთავრდა საკარმიდამო ნაკვეთების მიზომვა კოლმეურნეებისათვის, 15 მეურნეობას დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწები აქვს.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე მისცა მითითება რაიონებს — მიუზომონ საკარმიდამო ნაკვეთები ყველა კოლმეურნეს, რომლებსაც სრულიად არა აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები, ანდა აქვთ მინიმალურ ოდენობაზე (0,25 ჰექტარზე) ნაკლები და, **მხედველობაში მიიღო რა საქართველოს თავისებურებანი, ნებაც კი დართო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, როცა არ მოიპოვება მიწის თავისუფალი საჭირო ფონდი, გამოჰყონ ამ მიზნისათვის მიწები საკოლმეურნეო განსაზოგადოებული მასივიდან.**

მიუხედავად ამისა რაიონები შეუწყნარებლად აჭიანურებენ ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებას. საქართველოში საკარმიდამო ნაკვეთები ჯერ კიდევ არა აქვს მიზომილი **26.864** საკოლმეურნეო მეურნეობას.

○

ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მესამე კარი — საწარმოო საშუალებათა შესახებ.

ამ კარის მეოთხე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს ერთპიროვნული მეურნის კოლმეურნეობაში შესვლის დროს საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების წესს, მაგრამ პრაქტიკაში ვხვდებით წესდების ამ პუნქტის დარღვევის მრავალ ფაქტს.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ზოგ კოლმეურნეობაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოააშკარავა კოლმეურნეობათა პირადი პროდუქტიული პირუტყვის (ძროხების, დეკეულების, ცხვრების, ღორების) უკანონო განსაზოგადოება კოლმეურნეობაში შესვლის დროს.

ცენტრალურმა კომიტეტმა ეს შეცდომები დროზე გამოასწორა.

მიუხედავად საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებისა, რომ **ფურკამეჩი** პროდუქტიულ პირუტყვად ითვლება და განსაზოგადოებას არ ექვემდებარება, **თელავის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში მაინც დაუშვეს ფურკამეჩების უკანონო განსაზოგადოება მუშა-პირუტყვის სახით.**

ყაზბეგის რაიონსა და დუშეთის რაიონის მთიან ნაწილში საქმე იქამდე მივიდა, რომ კოლმეურნეობაში შესვლის დროს ერთპიროვნულ მეურნეს აიძულებდნენ პირადი სარგებლობის 10 სული ცხვრიდან განესაზოგადოებინა 5 სული, მაშინ, როდესაც ამ რაიონებში წესდების მიხედვით კოლმეურნეს შეუძლიან პირად სარგებლობაში იყოლიოს 80 ცხვრამდე.

რაიონული პარტიული ორგანიზაციები ყველგან როდი უწევენ დახმარებას კოლმეურნეებს პირადი სარგებლობის პირუტყვის შეძენაში, თუმცა სახელმწიფო წლითიწლობით დიდ კრედიტს გაიღებს ხოლმე უძროხობის ლიკვიდაციისათვის.

დუშეთის რაიონში, გუდამაყრის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში გამოაშკარავდა ისეთი ფაქტები, როდესაც კოლმეურნეს რომელმაც თავის დროზე — ჯერ კიდევ წესდების მიღებამდე, კოლმეურნეობაში შესვლის დროს განასაზოგადოვა მთელი თავისი პირუტყვი, ამჟამად პირად სარგებლობაში არცერთი სული არა ჰყავს.

ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე კოლმეურნეთა პირადი საჭიროების მომსახურებას: მათ ქირით არ აძლევენ მუშა-პირუტყვს, რომ გაემგზავრონ ბაზარზე, საავადმყოფოში, წისქვილში, შეშის მოსატანად და სხვ. და ა. შ.

ალბულაღის რაიონის სოფელ წინწყაროს კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის გამგეობა ქირით არ აძლევდა კოლმეურნეებს მუშა-პირუტყვს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და რაც გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კოლმეურნეთა ნაწილში კოლმეურნეობიდან გასვლის განწყობილებისა. მხოლოდ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დროზე ჩარევამ ააშორა დაშლა კოლმეურნეობას.

მეორე მხრით, ცოტა როდია ისეთი ფაქტები, როდესაც დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში, კერძოდ, აფხაზეთის რაიონებში (ოჩამჩირის რაიონის „პირველი კვითაულის“ კოლმეურნეობა, — თავმჯდომარე იოსებ შონია —და გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არახუ“, თავმჯდომარე ხარაზია) განსაზოგადოებულ მუშა-პირუტყვს კოლმეურნენი იყენებენ თავის შეხედულებისამებრ, უფასოდ, საკოლმეურნეო წარმოების საზიანოდ.

○

წესდების მეშვიდე და მერვე მუხლი, სადაც ლაპარაკია კოლმეურნეობის წევრობაზე, ზუსტად განსაზღვრავს კოლმეურნეობაში წევრის მიღებისა და კოლმეურნეობიდან გარიცხვის წესს.

თანახმად წესდების ამ მუხლებისა, მიღება და გარიცხვა სწარმოებს მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების მიერ.

წესდების ამ მუხლს არღვევს კოლმეურნეობათა მრავალი გამგეობა.

ახალქალაქის რაიონის „ამიერკავკასიის ფედერაციის“ სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ჰამიდ-ახმედ-ოღლი) 36 ერთპიროვნული მეურნიდან, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს მიღებულ იქნენ კოლმეურნეობაში, არცერთი არ გაუტარებიათ საერთო კრებაზე და კოლმეურნეობის გამგეობის საშუალებითაც კი მხოლოდ 10 კაცის მიღებაა გაფორმებული.

ბაშკიჩეთის რაიონის, სოფელ პატარა დმანისის „წითელი ვარსკვლავის“ სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — დათიკო მაღრაძე) კოლმეურნეობაში მიღება დაუსწრებლად ხდებოდა.

აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონის „პირველი კვითაულის“ კოლმეურნეობაში არ მოიპოვება არავითარი დოკუმენტი კოლმეურნეობაში ერთპიროვნულ მეურნეთა შესვლის შესახებ—არც განცხადებანი, არც გამგეობის ოქმები, არც საერთო კრების გადაწყვეტილებანი.

ლუქსემბურგის რაიონის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში, ერთპიროვნულ მეურნეს ისმაილ ყურბან-ოღლის, რომელმაც გაჰყიდა თავისი ხარი კოლმეურნეობაში შესვლამდე, უარი უთხრეს მიღებაზე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის სულეიმან ახმედოვის რეზოლუციით.

წესდების უხეში დარღვევის ვიდრე უფრო საოცარ ფაქტებს აქვს ადგილი კოლმეურნეობებიდან გარიცხვის პრაქტიკაში.

კოლმეურნის კოლმეურნეობიდან გარიცხვა არის დასჯის უკიდურესი, განსაკუთრებული ღონისძიება, რომელსაც შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღზრდისა და ზეგავლენის ყველა ღონისძიება უკვე ამოწურულია.

ამას რაიონის ბევრი ხელმძღვანელი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივიწყებს.

1936 წლის პირველ ნახევარში ყვარლის რაიონში კოლმეურნეობიდან გარიცხულია 280 მეურნეობა, ტფილისისაში — 209 მეურნეობა, საგარეჯოს რაიონში — 136, გურჯაანისაში—164, ამასთან მრავალ შემთხვევაში, მე ვიტყოდი — შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, გარიცხვა გატარებულია უმართებულოდ, უსაფუძვლოდ.

ალბულაღის რაიონის სოფ. წინწყაროს კოლმეურნეობაში (თავმჯდ. ნაროევი) მიმდ. წ. 18 ივნისს, თავისი შემადგენლობით უკანონო საზოგადო კრებაზე, სამუშაოზე გაუსვლელობისათვის სრულიად გაუფრთხილებლად „ბითუმად“ გარიცხეს გარესამუშაოზე გამსვლელი 13 კოლმეურნე, ამასთან კოლმეურნეობიდან გარიცხეს მათი ოჯახების წევრებიც.

ყვარლის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობამ (თავმჯდომარე **მიხა გუნიაშვილი**) სამუშაოზე გაუსვლელობისათვის კოლმეურნეობიდან გარიცხა 7 მეურნეობა ისე, რომ საზოგადო კრებისათვის არ უცნობებია.

დუშეთის რაიონის სოფ. მაკარტის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე **წიკლაური** ერთპიროვნულად იღებდა და კოლმეურნეობიდან რიცხავდა წევრებს.

წალკის რაიონის სოფ. როზენბერგის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდ. **ბაუერი**) სამუშაოზე გაუსვლელობისათვის კოლმეურნეობიდან გარიცხეს კოლმეურნე, მიუხედავად იმისა, რომ კრების დამსწრე 207 კოლმეურნიდან გარიცხვას ხმა მისცა მხოლოდ 37 კაცმა.

ალბულაღის რაიონის სოფ. დიდი თონეთის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის თავმჯდომარის სარდლიშვილისა და მოანგარიშის განკარგულებით გარიცხულ იქნა 15 კოლმეურნე.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში“ მიმდ. წ. 22 ივნისს საზოგადო კრებაზე, რომელსაც 165 კოლმეურნიდან 60 კაცი დაესწრო, განიხილეს სამუშაოზე გაუსვლელობისა და ტფილისში თვითნებურად წასვლის გამო კოლმეურნე მელიქიშვილის კოლმეურნეობიდან გარიცხვის საკითხი. მის გარიცხვას ხმა მისცა მხოლოდ 27 კაცმა. ამ კრების ოქმში ჩასწერეს: „საკითხი ღიად დარჩეს და საბოლოო განხილვისათვის გადაეცეს რაიაღმასკომის პრეზიდიუმს“. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ალექსი მებაღიშვილმა** მელიქიშვილს გამოუცხადა, რომ ის გარიცხულია კოლმეურნეობიდან.

ყვარლის რაიაღმასკომი (თავმჯდ. **თანდილაშვილი**) ამ საქმის გადაწყვეტას ფორმალურ-ბიუროკრატულად მოეკიდა და კოლმეურნეობიდან გარიცხა არა მარტო მელიქიშვილი, არამედ იმისი ცოლიც.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ.-ის წარმომადგენელმა გამოარკვია, რომ მელიქიშვილი არ უნდა გაერიცხათ კოლმეურნეობიდან. მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, მან 1935

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

წელს გამოიმუშავა 235 შრომადღე და მიმდინარე წელს უკვე აქვს 100 შრომადღე.

შეიძლებოდა მოგვეყვანა კიდევ ბევრი ფაქტი წესდების აღმაშფოთებელი დარღვევისა მიღება-გარიცხვის ნაწილში, ამ საკითხში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და გამგეობების ადმინისტრირებისა, საზოგადო კრებების უფლებათა უგულებელყოფისა, კოლმეურნეთა უფლებების დარღვევისა და გარიცხულთა განცხადებების გარჩევისადმი ცალკეული რაიაღმასკომების ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა.

O

ავიღოთ წესდების VI კარი — არტელის სახსრების შესახებ. ამ კარის მეცხრე და მეათე მუხლები მოითხოვენ, რათა კოლმეურნეობაში შემსვლელმა თითოეულმა პირმა შეიტანოს შესასვლელი გამოსაღები კომლზე 20-დან 40 მანეთამდე, მეურნეობის სიმძლავრის მიხედვით, და რომ არტელის წევრის განსაზოგადოებული ქონების ღირებულებიდან გამოყოფილ იქნას გამოსაღები განუყოფელი ფონდისათვის მისი განსაზოგადოებული ქონების ღირებულების ¼—½ რაოდენობით. კოლმეურნეობაში შემსვლელის ქონების დანარჩენი ნაწილი კი ჩაირიცხება მის საპაიო გამოსაღებში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ წესს არ იცავენ.

ჯავის რაიონის სოფ. როკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდ. ნიკ. კოზონოვი) შემსულთაგან შესასვლელ გამოსაღებს ღებულობენ არა ფულით 20-დან 40 მანეთამდე კომლზე, არამედ შეჰქონდათ ნატურით (დიკეული, ხბო), ამასთან შეტანილ ქონებას არ აფასებენ.

ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ოტო გუმი) 200 მეურნეობას დღემდე არ შეუტანია შესასვლელი გამოსაღები — 7.000 მან.

დუშეთის რაიონში სოფ. მიგრიაულთ-კარის, სიგლიანთ-კარის, გუდრუხის კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული ქონების ღირებულებიდან განუყოფელ ფონდში არაფერი არ არის გამოყოფილი და განსაზოგადოებული ქონების მთელი ღირებულება ჩარიცხულია საპაიო გამოსაღებში.

იმავე რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირიქით იქცევიან: განსაზოგადოებული ქონების ღირებულებიდან — 1.402 მანეთიდან — საპაიო შენატანში ჩარიცხულია მხოლოდ 250 მანეთი, ხოლო განუყოფელ ფონდში — 1.152 მანეთი, ანუ 82 პროცენტი.

წესდების VI კარის მე-12 მუხლში ნათქვამია: „სახსრების ხარჯვა გამგეობას შეუძლიან აწარმოოს მხოლოდ იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით. გამგეობის მიერ სახსრების თვითნებურად გადატანა საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ერთი მუხლიდან მეორეში დაუშვებელია; სახსრების ერთი მუხლიდან მეორეში გადასატანად გამგეობა მოვალეა ნებართვა მიიღოს საერთო კრებისაგან“.

ბევრ კოლმეურნეობაში წესდების ამ უმნიშვნელოვანეს დებულებას უხეშად არღვევენ კოლმეურნეობათა გამგეობანი, რაც ხშირად ხდება ხოლმე რაიონების სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და საბჭოთა ორგანოების თანხმობით და მათი მითითებითაც კი.

ბევრი კოლმეურნეობის ფულადი მეურნეობა დღემდეც ჩამორჩენილ მდგომარეობაშია, რაც ქმნის კოლმეურნეობათა სახსრების უკონტროლოდ ხარჯვისა და განიავების პირობებს.

ავიღოთ კოლმეურნეობათა მიერ თავიანთი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულების საკითხი.

შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს ხშირად ფორმალურად ადგენენ რაიმიწგანის ან მტს-ს მუშაკები კოლმეურნეობის მოანგარიშესთან ერთად, კოლმეურნეობების კონკრეტულ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, **ისე რომ საერთო კრებამ ამის შესახებ არაფერი იცის, ხოლო ზოგჯერ თვითონ თავმჯდომარეც არ იცნობს თავის ხარჯთაღრიცხვას.**

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები და რაიმიწგანების გამგეები მეტწილად შეადგენენ ამ ხარჯთაღრიცხვებს ისე, რომ არ იხილავენ მათ არსებითად.

ამით აიხსნება თანხების დიდი გადახარჯვა ადმინისტრატიულ-სამმართველო და საწარმოო ხარჯების მხრივ, რის შედეგადაც ძალიან მცირდება ის ფულადი ნაწილი, რომელიც განაწილებულ უნდა იქნას შრომადღეების მიხედვით, ხოლო ზოგ კოლმეურნეობაში სრულიადაც არ რჩება ფული კოლმეურნეთა შრომადღეებისთვის.

კომკავშირის X ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის (ლაგოდეხის რაიონი) გამგეობის თავმჯდომარემ დათიკო მეხზიშვილმა ა. წ. პირველ ნახევარში საერთო კრებების დაუკითხავად და გამგეობისათვის შეუტყობინებლადაც კი, დაარღვია რა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, დახარჯა საწარმოო საჭიროებებისათვის 26.700 მანეთი, ხოლო ადმინისტრატიული საჭიროებებისათვის — 750 მანეთი და ეს იმ დროს, როცა წლიური გეგმის თანახმად ამ მუხლებით გათვალისწინებული იყო შესაბამისად — 13.933 მან. და 600 მან.

გორის რაიონის კოლმეურნეობა „მომავალში“ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ადმინისტრატიულ-სამმართველო საჭიროებებისათვის დახარჯულია 1.750 მან., ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით მთელი წლისათვის გათვალისწინებული 740 მანეთისა, საწარმოო საჭიროებებისათვის დახარჯულია 10.607 მანეთი, ნაცვლად მთელი წლისათვის გათვალისწინებული 10.000 მანეთისა, ხოლო კაპიტალდაბანდებებზე დახარჯულია 12.762 მანეთი, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით მთელი წლისათვის გათვალისწინებული 7.366 მანეთისა.

დუშეთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ნიკო ქავთარაძე**) უკვე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საწარმოო საჭიროებებისათვის დახარჯულია 971 მანეთი და ეს იმ დროს, როცა წლიური ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 450 მანეთი.

სიღნაღის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ივანე არიშინი**) წლის პირველ ნახევარში სამმართველო საჭიროებებზე დახარჯულია 2.716 მანეთი, წლიური გეგმით კი გათვალისწინებული იყო 2.500 მანეთი.

დუშეთის რაიონის სოფელ ღიხნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ივანე წიკლაური**) 1935 წლის ფულადი შემოსავლიდან, რაც 21.461 მანეთს უდრიდა, შრომადღეებზე განაწილებულია მხოლოდ 1.760 მანეთი.

დუშეთის რაიონის სოფელ კვალის-ქიკანის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ჭიკაძე**) 1935 წლის ფულადი შემოსავლიდან, რაც 12.225 მანეთს უდრიდა, შრომადღეებზე არაფერი არ განაწილებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომადღეებზე კოლმეურნეებისათვის ფულის მიუცემლობის ეს ფაქტები თითო-ოროლა როდია. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს დუშეთის, ყაზბეგის, ალბულაღ-მანგლისის რაიონების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბევრ კოლმეურნეობაში და ბევრ სხვა რაიონშიც.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ის ფული, რომელიც მათ ერგებათ 1935 წელს გამომუშავებულ შრომადღეებში.

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებში 36.000 მანეთიდან, რომელიც კოლმეურნეებისათვის 1936 წლის პირველ იანვრისათვის უნდა მიეცათ, ჯერაც არ არის მიცემული 30.000 მანეთი.

კასპის რაიონის კოლმეურნეობებში 65.000 მანეთიდან კოლმეურნეებისათვის დღემდე არ მიუციათ 32.000 მანეთი. **წალკის** რაიონში 61.000 მანეთიდან არ მიუციათ 46.000 მანეთი. **ბაღდათის რაიონში 477.000 მანეთიდან გაცემულია მხოლოდ 51.000 მანეთი,** ხოლო ლაგოდეხის რაიონში კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე დღემდე არ მიუციათ 1935 წელს გამომუშავებული 530.000 მანეთი.

ეს ფული უკანონოდ, ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით, იხარჯება კოლმეურნეობათა სხვა საჭიროებებისათვის: სამმართველო ხარჯებისათვის, მშენებლობისთვის და სხვა.

წესდების დარღვევა ფულადი შემოსავლის განაწილების მხრივ მიმდინარე წელსაც გრძელდება.

წალკის რაიონში ყველა კოლმეურნეობის 417.500 მანეთის ფულადი შემოსავლიდან 1936 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეებს შორის განაწილებულია მხოლოდ 17 ათასი მანეთი, და ეს მაშინ ხდება, როდესაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მაისში თავისი გადაწყვეტილებით გაფრთხილება მისცა წალკის რაიკომს და რაიაღმასკომს, გააუქმა რაიონის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, როგორც არასწორად შედგენილი, სასოფლო-სამეურნეო წესდების საწინააღმდეგო და რაიონს ამ მუშაობის ხელახლა ჩატარება დაავალა.

როგორც ვიცით, ჩოხატაურისა და ცხაკაიას რაიონები ტექნიკურ კულტურათა რაიონებს წარმოადგენენ და, თანახმად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-16 მუხლისა, ფულადი შემოსავლის გაცემა ავანსის სახით უნდა ხდებოდეს კვირაში ერთხელ მაინც, ჩაბარებული პროდუქციისათვის არტელის მიერ მიღებული ფულის 60 პროცენტის რაოდენობით. ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებშიკი 1936 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობათა 2.658.000 მანეთის საერთო ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებისთვის ავანსის სახით კოლმეურნეებს მიეცათ სულ 625.000 მანეთი, ანუ 24 პროცენტი.

ჩოხატაურის რაიონში 958.000 მანეთის რაოდენობის შემოსავლიდან ამავე ვადაში კოლმეურნეებს მიეცათ მხოლოდ 306.000 მანეთი, ანუ 31,5 პროცენტი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საწარმოო ხარჯების სახით, ატარებენ ისეთ ხარჯებს, რასაც საერთო არაფერი აქვთ წარმოებასთან. ამას იმიტომ სჩადიან, რომ დაფარონ უყაირათობა და კოლმეურნეობათა ფულის დანაშაულებრივი განიავება.

ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ გლობა** (ალბულაღ-მანგლისის რაიონი) უმიზნოდ და ხშირად მოემგზავრება ტფილისში, სამივლინებო და საბინაო ხარჯებისათვის იწერს საკოლმეურნეო ფულს დღეში 20 მანეთამდე, ხოლო კოლმეურნეობის მოანგარიშე ცდილობდა ეს ხარჯები საწარმოო ხარჯების ანგარიშებში გაეტარებინა.

ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (წალენჯიხის რაიონი) გამოაშკარავებულია ისეთი ფაქტები, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გედეონ შანავა** მართავდა ქეიფებს და ამ ხარჯებს აფორმებდა, როგორც საწარმოო ხარჯებს.

მრავალი დამახინჯება გვაქვს კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვაში. მთელ რიგ კოლმეურნეობაში კაპიტალური მშენებლობის ხარჯები ფაქტიურად მნიშვნელოვნად აღემატება იმ თანხებს, რომელიც ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებით.

წლის დამლევს კი, იმის გამო, რომ კაპიტალური დაბანდების ხარჯები უკვე გაწეულია და იგი რამეიაირად გამართლებულ უნდა იქნას, შექმნიან ხოლმე განუყოფელ ფონდებს 20 პროცენტის გადამეტებით.

კოლმეურნეობებში უნდა ვაშენოთ, მაგრამ უნდა ვაშენოთ წესდების დაურღვევლად. კარგია, რასაკვირველია, კოლმეურნეობებში ერთი წლის განმავლობაში ავაშენოთ კარგი ფარეხ-ბოსლები, კარგი კულტურული კანტორა გამგეობისათვის, მაგარი, კარგი ბეღლები, **მაგრამ თუ ამ მშენებლობას კოლმეურნეობის მთელი ფულადი შემოსავალი უნდება, მაშინ ეს უკვე უმსგავსობაა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში კოლმეურნე შრომადღეში ვერცერთ კაპიკს ვერ ღებულობს და ცხადია, ამას კოლმეურნეობისათვის მოაქვს არა სარგებლობა, არამედ ზიანი.**

კაპიტალური მშენებლობის გადახარჯვაში ძალიან დამნაშავე არიან სამიწათმოქმედო ორგანოები, რომლებიც კოლმეურნეებს უმტკიცებენ მშენებლობის გადაჭარბებულ გეგმებს, ჰპირდებიან მათ კრედიტების მიცემას. კოლმეურნეობანი, იღებენ რა მხედველობაში ამ დიდ გეგმებს, იწყებენ მშენებლობას, კრედიტებს გეგმით გათვალისწინებული ოდენობით ვერ მიიღებენ ხოლმე და იძულებული ხდებიან შემოსავლის შრომადღეებისათვის გასანაწილებელი ნაწილის შემცირების ხარჯზე დაამთავრონ დაწყებული მშენებლობა ან კონსერვაცია უყონ მას და დარჩნენ **უშენობოდ და შრომადღეებით შემოსავლის გარეშე.**

O

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მეშვიდე კარი ითვალისწინებს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის წესს, მის ანაზღაურებასა და შრომის დისციპლინის დამყარებას.

ჩვენ ვიცით, რომ მტკიცე საწარმოო ბრიგადების გარეშე, რომლებიც მოწყობილი არიან წესდების მოთხოვნის სრულ შესაბამისად, შეუძლებელია კოლმეურნეობის მეურნეობის წარმოება, შეუძლებელია შრომისა და მისი აღრიცხვის სწორად მოწყობა, შეუძლებელია შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა და კოლმეურნის დაინტერესება საკოლმეურნეო წარმოებაზე კეთილსინდისიერ მუშაობაში.

მაგრამ მრავალ კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია დღემდე ცუდად არის დაყენებული და თუ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს დაუყოვნებლივ არ მოვსპობთ, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცება ძნელი იქნება.

კოლმეურნეობა „პირველ ქვათაულში“ (ოჩამჩირის რაიონი, აფხაზეთი) გამომუშავებისა და შეფასების ნორმები შედგენილია არასწორად, მექანიკურად, არ არის დიფერენცირებული ბრიგადებისა და უბნების მიხედვით. გამომუშავებისა და შეფასების ნორმები დაამუშავა გამგეობამ, მაგრამ იგი არ დაუმტკიცებია კოლმეურნეთა საერთო კრებას. შრომადღეების აღრიცხვა დაყენებულია ცუდად, შრომადღეების ჩაწერა ხდება არასწორად, სამუშაოების სახეთა აღუნიშნელად. მეოთხე და მეექვსე ბრიგადებში კოლმეურნეთათვის შრომის წიგნაკებში შრომადღეების ჩაწერა ივნისსა და აგვისტოში არ არის გატარებული, აგვისტოს შრომის წიგნაკებში შრომადღეები არა აქვს ჩაწერილი მეხუთე ბრიგადასაც.

აფხაზეთის გუდაუთის რაიონის „წითელ არახუს“ კოლმეურნეობაში გათანაბრება არის გამეფებული შრომადღეების დარიცხვაში. ამ კოლმეურნეობის პირველსა, მესამესა და მეექვსე ბრიგადაში ბრიგადის ყველა წევრს დარიცხული აქვს შრომადღეების თანასწორი რაოდენობა ხვნაში, სიმინდისა და თამბაქოს გამარგვლაში.

ც. კ-ს მიეპოვება ცნობები, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია აფხაზეთის მრავალი კოლმეურნეობისათვის.

ახალქალაქის რაიონის ამიერკავკასიის ფედერაციის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ჰამიდ ახმედ ოღლი**) ბრიგადებზე არ არის მიმაგრებული საწარმოო საშუალებანი და უბნები. ბრიგადის წევრთა სიებში ნაჩვენებია მხოლოდ ოჯახის მეთაური და შრომადღეების მთელი რაოდენობა, გამომუშავებული ოჯახის წევრებისგან, დაირიცხება ხოლმე ოჯახის მეთაურს.

რგოლები ბრიგადებში არ არის ორგანიზებული, კოლმეურნეები, როგორც წესი, მუშაობენ გროვად, ბრიგადებში არ არსებობს არავითარი სანარდო მუშაობა. შრომადღეები ბრიგადის წევრებს თანასწორად ეწერებათ, დამოუკიდებლად სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხისა.

კოლმეურნეებს შრომის წიგნაკები ხელთ არა აქვთ, შრომის წიგნაკები ინახება მოანგარიშესთან და შრომადღეებს ამ წიგნაკებში თვეობით არ სწერენ.

ვარსხლავის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **უზნაძე**), კასპის რაიონში კოლმეურნეობის 419 შრომის უნარიანი წევრიდან ბრიგადებზე მიმაგრებულია და მუშაობს მხოლოდ 186 კაცი, დანარჩენები კი სამუშაოზე გამოდიან შემთხვევიდან შემთხვევამდე. არც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, არც ბრიგადირებმა არ იციან, თუ რა მიზეზით არ გამოდიან კოლმეურნეები სამუშაოდ და არც აწარმოებენ ამის აღრიცხვას. ეს არ იცის, რათქმა უნდა, არც რაიონულმა ხელმძღვანელობამ.

ტფილისის რაიონის ლისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ნიკო ოშანიშვილი**) აქამდე არ არის შემუშავებული გამომუშავების ნორმები, მუშაობის სახეთა შეფასება და არ არის იგი დაყვანილი ბრიგადებამდე. შრომადღეების დარიცხვა ხდება არა მუშაობის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ ნამუშევარი დროის მიხედვით (თითო დღე თითო შრომადღე არის).

მგალობლიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში, დუშეთის რაიონში შრომადღეებს უწერენ როგორც ფერმის გამგეს, ისე მწყემსებსაც, მუშაობის შედეგთა და ხარისხობრივ მაჩვენებელთა აღურიცხავად. შრომადღეებს უწერენ **წლის დამლევს.**

უმართებულოდ დაურიცხავენ ხოლმე შრომადღეებს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ მუშაკებს:

ფერმის გამგეს **იაკობ მუჩუკურისთვის** ჩაუწერიათ: „პასუხისმგებლობისა“ — 60 შრომადღე, „სტაჟისა“ — 75 შრომადღე, დამატებითი — 22 დღე, პრემიული — 15 დღე, სამივლინებო — 38 შრომადღე, სულ 210 შრომადღე (**სიცილი**).

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **პავლე პატაშურს** 4 თვის მუშაობისათვის ჩაწერილი აქვს: თავმჯდომარეობისა — 36 შრომადღე, სამივლინებო — 39 შრომადღე, „სტაჟისა“ — 18 შრომადღე, „პასუხისმგებლობისათვის“ — 29 შრომადღე, დოლობისა — 9 შრომადღე, ჯოგის მოვლისა — 54 შრომადღე, ბინების მოვლისა — 32 შრომადღე, პარსვისა — 29 შრომადღე, სულ 246 შრომადღე (**სიცილი**).

დუშეთის რაიონის არხვეტისა, ბედენისა, ჩოხას კოლმეურნეობებში, ჯავის რაიონის სოფელ როკის კოლმეურნეობაში, ლენინგორის რაიონის სოფელ ხარბელის კოლმეურნეობაში სრულებით არ არის სანარდო სამუშაო, კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა, მიღებული პროდუქციის აღრიცხვა.

საგარეჯოს რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადებზე არ არის მიმაგრებული საწარმოო უბნები, არ არის გამომუშავების ნორმები და კოლმეურნეებს ჩხირებით უნიშნავენ შრომადღეებს — თითო შრომადღეს თითო სამუშაო დღეში მიუხედავად იმისა, თუ როგორი რაოდენობისა და რა ხარისხის სამუშაო შეასრულა კოლმეურნემ.

ყვარლის რაიონში კოლმეურნეობა „განთიადში“ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე მჭალიშვილი), სადაც შრომა ცოტად თუ ბევრად კარგად არის მოგვარებული, გამომუშავების ნორმებს მექანიკურად იყენებენ ყველა ბრიგადისათვის და ყველა უბანზე. მაგალითად, გამომუშავების ნორმა თავთავიან მცენარეთა ხელით აკრეფისა ერთ კაცდღეზე დაწესებულია 1.250 კვადრატული მეტრი, მიუხედავად ცალკეულ უბანთა თავისებურებისა.

შარშან ამ კოლმეურნეობაში არ გაუტარებიათ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მე-15 პუნქტის მითითება ბრიგადებისათვის შრომადღეების დარიცხვისა, ან ჩამოწერის შესახებ ბრიგადის მუშაობის შედეგთა მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მე-15 მუხლით და მიმართულია ბრიგადისა და ბრიგადის წევრთა კარგი მუშაობის წასახალისებლად, ჩამორჩენილთა გამოსასწორებლად — საქართველოს კოლმეურნეობათა უმეტესობაში არ ტარდება.

ხდება აგრეთვე წესდების დარღვევა ორსული კოლმეურნე — ქალებისათვის შეღავათების მიცემის საქმეში შრომადღეების დარიცხვით შეღავათების დროს.

ბაშკიჩეთის რაიონის არცერთ კოლმეურნეობაში არ მიუციათ ორსული კოლმეურნე - ქალებისათვის შეღავათები ორსულობის გამო.

წესდების მე-17 მუხლი ითვალისწინებს სასჯელის ზომებს იმ კოლმეურნეთა მიმართ, რომლებიც უყაირათოდ და დაუდევრად ეკიდებიან საზოგადოებრივ ქონებას, არ გამოდიან სამუშაოზე არაპატივსადებ მიზეზებისა გამო, ცუდად ასრულებენ სამუშაოს და საერთოდ არღვევენ შრომის დისციპლინას.

ასეთ ზომებს წარმოადგენს: გაფრთხილება, საყვედური, გაკიცხვა საერთო კრებაზე, შავ დაფაზე შეტანა, დაჯარიმება 5 შრომადღემდე.

მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში უგულებელყოფენ აღზრდის ღონისძიებებს, ეწევიან ადმინისტრირებას და კოლმეურნეთა მიმართ იყენებენ ხელაღებით დაჯარიმებას.

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო-ქედის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს მასობრივად აჯარიმებენ, ამასთან ჯარიმებს ახდევინებენ არა შრომადღეებით, როგორც ეს წესდებით არის გათვალისწინებული, არამედ ნატურით და ფულად. ურმის თვითნებურად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე **ივანე ქავთარაძე**) კოლმეურნეებს პავლე იოსების-ძე წიკლაურს და პავლე სიმონის-ძე წიკლაურს სამ-სამი ფუთი ხორბალი გადაახდევინა.

ალბულაღის რაიონის სოფელ წინწყაროს კოლმეურნეობაში, სანამ საქმეში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩაერეოდა, ფართოდ იყენებდნენ კოლმეურნეთა მასობრივ ხელაღებით დაჯარიმებას. მაგალითად, ა. წ. 6 თებერვალს დააჯარიმეს 23 კაცი, 16 თებერვალს — 7 კაცი, 18 აპრილს — 18 კაცი, 4 მაისს — 6 კაცი, 23 მაისს — 13 კაცი.

საგარეჯოს რაიონის ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობაში იოსებ გრუშელა 3 შრომადღით დააჯარიმეს გინებისათვის, ხოლო მაქრო კონჯარიშვილი და კოლა ნაცვრიშვილი საზოგადო კრებიდან წასვლისათვის — ნახევარი შრომადღით თვითეული.

კოლმეურნეთა მასობრივი დაჯარიმების ფაქტები აგრეთვე ხდება ყვარლის, გურჯაანის, გორის, ბაშკიჩეთის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაშიაც.

ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ყიზილ - კილისის კოლმეურნეობაში (აერთიანებს 61 მეურნეობას) 1936 წელს დააჯარიმეს 18 კაცი 3-დან 8 შრომადღემდე; კოლმეურნე ისმაილ სულეიმან-ოღლი, რომელსაც სულ 1,75 შრომადღე ჰქონდა, დააჯარიმეს 5 შრომადღით, კოლმეურნე ქალი ნარი პირალ-ქიზი, რომელსაც სულ 2 შრომადღე ჰქონდა, დააჯარიმეს 3 შრომადღით, კოლმეურნე ქალმა ფატმა ისმაილ-ქიზმა გამოიმუშავა 11 შრომადღე, დააჯარიმეს 5 შრომადღით. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ქიაზიმ ნოვრუზ-ოღლიმ** განაცხადა, ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ კოლმეურნეები ყურს მიგდებდნენ მე, თავმჯდომარესაო.

ახალქალაქის რაიონის სოფ. აზმანაში, ერინიაში, ხავეტში დაწესდა ისეთი პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები თვითნებურად და უკანონოდ აჯარიმებდნენ კოლმეურნეებს. ამ კოლმეურნეობებში ისეთი შემთხვევებიც კი იყო, როცა კოლმეურნეებს აჯარიმებდნენ იმისათვის, თითქოს ისინი დასცინოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

შეიძლებოდა მოგვეყვანა კოლმეურნეთა უკანონო, ხელაღებითი დაჯარიმების კიდევ მრავალი ფაქტი. ცხადია, ადმინისტრირების ასეთი მეთოდებით შეუძლებელია კოლმეურნეთა აღზრდა და ეს პრაქტიკა გადაჭრით და სწრაფად უნდა აღმოიფხვრას.

კოლმეურნეობებში დიდ ფულს ნთქავს სამმართველო აპარატი. კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და მისი სიდიდის მიუხედავად, ძალიან ხშირად აწესებენ გამგეობათა დიდ შტატებს.

დუშეთის რაიონის მეცხოველეობის ბევრ მთაგორიან კოლმეურნეობაში, სადაც მეურნეობათა რიცხვი 10—20 არ აღემატება, და სადაც კოლმეურნეობაში მხოლოდ მეცხოველეობის ერთი პატარა ფერმაა, — ჰყავთ მუშაობასაგან განთავისუფლებული გამგეობის თავმჯდომარე, ფერმის გამგე, ბრიგადირები, საწყობის გამგე, მოანგარიშე რომელთა ხელფასსაც უნდება კოლმეურნეობის შემოსავლის უდიდესი ნაწილი.

ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია არა მარტო მეცხოველეობის მთაგორიანი კოლმეურნეობებისათვის, არამედ სხვა რაიონების კოლმეურნეობებისთვისაც.

მახარაძის რაიონის გურიანთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ლადო ჩხაიძე**), მართალია, დიდ კოლმეურნეობაში, რომელსაც დიდი შემოსავალი აქვს, ჰყავთ წარმოებაზე მუშაობიდან განთავისუფლებულ მუშაკთა შემდეგი შტატი: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აგრონომი, გამგეობის მდივანი, ბუხჰალტერი, 3 მოანგარიშე-მეტაბელე, მოლარე, საწყობის გამგე, საბავშვო ბაგების 18 მუშაკი, სახანძრო დაცვის ხელმძღვანელი, ფოსტის 3 დამტარებელი — სულ 32 კაცი. ეს დიდი კოლმეურნეობისთვისაც კი უმსგავსოდ გაბერილი შტატია.

აფხაზეთის ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობას „პირველ ქვათაულს“, რომელიც 186 მეურნეობას აერთიანებს, ჰყავს განთავისუფლებულ მუშაკთა შემდეგი შტატი: თავმჯდომარე (45 შრომადღე თვეში), თავმჯდომარის მოადგილე (30 შრომადღე თვეში), მოანგარიშე (350 მან. თვეში) 2 მეტაბელე (25 შრომადღე თვითეულს თვეში).

ამ კოლმეურნეობაში თავისუფლად შეიძლება არ ვიყოლიოთ თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილე და მეტაბელეები.

უკლებლივ ყველა კოლმეურნეობაში უნდა გადაისინჯოს კოლმეურნეობის გამგეობის განთავისუფლებულ მუშაკთა შემადგენლობა, შემცირდეს იგი და სავსებით შეუფარდეს თვითეულ კოლმეურნეობის შესაძლებლობას, მის ოდენობას და შემოსავლიანობას.

ადგილიდან: მართალია!

O

ბერია: სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის ნაწილში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების 19-25 მუხლნი ითვალისწინებენ საერთო კრების, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ბრიგადირის, მოანგარიშისა და სარევიზიო კომისიის როლს.

წესდების მითითება იმაზე, **„რომ საერთო კრება წარმოადგენს არტელის მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს“** და რომ ყველა ძირითადი ღონისძიება უნდა ტარდებოდეს მხოლოდ საერთო კრების თანხმობით, ძალიან ხშირად ირღვევა.

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი ისეთ ფაქტებზე, როცა უგულებელჰყოფენ საერთო კრების როლს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა და მათი შესრულების კონტროლის, კოლმეურნეთა მიღებისა და გარიცხვის, გამომუშავების ნორმების შემუშავების, სამუშაოთა შრომადღეებად შეფასების საქმეში.

კოლმეურნეთა საერთო კრების შესახებ წესდების მითითებათა დარღვევა გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ იშვიათად იწვევენ კრებებს, ან იწვევენ უკანონო კრებებს, რომლებსაც ესწრება კოლმეურნეობის წევრთა ნახევარზე, ან ორ მესამედზე ნაკლები.

აფხაზეთის გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „არახუში“ საერთო კრება მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შესდგა და კოლმეურნეობის მუშაობის ყველა ძირითადი საწარმოო და საფინანსო საკითხი საერთო კრების გარეშე გადასწყდა.

ჯუღელის რაიონის სვირის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის ოთხივე საერთო კრება, რომლებიც მიმდინარე წელს იყო მოწვეული, უკანონოა, ვინაიდან არტელის 286 წევრიდან პირველ კრებას დაესწრო 72 კაცი, მეორეს — 75, მესამეს — 19 და მეოთხეს — 19 კაცი.

ბაშკიჩეთის რაიონში, როგორც წესი, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს არ ამტკიცებდნენ საერთო კრებებზე.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევისა და საერთო კრების უგულებელყოფის ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს სარევიზიო კომისიების უმოქმედობა საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში.

ბაშკიჩეთის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარე წელს სარევიზიო კომისიას ერთხელაც არ მოუხდენია რევიზია.

ამავე რაიონის სოფელ დიდგომარეთის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენა არა აქვს წესდების მე-25 მუხლზე — სარევიზიო კომისიების შესახებ.

თელავის რაიონის სოფელ კოლოთის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხა დარჩიაშვილი**) კოლმეურნეობის გამგეობამ საერთო კრების თანხმობის [illegible] მოხსნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და დანიშნა სხვა პირი.

გორის რაიონის სოფელ ბრონწლეთის კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიას არ მოუხდენია რევიზია არც 1935 წელს, არც მიმდინარე წელს და ეს იმ დროს, როცა ამ კოლმეურნეობაში მოხდა საკოლმეურნეო პროდუქციისა და ფულის მიტაცებლობა და გაფლანგვა.

კასპის რაიონის სოფელ ადაიანის კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიის წევრებმა არ იციან, რომ ისინი სარევიზიო კომისიის წევრები არიან.

კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიების უმოქმედობა აიხსნება იმით, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანოები, რაიმიწგანები და სამანქანო - სატრაქტორო სადგურები არ ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას და დახმარებას არ უწევენ მათ.

რაიაღმასკომების უმრავლესობას არ დაუმტკიცებია სარევიზიო კომისიების შემადგენლობა რასაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მოითხოვს.

O

ასეთი ცალკეული დეფექტები ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების პუნქტების გამოყენებას პრაქტიკაში საქართველოს ზოგიერთ კოლმეურნეობასა და რაიონებში.

ეს დეფექტები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ან ისინი სრულიადაც არ გვექნებოდა, რომ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოებს უკეთესი ხელმძღვანელობა გაეწიათ კოლმეურნეობათა განმტკიცების მუშაობისათვის, გულმოდგინედ და უყოყმანოდ შეემოწმებინათ და მოეწყოთ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მუხლ-მუხლად შესრულება.

ახლა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა აღნიშნული დეფექტის გამოსწორებას.

საჭიროა განსაკუთრებით შევჩერდეთ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების გამოყენების პრაქტიკაზე საქართველოს მეცხოველეობის მთაგორიან რაიონებში.

ამ რაიონების პირობებში საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების თავისებურება ის არის, რომ მემინდვრეობას მათში უაღრესად დამხმარე ხასიათი აქვს. ამიტომ ამ რაიონებში მიზანშეწონილი არ არის მიწის იმ ნაკვეთებისა და საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება, რომლებიც მემინდვრეობასთან არიან დაკავშირებული. **კოლმეურნეობათა შექმნას და განმტკიცებას საფუძვლად უნდა დაედოს საკოლმეურნეო პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარება.**

მაგრამ წესდების თანახმად როდი ხდება პროდუქტიული პირუტყვის განსაზოგადოება. საკოლმეურნეო მეცხოველეობის შექმნა ასეთ მთაგორიან კოლმეურნეობებში **უნდა მიმდინარეობდეს პირუტყვის შესყიდვითა და საკოლმეურნეო ჯოგის რეპროდუქციით.** ვინაიდან პირუტყვის არსებული სულადობა ბევრ ასეთ კოლმეურნეობაში უმნიშვნელოა, იგი ვერ ნთქავს ყველა იმ შრომით რესურსს, რომლებიც ამ კოლმეურნეობებში მოიპოვება. ამასთან დაკავშირებით, საჭირო შეიქნა დაგვეწესებინა, კოლმეურნეობებში შემოსავლის შრომადღეების მიხედვით განაწილების წესის დამატებით, შემოსავლის ნაწილის განაწილება კოლმეურნეებს შორის მათ მიერ წინათ განსაზოგადოებული პირუტყვის რაოდენობის მიხედვითაც.

დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების და სამხრეთ-ოსეთის რაიონული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ აფასებდნენ ამ თავისებურებებს და კოლმეურნეობათა შექმნისა და განმტკიცებისთვის მუშაობაში დაუშვეს მთელი რიგი დამახინჯებანი.

ზოგ შემთხვევაში ცდილობდნენ მემინდვრეობის ბაზაზე შეექმნათ და განემტკიცებინათ კოლმეურნეობანი მთაგორიანსა და მეცხოველეობის რაიონებში; ზოგ შემთხვევაში ახდენდნენ პროდუქტიული პირუტყვის განსაზოგადოებას. არ ასრულებდნენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მითითებას შემოსავლის ნაწილის განაწილების შესახებ. წინათ განსაზოგადოებული პირუტყვის მიხედვით.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ც. კ-ს დასჭირდა მაგრად გაესწორებინა ამ საკითხებში, როგორც ყაზბეგისა და დუშეთის რაიონები, ისე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელები.

ც. კ-მა მხედველობაში მიიღო საკოლმეურნეო მშენებლობის თავისებურებანი მეცხოველეობის მთაგორიან რაიონებში და ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ მრავალ სოფელში არ მოიპოვება პირობები კოლმეურნეობათა გადასაყვანად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე, ამიტომ წინადადება მისცა სამხრეთ-ოსეთის ოლქკომს, ყაზბეგისა და დუშეთის რაიკომებს მიაპყრონ თავისი ყურადღება ამ კოლმეურნეობათა განმტკიცებას მათი ახლანდელი ფორმით; ამასთანავე მათ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებას, რათა ყოველ ცალკე კოლმეურნეობაში ფართოდ განვითარებული საკოლმეურნეო მეცხოველეობის სახით საწარმოო ბაზის შექმნისა და განმტკიცების შემდეგ [illegible] ისინი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე.

ც. კ-ის ამ მითითების შესრულება მოითხოვს მეცხოველეობის მთაგორიან რაიონთა რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისგან გულმოდგინე მუშაობას საკოლმეურნეო მეცხოველეობის განმტკიცება - განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ამხანაგები საკოლმეურნეო მეცხოველეობის საკითხებზე ნაკლებად მუშაობენ. შრომა საკოლმეურნეო ფერმებში ცუდად არის მოწყობილი. არ არის დაწესებული მოზარდეულის გამოზრდისა, წველისა, პირუტყვის სიმსუქნისა და ნაპარსის გამომუშავების ნორმები. ბრიგადირთა, მწყემსთა და მწველავთა შრომის ანაზღაურება არ არის ისე მოგვარებული, რომ იგი დამოკიდებული იყოს შესრულებული სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხზე.

ფართოდაა გავრცელებული ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა საკოლმეურნეო პირუტყვის ნაშატის კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში დატოვებისა.

ამის შედეგად მრავალ სარძე-სასაქონლო ფერმასა და მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში გვაქვს პირუტყვის სულადობის შემცირება და ჯოგის სტრუქტურის გაუარესება.

ასე, მაგალითად, დუშეთის რაიონის ფასანაურის სოფლსაბჭოს სოფ. ჩალისსოფლის კოლმეურნეობაში 1930 წელს სარძე-სასაქონლო ფერმაში ჰყავდათ 56 სული პირუტყვი, მათ შორის ძროხა — 24, ხოლო 1936 წლის 1 ივლისს დარჩათ მხოლოდ 28 სული, მათ შორის ძროხა 10.

გუდამაყრის სოფლსაბჭოს სოფ. ჩაბალურის კოლმეურნეობაში 1931 წელს ჰყავდათ განსაზოგადოებული ცხვარი 1100 სული, ხოლო 1936 წლის 1 ივლისს დარჩათ მხოლოდ 872 სული.

თუ ასე ვაწარმოვეთ საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარება მეცხოველეობის მთიან რაიონებში, ჩვენ ვერ შევძლებთ კოლმეურნეობათა განმტკიცებას და მეცხოველეობას ვერ განვავითარებთ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის გადაწყვეტილებაში 1936 წლის 10 აგვისტოს თარიღით წინადადება მისცა მეცხოველეობის მთიან რაიონთა ხელმძღვანელებს გულმოდგინედ შეისწავლონ რაიონში არსებული კოლმეურნეობების მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი მათში იმ საკოლმეურნეო მეცხოველეობის ასამაღლებლად და განსავითარებლად, რასაც პირველ რიგში (ცხვარი, მსხვილი რქიანი პირუტყვი და სხვ.) აქვს თავისი განვითარების პერსპექტივები მოცემულ კოლმეურნეობაში.

სარძე-სასაქონლო ფერმისა და მეცხვარეობის სასაქონლო ფერმის ჯოგის სტრუქტურის გამოსასწორებლად ც. კ-მა წინადადება მისცა მოეხდინათ გულმოდგინე გადარჩევა პირუტყვისა ფერმებში წუნის გამოსარკვევად, მოეწყოთ პროდუქტიული სულადობის (ძროხისა და დედა ცხვრის) შესყიდვა მთის რაიონთა მეცხოველეობის კოლმეურნეობებისათვის და უკეთ დაეყენებინათ სარძე-სასაქონლო ფერმებსა და მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში პირუტყვის მოვლის საქმე.

როგორც იცით, საქართველოს ც. კ-ის თხოვნით საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1936 წელს მისცა საქართველოს კოლმეურნეობებს იმ პირუტყვის შესასყიდად, რომელიც პირადი სარგებლობის ნორმაზე მეტი ჰყავდათ კოლმეურნეებს, კრედიტი 4 მილიონზე მეტი მანეთის რაოდენობით. დიდძალი პირუტყვი გადაეცემა მათ აგრეთვე კოლმეურნეობებს კრედიტად იმ საბჭოთა მეურნეობებიდან, რომელთა ლიკვიდაციაც ხდება.

ეს ორი ღონისძიება, რომელთაც სახელმწიფო გაატარებს, ხელს შეუწყობს მთის რაიონთა მეცხოველეობის კოლმეურნეობების სწრაფად განმტკიცებას და მათი საწარმოო ბაზის ზრდას.

ამავე დროს, მივიღებთ რა მხედველობაში, რომ მეცხოველეობის მთიანი რაიონების მთელ რიგ სოფლებში ამჟამად არ მოიპოვება პირობები კოლმეურნეობათა შესაქმნელად სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების მიხედვით, როგორც სჩანს, საჭირო იქნება საბჭოთა VII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად დაშვებულ იქნას ამ სოფლებში მეცხოველეობის ამხანაგობათა მოწყობა, როგორც გაერთიანების პირველადი ფორმისა.

ც. კ-ის პლენუმზე ამჟამად ძნელია წინასწარ გავითვალისწინოთ ამ ამხანაგობათა შექმნისა და მუშაობის მთელი დეტალები. უნდა დაევალოს ც. კ-ის ბიუროს სპეციალურად შეუდგეს ამხანაგობათა შესახებ დებულების დამუშავებას იმ მიზნით, რომ შემდეგ ვურჩიოთ მათი მოწყობა იმ სოფლებში, სადაც ჯერ არ არსებობს პირობები უშუალოდ კოლმეურნეობათა შესაქმნელად.

O

ამხანაგებო! მე განზრახ გავჩერდი ასე დაწვრილებით იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არსებობს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების პრაქტიკაში, რათა გამემახვილებინა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ყურადღება მათი გამოსწორების ამოცანებზე, ვინაიდან რაც უფრო ჩქარა გამოვასწორებთ ამ ნაკლთ, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი წარმატებები კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და ზრდის საქმეში.

ხოლო ჩვენი წარმატებები კოლმეურნეობათა ზრდასა და განმტკიცებაში — უდავოა.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე საქართველოს კოლმეურნეობები იზრდებიან, მაგრდებიან და მტკიცედ მიდიან შეძლებული ცხოვრებისკენ.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

საქართველოში ცოტანი როდი არიან კარგად მომუშავე კოლმეურნეობები, რომლებიც სწორად ახორციელებენ სტალინურ წესდებას, განმტკიცდნენ, და ამ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებმა უკვე მიაღწიეს შეძლებულ ცხოვრებას.

აიღეთ ხ. გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში (თავმჯდ. გუჩია ხაჯავა). 1935 წელს კოლმეურნეობამ მიიღო 1.356.224 მან. შემოსავალი, იმ შემოსავლის ჩაუთვლელად, რომელსაც კოლმეურნეები საკარმიდამო ნაკვეთებზე ღებულობენ.

მთელი შემოსავლიდან კოლმეურნეობამ შრომადღეებისთვის გამოჰყო 1.020.000 მანეთი. თვითეულმა საკოლმეურნეო მეურნეობამ 2200 მანეთზე მეტი მიიღო ფულად და 90 ფუთზე მეტი მარცვლეული. ამ კოლმეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება წლითი-წლობით იზრდება. 1932 წელს ამ კოლმეურნეობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 365.000 მანეთს უდრიდა, 1936 წლის პირველ იანვარს კი იგი უკვე 854.000 მანეთს შეადგენდა.

თუ 1933 წელს ამ კოლმეურნეობაში კოლმეურნეებმა ფულად და ნატურით თითო შრომადღეზე 6 მან. და 40 კაპ. მიიღეს, 1935 წელს შრომადღის ღირებულება უკვე 16 მანეთამდე გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში ანარიცხი კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში 67.463 მანეთიდან 197.542 მანეთამდე გადიდდა წესდების პუნქტის სწორად განხორციელებით განუყოფელ ფონდში გადარიცხვის შესახებ.

ალბულაღის რაიონის სოფ. ახურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდ. ოტო კოხი) 1935 წლის განმავლობაში მიიღო 2.286.000 მანეთი შემოსავალი. შრომადღეებისთვის გამოჰყო 1.400.000 მანეთი და გასცა თითო შრომადღეზე 9 მან. და 47 კაპ.

ამ კოლმეურნეობის ძირითად საშუალებათა ღირებულება 1933 წელს 850.000 მანეთს შეადგენდა, 1936 წლის 1 იანვრისთვის კი 1.450.000 მანეთამდე გაიზარდა.

განუყოფელ ფონდში გადანარიცხი ამ კოლმეურნეობაში 1933 წელს 289.500 მან. შეადგენდა, ხოლო 1935 წელს—317.000 მანეთს.

მახარაძის რაიონის სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდ. ილია დოლიძე). 1935 წელს მიიღო შემოსავალი 703.850 მანეთი წინააღმდეგ 1933 წლის 144.880 მანეთისა. ამ კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა 1935 წელს თითო შრომადღეზე ნატურით და ფულად 7 მანეთზე მეტი მიიღეს წინააღმდეგ 1933 წლის 2 მანეთისა. საშუალოდ თვითეულმა კოლმეურნე მეურნეობამ მიიღო ფულად 1434 მან. და 60 ფუთზე მეტი მარცვლეული.

ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე პლატონ ბარბაქაძე) შარშან მიიღო 937.900 მან. შემოსავალი, აქედან შრომადღეებზე გაანაწილა 781.730 მან. თვითეულმა საკოლმეურნეო მეურნეობამ საშუალოდ მიიღო 4.316 მან. ფულად და 130 ფუთი მარცვლეული. თითო შრომადღეზე ამ კოლმეურნეობაში ფულად და ნატურით კოლმეურნეობამ მიიღო 11 მან. და 50 კაპ.

კოლმეურნეობის ძირითად საშუალებათა ღირებულებამ 1936 წლის 1 იანვრისთვის 193 ათასი მანეთი შეადგინა.

ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალმა (თავმჯდომარე გ. ტაკიძე) შარშან 825.000 მან. შეადგინა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების შემოსავლის ჩაუთვლელად.

კოლმეურნეობის თვითეულმა მეურნეობამ მიიღო 1200 მანეთზე მეტი ფულად და 50 ფუთი მარცვლეული. შრომადღის ღირებულება 1934 წლის 2 მან. 50 კაპ.-დან ავიდა 8 მანეთსა და 53 კაპეიკამდე 1935 წელს.

კოლმეურნეობის ძირითად საშუალებათა ღირებულებამ 1936 წლის 1 იანვრისთვის 640.500 მანეთი შეადგინა.

გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (აფხაზეთის ასსრ, — თავმჯდ. **გიორგი ჯგუბურია**) 1935 წელს ჰქონდა შემოსავალი 832.000 მანეთი წინააღმდეგ 280.000 მანეთისა 1934 წელს. შარშან შრომადღეებზე, გაანაწილეს 614.420 მან. შრომადღის ღირებულება შარშან 6 მანეთს აღემატებოდა ნაცვლად 1 მან. და 97 კაპიკისა 1934 წელს. ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1936 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა 555.000 მანეთს.

ამ და მრავალ სხვა კარგად მომუშავე კოლმეურნეობათა მაგალითი საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა ზრდისა და განმტკიცების საქმეში სტალინური წესდების სწორ განხორციელებას.

ჩვენი კოლმეურნეობების ზრდისა და განმტკიცების საფუძველზე განუხრელად იზრდება და ფართოვდება კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

კოლმეურნე ქ. მიმინოშვილმა, მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა 1935 წელს 3.611 მანეთი გააკეთა ფულად და 2.300 კილოგრამი მარცვლეული.

კოლმეურნეობაში შესვლამდე მიმინოშვილი მოჯამაგირეობდა, ცხოვრობდა ჩალით დახურულ ქოხში. ამჟამად მიმინოშვილს ოთხ ოთახიანი საცხოვრებელი სახლი აქვს კრამიტით დახურული, აქვს სამზარეულო სასიმინდე, ბეღელი, ბოსელი და სხვ.

მან შეიძინა საოჯახო ნივთები, მოაწყო ბინა შიფონერით, ბუფეტით, ავეჯით, შეიძინა პატეფონი და სხვ. საკარმიდამო ნაკვეთიდან მიიღო შემოსავალი 14.400 მანეთი.

კოლმეურნე უსუფ ჯინჭარაძემ, ამავე კოლმეურნეობის წევრმა გაფართოვა თავისი საცხოვრებელი სახლი, ამ სახლში გაიკეთა 6 ოთახი, შეიძინა რკინის საწოლები, ბუფეტი, მაგიდა, სკამები, ლოგინი, საოჯახო მოწყობილობა, ჰყავს ძროხა და ფრინველი. 1935 წელს მისმა ოჯახმა გამოიმუშავა 802 შრომადღე და ფულად მიიღო 13.840 მან.

საკარმიდამო 0,75 ჰექტარი ნაკვეთიდან მან მიიღო 72.000 (ცალი მანდარინი, რომელთაგან სახელმწიფოს მიჰყიდა 68.000 (ცალი და მიიღო 14.000 მან. სახელმწიფოს ჩააბარა 40 ფუთი ყურძენი 450 მანეთად, სხვა ხილის გაყიდვით მიიღო 350 მანეთი. **სულ მიიღო 28.640 მანეთის ფულადი შემოსავალი.**

კოლმეურნე ქ. სოფიანიდი — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრი, წარსულში ღარიბი გლეხი იყო. 1935 წელს კოლმეურნეობაში შრომადღეებით მიღებული ფულით აიშენა 4 ოთახიანი საცხოვრებელი სახლი, შეიძინა 2 ძროხა, შეიძინა საოჯახო ნივთები, საწოლები, საკერავი მანქანა, შიფონერი და სხვ. შვილს უყიდა ველოსიპედი, საათი (კედლისა და მაჯისა). უზრუნველჰყო ოჯახი ტანსაცმელით, თეთრეულითა და ლოგინის მოწყობილობით.

1935 წელს კოლმეურნე სოფიანიდის ოჯახმა გამოიმუშავა 1.037 შრომადღე და ფულად მიიღო 16.094 მანეთი. გარდა ამისა მან თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან მიიღო 40.000 მანდარინი, რომელთაგან სახელმწიფოს ჩააბარა 38.000 ცალი და ფულად მიიღო 9.000 მანეთი. 1935 წელს კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო მეურნეობიდან სულ ფულად მიიღო **25.894 მანეთი.**

კოლმეურნე ხ. გოგოტიშვილმა, იმავე კოლმეურნეობის წევრმა 1935 წელს კოლმეურნეობიდან ფულად მიიღო 2.827 მანეთი და 1.600 კილოგრამი მარცვლეული. საკარმიდამო მეურნეობიდან (ჩაი და ციტრუსები, ხილი) მიიღო 15.800 მანეთის შემოსავალი.

კოლმეურნე გიორგი გორგილაძე — ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (მახარაძის რაიონი) წევრი, კოლმეურნეობაში შესვლამდე ღარიბი გლეხი იყო. 1935 წელს გორგილაძემ აიშენა 6 ოთახიანი საცხოვრებელი სახლი, მორთო ბინა ავეჯეულობით, შიფონერით, ბუფეტით, ოტომანკით და სხვ. ჰყავს 2 ძროხა, 1 დეკეული, 1 ღორი მოზარდეულით, 100 ფრთაზე მეტი ფრინველი. 1935 წელს კოლმეურნე გორგილაძემ საკოლმეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთიდან ფულად მიიღო 38.577 მან. შემოსავალი.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის ანდერძის“ წევრი. მნაცაკ ოჰანეზოვი — ყოფილი ღარიბია. 1935 წელს მისმა ოჯახმა გამოიმუშავა 981 შრომადღე და ფულად მიიღო 10.437 მანეთი, მარცვლეული 3.725 კილოგრამი, კარტოფილი 490 კილოგრამი, ლობიო — 294 კილოგრამი და სხვ. აქვს საკარმიდამო 0,4 ჰექტარი ნაკვეთი, რომელზედაც დარგო ხეხილი. ახლა კოლმეურნე ოჰანეზოვს აქვს ახლად აგებული 4-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი, პირად სარგებლობაში ჰყავს პირუტყვი და ფრინველი, სცხოვრობს შეძლებულად და კულტურულად.

ისო გოდერძიშვილი — იმავე კოლმეურნეობის წევრია, 1935 წელს გამოიმუშავა 590 შრომადღე და ფულად მიიღო 6.309 მანეთი, ნატურით 2.800 კილოგრამი (მარცვლეული და კარტოფილი), აქვს საკარმიდამო 0,35 ჰექტარი ნაკვეთი, რომელზეც გააშენა ბოსტანი, ბაღჩა და ბაღი. კოლმეურნე გოდერძიშვილმა 1934-35 წლებში აიშენა 3-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი, შეიძინა ავეჯი, ნოხი, საცვალი, ლოგინი, ტანსაცმელი და სცხოვრობს კულტურულად და შეძლებულად.

საქართველოს სოფლებში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე **შეძლებული და კულტურული ცხოვრების ზრდის ასეთი მაგალითი ახლა უკვე შეგვიძლიან მოვიყვანოთ არა ასობით არამედ ათასობით.**

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება — ეს კოლმეურნეობათა ზრდისა, განმტკიცებისა და ყველა კოლმეურნეობის შეძლებულად გადაქცევის ერთადერთი გზაა.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად განხორციელებით, ჩვენ იმას უნდა ვაღწევდეთ, რომ თვითეული ჩვენი კოლმეურნეობა იყოს მტკიცე, ძლიერი, მდიდარი კოლმეურნეობა, რომ საქართველოს თვითეული კოლმეურნე შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობდეს.

III. საკ.კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება საბჭოთა მეურნეობების ნაწილის ლიკვიდაციის და კოლმეურნეობათათვის მიწების მიზომვის შესახებ

საქართველოში კოლმეურნეობათა განმტკიცების ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო - პოლიტიკურ ღონისძიებას წარმოადგენს მათი მიწათსარგებლობის გაფართოვება საბჭოთა მეურნეობების, მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების მეურნეობათა ნაწილის ლიკვიდაციის ხარჯზე და საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ზედმეტი მიწის მონაჭრების ხარჯზე.

ამ ღონისძიებას ჩვენ ვატარებთ ამხანაგი სტალინის ინიციატივითა და მითითებით.

როგორც თქვენ იცით, მოსკოვში პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით, ამხანაგ **სტალინმა** ჩვენი ყურადღება მიაქცია საბჭოთა მეურნეობების დიდ რაოდენობას, რომელთა ნაწილი მოწყობილია გლეხების მიწებზე, მაშინ როდესაც საქართველოში მიწის საერთო ნაკლებობაა, და მიგვითითა მათი შემცირების საჭიროებაზე.

საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ ამხანაგი **სტალინის** მითითების განსახორციელებლად შემდეგი მუშაობა გასწიეს.

ყველა არსებული საბჭოთა მეურნეობა გულმოდგინედ იქნა გადასინჯული; შესწავლილ იქნა მათ გარშემო კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის მდგომარეობა და შემუშავებულ იქნა ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების ნაწილის, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების მეურნეობათა ლიკვიდაციისა და საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათაგან ზედმეტი მიწების ჩამოსაჭრელად.

ეს ღონისძიებანი შეტანილი იქნა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში, დამტკიცებულ იქნა მათ მიერ და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ამ საკითხზე გამოქვეყნებული იყო პრესაში.

როგორც ვიცით, 1929-31 წლებში საკ. კ.პ. (ბ) **ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთერთი პოლიტიკური შეცდომა გლეხობაზე ხელმძღვანელობის დარგში იყო საბჭოთა მეურნეობების უთავბოლოდ დანერგვა, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ გამოყოფილი მიწის ვარგისობას, აწყობდნენ მეურნეობებს წყლისა და გზების უქონელ ან ჭაობიან ადგილებში** დასახლებული პუნქტებიდან დაშორებით, **ხშირად ისეთ მიწაზე, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდათ მცირე მიწიან გლეხობას.**

ასეთი საბჭოთა მეურნეობების შესაქმნელად დაიხარჯა მრავალი მილიონი საბჭოთა მანეთი, ძალები, მასალა, მრავალი საბჭოთა მეურნეობა თავისი არსებობისათვის რაიმე პერსპექტივისა და შესაძლებლობათა უქონლობის გამო არარენტაბელური იყო. მათს მეურნეობას უძღვებოდნენ უმსგავსოდ. ისინი გარშემო კოლმეურნეობებს, რასაკვირველია, ვერავითარ მაგალითს ვერ აძლევდნენ და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდნენ.

ასწორებდა რა ამ შეცდომებს, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლიდან 1936 წლამდე განვლილი დროის განმავლობაში მოახდინა მთელი რიგი ასეთი საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია და მათ ანგარიშზე საქართველოს კოლმეურნეობებს გადასცა 20.000 ჰექტარზე მეტი მიწა.

მაგრამ, ჩვენ მიერ გაწეული მუშაობა საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაციისა და გადასინჯვის დარგში საკმაო არ იყო და საჭირო გახდა ამხანაგ **სტალინის** ჩარევა, რომ ჩვენ უფრო გადაჭრით და გაბედულად მოგვეკიდნა ხელი იმ შეცდომათა გამოსწორებისთვის, რომლებიც თავის დროზე დაშვებული იქნა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში.

1936 წლის 1 ივლისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით საქართველოში ჩვენ გვქონდა 284 საბჭოთა მეურნეობა, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციისა და სხვ. ორგანიზაციების მეურნეობანი მიწის 285.417 ჰექტარი საერთო ფართობით. აქედან:

ა) ჩაის პლანტაციები	7.737	ჰექტ.
ბ) ციტრუსოვანი პლანტაციები	1.579	„
გ) დანარჩენი სუბტროპიკული და ტექნ. კულტურები (ტუნგო, გერანი, მუშმულა, იაპონური ხურმა და სხვ.)	2.142	„
დ) ვენახი	2.258	„
ე) ხეხილის ბაღები	3.528	„
ვ) ვენახის, ციტრუსებისა და ხეხილის კულტურების სანერგეები და სადედეები	1.045	„
ზ) სატყეო-ტექნიკური ნარგავები (საკორპე მუხა, ბამბუკი, ევკალიპტი და სხვ.)	1.958	„
თ) სახნავი	49.992	„
ი) სათიბი	16.651	„
კ) საზაფხულო საძოვრები	48.293	„
ლ) საზამთრო საძოვრები	89.734	„
მ) ტყეები და ბუჩქნარები	39.741	„
ნ) საბალახოები	2.900	„
ო) საკარმიდამო მიწები	2.301	„
პ) უვარგისი მიწები (ხევები, ჭაობები, მდინარეები და სხვ.)	15.558	„

საქართველოს ყველა საბჭოთა მეურნეობასა და მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების მეურნეობებში ამავე პერიოდისათვის გვყავდა:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	15.130	სული.
მათ შორის: ძროხა და ფურკამეჩი	6.270	„
ბ) ცხენი	5.094	„
გ) ცხვარი და თხა	214.185	„
მათ შორის დედალი თხა და ცხვარი	99.098	სული
დ) ღორი	12.340	„
მათ შორის დედალორი	1.060	„

საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათა **სამანქანო-ტექნიკური ბაზა** შესდგებოდა 677 ტრაქტორისა, 280 ავტომანქანისა, 124 კომბაინისა და 39 სალეწი მანქანისაგან.

საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათა ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება დაახლოვებით უდრიდა 262.065 ათას მანეთს.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოთა მეურნეობების გადასინჯვის შედეგად საქართველოში ხდება 163 საბჭოთა მეურნეობის, მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობის ლიკვიდაცია და მიწები უნდა ჩამოეჭრას 72 საბჭოთა მეურნეობას და მეურნეობებს.

ამის ხარჯზე საქართველოს კოლმეურნეობებს მუდმივ სარგებლობაში გადაეცემათ **111.787 ჰექტარი მიწა,** აქედან:

ა) ჩაის პლანტაციები	629	ჰექტ.
ბ) ციტრუსოვანი პლანტაციები	62	„
გ) დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები (ტუნგო, გერანი, მუშმულა, იაპონური ხურმა და სხვ.)	125	„
დ) ვენახი	394	„
ე) ხეხილის ბაღები	1.532	„
ვ) ვენახის, ციტრუსებისა და ხეხილის კულტურების სანერგეები და სადედეები	206	„
ზ) სატყეო-ტექნიკური ნარგავები (კორპის მუხა, ბამბუკი, ევკალიპტი და სხვ.)	117	„
თ) სახნავი	27.243	„
ი) სათიბი	9.152	„
კ) საზაფხულო საძოვრები	24.742	ჰექტარი
ლ) საზამთრო საძოვრები	27.856	„
მ) ტყეები და ბუჩქნარები	13.770	„
ნ) საბალახოები	1.532	„
ო) საკარმიდამო მიწები	558	„
პ) უვარგისი მიწები (ხევები, ჭაობები, მდინარეები და სხვ.)	3.816	„

იმ საბჭოთა მეურნეობების დანარჩენი ფართობი, რომელთა ლიკვიდაციაც ხდება, 12.412 ჰექტარის რაოდენობით (ტყე, მრავალწლოვანი ნარგავები, სახნავი მიწები, საძოვრები) მიეზომებათ დარჩენილ საბჭოთა მეურნეობებს, გადაეცემათ სკოლებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს კარმიდამოებისათვის, ტყეების ნაწილი დატოვებული იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებად და ტერიტორიის ნაწილი გამოყენებული იქნება როგორც გადასახლება - დასახლების ფონდი.

იმ საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობების პირუტყვის სულადობიდან, რომელთა ლიკვიდაციაც ხდება დარჩენილი საბჭოთა მეურნეობების განმტკიცების მიზნით, განზრახულია გადაეცეს დარჩენილ საბჭოთა მეურნეობებს და მეურნეობებს.

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1.171	სული
მათ შორის: ძროხა და ფურკამეჩი	796	„
ბ) ცხენი	714	„
გ) ცხვარი და თხა	2.006	„
მათ შორის დედალი თხა და ცხვარი	875	„
დ) ღორი	810	„
მათ შორის დედალორი	235	„

დანარჩენი სულადობა გაიყიდება ახლო მდებარე კოლმეურნეობებზე შემდეგი რაოდენობით:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	6.960	სული
მათ შორის: ძროხა და ფურკამეჩი	3.124	„
ბ) ცხენი	645	„
გ) ცხვარი და თხა	64.848	„
მათ შორის დედალი თხა და ცხვარი	43.777	სული
დ) ღორი	7.130	„
მათ შორის დედალორი	930	„

იმ საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათა სამანქანო-ტექნიკური ბაზა რომელთა ლიკვიდაციაც ხდება, განზრახულია გადაეცეს დარჩენილ საბჭოთა მეურნეობებსა და მეურნეობებს და არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პარკის შესავსებად.

ნაგებობანი იქ, სადაც ეს მოსახერხებელია მათი ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით, ნაწილობრივ გადაეცემა დარჩენილ საბჭოთა მეურნეობებს, ნაწილობრივ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, სკოლებსა და რაიაღმასკომებს, ხოლო ნაწილობრივ აგრეთვე გაიყიდება კოლმეურნეობებზე.

კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად იმ პირუტყვის, მრავალწლოვანი ნარგავებისა და შენობების შეძენაში, რომლებიც მათ გადაეცემათ, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ თავიანთ გადაწყვეტილებაში გაითვალისწინეს გრძელვადიანი საწარმოო კრედიტის მიცემა კოლმეურნეობებისათვის.

კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის გაფართოვების ამ ღონისძიებას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა განმტკიცების, კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის გადიდების საქმეში. იგი წარმოადგენს პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის უდიდეს დახმარებას საქართველოს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის.

პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ახლავე სწორად, გონივრად უნდა მოახდინონ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია, არ დაუშვან რაიმე შეცდომები და გამრუდებანი და ამ გადაწყვეტილებით დასახული ყველა ღონისძიება განახორციელონ დაწესებულ ვადებში, ე. ი. მემინდვრეობის მეურნეობებში დაამთავრონ მუშაობა 1936 წლის 1 სექტემბრისათვის, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში — 1936 წლის 1 ოქტომბრისათვის და მრავალწლოვან ნარგავებიან საბჭოთა მეურნეობებში — 1936 წლის 1 დეკემბრისათვის.

ამ მუშაობის გატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით შექმნილია მთავრობის კომისია ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და ამხ. ილიუშინის, მათიკაშვილის, გოგიას, ხუპონევის, კეკელიას და ბოსტარიას შემადგენლობით.

რაიონებში შექმნილია ანალოგიური კომისიები, რომლებშიაც შედიან რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, რაიმიწგანების გამგეები, სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სახბანკის რაიონულ განყოფილებათა მმართველები, იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რომელთა ლიკვიდაციაც ხდება, და იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც გადაეცემა საბჭოთა მეურნეობებისა და მეურნეობათა მიწა, ქონება და პირუტყვი.

შემუშავებულია სპეციალური დეტალური ინსტრუქცია, რომელიც განხილული და დამტკიცებულია საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ.

მოწვეულ იქნა რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა, რაიმიწგანების გამგეთა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო ბანკების მუშაკთა სპეციალური თათბირი.

რაიონულმა ორგანიზაციებმა ახლა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ სანიმუშოდ აითვისონ ის მიწები, რომლებიც მათ გადაეცემათ, და მოაწყონ პირუტყვისა და მრავალწლოვანი ნარგავების მოვლა. მათ თვითეული კოლმეურნეობისათვის უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა იმ მიწებზე, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებისაგან კოლმეურნეობებს გადაეცემა, თავის დროზე დაითესოს საშემოდგომო კულტურები, მძლავრად მოიხნას ისინი, შეკეთდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, წესრიგში იქნას მოყვანილი საძროხეები, საღორეები, თავლები და სავსებით უზრუნველყოფილ იქნას გადასაცემი პირუტყვი ზამთრის საკვებით.

საქართველოს მიწსახკომმა რაიონულ ორგანიზაციებთან ერთად, განსაკუთრებით ბაშკიჩეთისა, ახალქალაქისა ბოგდანოვკისა და ტბილისის რაიონებში, პირუტყვის სანიმუშო მოვლის მოსაწყობად უნდა მოამზადოს და შეარჩიოს ზოოტექნიკოსთა და სპეციალისტთა საუკეთესო კადრები კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ საბჭოთა მეურნეობაში, მეტადრე ეს ეხება მუშათა მომარაგების განყოფილებათა და კოოპერაციის მეურნეობებს, მომავალ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უკვე ახლავე მიჰყავს ხელი ქონების განიავებას. აქა-იქ პირუტყვს ჰკლავენ და ჰყიდიან გარეშეებზე, ჰყიდიან ქონებას და სხვ. უნდა გავაფრთხილოთ, რომ ამაში დამნაშავე პირნი სასტიკად დაისჯებიან, მიცემული იქნებიან სამართალში და მათ სისხლის სამართლის წესით გაასამართლებენ.

ვიმეორებ, მუშაობა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესასრულებლად უნდა გატარდეს ორგანიზებულად და გულდასმით, ამ დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის სრული პასუხისმგებლობის გრძნობით.

როდესაც საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე დავაყენეთ საკითხი მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაციისა და მიწის ჭარბი ნაკვეთების შესახებ, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა და საქართველოს სახკომსაბჭომ დაივალეს 1-2 წლის განმავლობაში ნამდვილად სანიმუშო რენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებად იქციათ ყველა დარჩენილი საბჭოთა მეურნეობა.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების გატარების შემდეგ ჩვენში, საქართველოში კიდევ რჩება 121 საბჭოთა მეურნეობა, მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერაციისა და სხვა მეურნეობანი.

ჩაის საბჭოთა მეურნეობა — 15, 15.768 ჰექტარი საერთო ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: ჩაით 4.750 ჰექტარი და ციტრუსოვანი და სუბტროპიკული ნარგავებით — 1.247 ჰექტარი.

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა — 16, 4.050 ჰექტარი საერთო ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: ციტრუსის ნარგავებით 1.198 ჰექტარი და სანერგით — 153 ჰექტარი.

სხვა სუბტროპიკულ კულტურათა — 8 საბჭოთა მეურნეობა, 3.611 ჰექტარი ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: ტუნგოთი 775 ჰექტარი, ეთერ-ზეთოვანი კულტურებით — 494 ჰექტარი და სხვა სუბტროპიკული კულტურებით — 429 ჰექტარი.

მევენახეობა-მეღვინეობისა — 16 საბჭოთა მეურნეობა 11.544 ჰექტარი ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: ვენახით — 1.560 ჰექტარი, სანერგეებითა და სადედეებით — 318 ჰექტარი.

ხეხილისა — 5 საბჭოთა მეურნეობა 1.794 ჰექტარი ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: ხეხილის ნარგავებით — 1.330 ჰექტარი და სანერგეებით — 77 ჰექტარი.

რამისა — 3 საბჭოთა მეურნეობა 1093 ჰექტარი ფართობით, რომლიდანაც უკვე დაკავებულია რამის კულტურით 184 ჰექტ.

სატყეო-ტექნიკური მეურნეობა — 4, მისი ფართობია 1.427 ჰექტარი, რომლიდანაც უკვე დაკავებულია: საკორპე მუხით — 479 ჰექტარი, ეუკომიით — 96 ჰექტარი.

მარცვლეულის მეურნეობა — 1, მისი ფართობია 16.145 ჰექტარი, რომლიდანაც უკვე დაკავებულია მარცვლეული კულტურებით 8.658 ჰექტარი.

მეცხენეობისა — 4 საბჭოთა მეურნეობა 8.366 ჰექტარი ფართობით და 1.347 სული ცხენით.

მეცხოველეობისა — 5 საბჭოთა მეურნეობა 92.154 ჰექტარი ფართობით, აქედან: სათიბი — 6.100 ჰექტარი, საძოვარი საზაფხულო და საზამთრო — 74.880 ჰექტარი, 2.035 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვით, 473 ცხენით, 123.848 ცხვრითა და თხით და 1.096 სული ღორით.

მემხეცეობისა — საბჭოთა მეურნეობა 136 სული მოვერცხლისფრო შავი მელით.

მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობანი — 48, მიწის 5.305 ჰექტარი საერთო ფართობით.

თუ ამას შევადარებთ სხვა მხარეებსა და რესპუბლიკებს, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენში კიდევ რჩება საბჭოთა მეურნეობების დიდი რაოდენობა. ამასთან საბჭოთა მეურნეობები შრომატევადი მეურნეობით, სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც კოლოსალურ თანხად უღირს სახელმწიფოს.

აიღეთ, მაგალითად, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მისი ღირებულება შეადგენს 8.260.600 მანეთს, ლაითურის **კიროვის** სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ღირებულება შეადგენს 8.222.300 მანეთს, ოჩხამურის **სტალინის** სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა —8.000.000 მანეთს, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა — 7.387.000 მან., კვირიკეს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობისა — 4.000.000 მან., ვარიანის ხეხილის საბჭოთა მეურნეობისა—დაახლოვებით 3.000.000 მან., ბრეთის ხეხილის საბჭოთა მეურნეობისა — 3.000.000 მან., ქიწნისის ხეხილის ახალი საბჭოთა მეურნეობისა — 2.000.000 მან. და სხვ.

როგორც ხედავთ, ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში კოლოსალური ფულია ჩაყრილი, და სახელმწიფო მოითხოვს, რათა საბჭოთა მეურნეობებმა გაამართლონ ეს კაპიტალდაბანდებანი, აწარმოონ და ჩააბარონ სახელმწიფოს თავისი პროდუქცია (ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი და სხვ.), მაღალახარისხოვანი, იაფად, დაწესებულ ვადებში გეგმით დამტკიცებული რაოდენობით, მაგალითი მისცენ და დახმარება აღმოუჩინონ მეზობელ კოლმეურნეობებს და ნამდვილი სანიმუშო მეურნეობები გახდნენ.

რა ვაკეთეთ ჩვენ იმისათვის, რომ წესრიგში მოგვეყვანა ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი და გაგვემართლებინა ის ზრუნვა და ყურადღება, რომლითაც პარტია და მთავრობა საბჭოთა მეურნეობებს ეპყრობიან?

საქართველოს ბოლშევიკებს უდიდესი მუშაობა აქვთ გაწეული საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თუ იმ მდგომარეობას, რაც საბჭოთა მეურნეობებში 3-4-5 წლის წინათ იყო, შევადარებთ იმას, რაც იქ ახლა არის, განსხვავება უეჭველად კოლოსალური იქნება. მაგრამ ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი რომ ნამდვილად სანიმუშო საბჭოთა მეურნეობებად გადავაქციოთ, ჯერ კიდევ ბევრი და კარგი მუშაობაა საჭირო.

სანიმუშო საბჭოთა მეურნეობად მხოლოდ ისეთი საბჭოთა მეურნეობა შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც „ფრიადზე“ აქვს მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, წესიერად აქვს მოწყობილი შრომა, რომლის მეურნეობაც სწარმოებს მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით; რომელიც მეზობელ კოლმეურნეობებზე უფრო მაღალ მოსავალს აძლევს, აბარებს მაღალი ხარისხის პროდუქციას; რომელიც რენტაბელურია და სახელმწიფოს შემოსავალს აძლევს; რომელიც დახმარებას უწევს და სოფლის მეურნეობის წარმოების მაგალითს აძლევს მეზობელ კოლმეურნეობებს; რომელსაც შერჩეული ჰყავს კარგი კადრები და მზრუნველობით ეპყრობა მათ.

ისეთი საბჭოთა მეურნეობანი, რომელნიც სანიმუშო მეურნეობის ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებენ, ჩვენში ცოტაა. პირიქით, არის მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობანი, რომლებმაც უფრო ცუდად მოაწყეს თავიანთი მეურნეობანი, ვიდრე ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეობებმა.

სიღნაღის რაიონის ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში 1935 წელს ხორბლის მოსავალი მიიღეს მხოლოდ 13,5 ცენტნერი ჰექტარზე, ქერი — 15,5 ცენტნერი. ხოლო იმავე რაიონში მახარაძის სახელობის ქედის კოლმეურნეობამ 1935 წელს მიიღო საშემოდგომო ხორბლის მოსავალი 19 ცენტნერი და ქერისა 20,5 ცენტნერი ჰექტარზე.

ბაშკიჩეთის რაიონის ყარაბულაღის საბჭოთა მეურნეობაში ფერმაზე დაყენებული ერთი ძროხის წველადობა აყვანილია 1.170 ლიტრამდე, ბორჩალოს რაიონის ტაბაწყურის კოლმეურნეობაში კი 1935 წელს თითო ძროხაზე 1.267 ლიტრ საშუალო წველადობას მიაღწიეს.

ზესტაფონის რაიონის არგვეთის საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე მიიღო 18.2 ცენტნერი ყურძნის მოსავალი, ხოლო იმავე რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობამ— 42 ცენტნერი.

ავიღოთ საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თვითღირებულების საკითხები.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის თვითღირებულება გეგმით განსაზღვრულია 106 მანეთად ცენტნერი., ფაქტიურად კი მან 240 მან. შეადგინა; მუკუზანში გეგმით —324 მან., ფაქტიურად კი — 674 მან., ნაფარეულში გეგმით —371 მან., ფაქტიურად—1.585 მან.; მუხრანში გეგმით — 303 მან., ფაქტიურად 548 მან.; ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში გეგმით — 113 მან., ფაქტიურად — 179 მან.

ამხანაგები ცდილობენ ახსნან ეს იმით, რომ ვითომ აქ როლი მხოლოდ ჰავის პირობებმა შეასრულა — ყინვამ. რა თქმა უნდა, განსაზღვრული ნაწილი ყინვასაც უნდა მივაწეროთ, მაგრამ ძირითადი მიწერება უმსგავს მუშაობას ამ საბჭოთა მეურნეობეში. თუ შარშან ყინვა იყო აღმოსავლეთ საქართველოში, იგი არ ყოფილა დასავლეთ საქართველოში. მაშ იქ საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის თვითღირებულება დიდი რათ არის?

თვითღირებულების გადაჭარბება არის არა მარტო ყურძენზე, არამედ საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თითქმის ყველა სხვა სახეზეც. „ყინვის“ გარდა, ამ თვითღირებულებაში შედის დიდი სახსრები, რომელთაც საბჭოთა მეურნეობები ანდომებენ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯებს, უზარმაზარ, ეგრეთწოდებულ „დამხმარე მეურნეობებს“, რომლებიც მათ სრულებით არ სჭირდებათ და რომლებიც ხანდახან ერთი ათად და ოცად სჭარბობს ცალკეული საბჭოთა მეურნეობების ძირითად სამეურნეო დარგებს.

აი, მაგალითად, მუხრანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ვენახის ფართობი — 75 ჰექტარია, ამერიკული ვაზის სადედეებისა — 15 ჰექტარი და ხეხილის ბაღებისა — 80 ჰექტარი, ხოლო სასოფლო მეურნეობის „დამხმარე“ დარგთა ფართობი— 2.000 ჰექტარი. საბჭოთა მეურნეობას მარცვლეული და ბოსტნეული კულტურები მოჰყავდა და მეცხოველეობას მისდევდა.

ამ საბჭოთა მეურნეობის მიერ მეურნეობის ასეთი წარმოების დროს, როდესაც იქ 180 ჰექტარ ძირითად კულტურებზე მოდის 2.000 ყოველგვარი დამხმარე კულტურა და ამასთანავე მეტად გაბერილი შტატი (115 მუდმივ მუშაზე 49 კაცი ადმინ.-ტექნიკური პერსონალი), რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია მოველოდეთ ამ საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობას.

გაბერილი ადმინისტრატიულ - სამმართველო შტატები და ხარჯები სხვა საბჭოთა მეურნეობებშიაც არის. ამით დაავადებულია სამტრესტის, „საქართველოს ჩაის“, ლიმონ-მანდარინის ტრესტისა და თითქმის ყველა სხვა საბჭოთა მეურნეობა.

აიღეთ ჩაის, თუმცა განახლებული და გაფართოვებული, მაგრამ მაინც ერთერთი ყველაზე ძველი საბჭოთა მეურნეობა — ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის საერთო საბჭოთა სამეურნეო ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი 109 კაცისაგან შესდგება. ამ აპარატის შტატი შემდეგია:

დირექტორი და მისი მოადგილე	2
მდივნები — საქმის მწარმოებლები	4
მემანქანეები	2
ბუხჰალტრები	7
მოანგარიშეები და მოლარეები	4
სტატისტიკოსები	5
მგეგმავ-ეკონომისტები	4
ნორმადრები და ქრონომეტრაჟისტები	5
გასამხედროებული მცველი რაზმი	16
სახანძრო დაცვა	9
სპეცგანყოფილების მუშაკები	2
კომენდატები	2
მეკუჭნავეები და ექსპედიტორები	4
მსუბუქი მანქანების შოფერები	4
შიკრიკები, დამლაგებლები, მეეზოვეები და სხვ.	36
დანარჩენები	2
სულ.	109

მოსამსახურეთა ამ, ეგრეთწოდებული, საერთო საბჭოთა სამეურნეო შტატის გარდა, საბჭოთა მეურნეობაში კიდევ არის 196 კაცი. ეგრეთწოდებული საერთო საწარმოო მოსამსახურეები, სპეციალისტები და მუშები. სულ კი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში პლანტაციებზე 1.114 მუშაზე მოდის სამმართველო აპარატის 305 კაცი. გასაგებია, რომ ასეთი შტატი ძვირად უჯდება საბჭოთა მეურნეობას და ნთქავს საბჭოთა მეურნეობის შემოსავალს და მოგებას.

საბჭოთა მეურნეობის გაძლიერებაზე, მისი პროდუქციის ღირებულებაზე, გავლენას ახდენს კადრების დენადობა.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.).

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

მაგალითად, ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში — არც თუ ცუდ საბჭოთა მეურნეობაში — არის 41 კაცი მუდმივი მუშა, ხოლო 6 თვის განმავლობაში გავიდა 35 და ახლად მიღებულია სამუშაოზე 25 კაცი; ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში 142 მუდმივი მუშიდან 6 თვის განმავლობაში წავიდა 55 კაცი და ახლადმიღებულია 36 კაცი. ეს ნაკლი სხვა საბჭოთა მეურნეობებსაც ახასიათებს.

კადრების ასეთი დენადობის დროს ძნელია ლაპარაკი საბჭოთა მეურნეობებში შრომის სწორ ორგანიზაციაზე, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მიერ მოწინავე აგროტექნიკის დაუფლებაზე, თვითეულ მუშაკზე მისი სამუშაო უბნის მიმაგრებაზე და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის სტახანოვური მოძრაობის გაშლაზე.

გასაკვირველი არაფერი არ არის, რომ ბევრი ჩვენი საბჭოთა მეურნეობა, საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, დღემდე ვერ არის რენტაბელური, სახელმწიფოს შემოსავალს კი არ აძლევს, არამედ, პირიქით, განაგრძობს სახელმწიფო ფულის შთანქმას და სახელმწიფოს ყოველ წლიწადს უხდება მათთვის დოტაციების მიცემა.

ამ მდგომარეობაში იმყოფებიან ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ჩაის საბჭოთა მეურნეობები და საქართველოს მიწსახკომის სამტრესტის საბჭოთა მეურნეობები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „საქართველოს ჩაი“ გეგმის მიხედვით ყოველ წლიწადს ღებულობს სახელმწიფოსაგან დოტაციას საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებიც, ამხ. ბაუმთელიძის აზრით, რენტაბელურია, ხოლო სამტრესტი — ამხ. კუხალეიშვილი სხვანაირად გადის თოლიდან: იგი კოლმეურნე გლეხობაში დამზადებული პროდუქციის, მისი გადამუშავებისა და თავის სავაჭრო ქსელში რეალიზაციის ხარჯზე ჰფარავს თავისი საბჭოთა მეურნეობების ზარალს.

ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობებს კი უკვე აქვთ ასაკის საკმაო საბჭოთა წლები, რათა სახელმწიფოს შემოსავალი აძლიონ.

მეურნეობის ასეთი გაძღოლის დროს ეს საბჭოთა მეურნეობანი, რასაკვირველია, ვერ აძლევენ მაგალითს ახლომახლო კოლმეურნეობებს და არ უწევენ მათ დახმარებას.

ჩამოთვლილი საბჭოთა მეურნეობების ასეთი მდგომარეობისათვის, პირველ ყოვლისა, დამნაშავენი და პასუხისმგებელნი არიან ტრესტების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და ამ საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე კოლექტივები, აგრეთვე რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ვიმეორებ, საქართველოს ბოლშევიკებმა უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში დიდი მუშაობა გასწიეს საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

მაგრამ ახლა ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს ვუყენებთ ახალ და გაძლიერებულ მოთხოვნებს — გახდნენ სანიმუშო საბჭოთა მეურნეობანი. ამიტომ ვაკრიტიკებთ ჩვენ ასე მკაცრად საბჭოთა მეურნეობების მუშაობის დეფექტებს და იმას, რომ ტრესტები, რაიონული ორგანიზაციები და სამიწათმოქმედო ორგანოები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მათ.

ამიტომ ამხანაგებს დიდ უწყინარობად ნუ მოეჩვენებათ: ჩვენ ასე ბევრი ვიმუშავეთ, ხოლო აქ კი გვაკრიტიკებენო. ვაკრიტიკებთ იმისათვის, რომ გონივრად გამოასწორონ ნაკლოვანებანი და გადაიქცნენ ნამდვილ სანიმუშო მეურნეობებად.

საქართველოში მოიპოვებიან ისეთი კარგი საბჭოთა მეურნეობანი, როგორიც, მაგალითად:

1. **ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა** — დირექტორი ამხ. სულაბერიძე. წელს ამხ. სულაბერიძემ ცოტა კოჭლობა იწყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტიულმა ორგანიზაციამ მის ტვინს წაუბიძგა, ისევ გამოსწორდა.
2. ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მახარაძის რაიონში, სადაც დირექტორად მუშაობს ამხ. გიორგაძე.
3. ალამბრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა — დირექტორი ამხ. ჰენაშვილი.
4. ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — დირექტორი ამხ. გეგეშავა.
5. ცეცხლაურის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობა — დირექტორი ამხ. ახობაძე.
6. გერანის საბჭოთა მეურნეობა „III ინტერნაციონალი“ აფხაზეთში — დირექტორი ამხ. ცომაია.
7. ხირსის ამხ. ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა — დირექტორი ამხ. ბაიდოშვილი.
8. შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა — დირექტორი ამხ. კვანტალიანი.
9. ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა სიღნაღის რაიონში — დირექტორი ამხ. აბაშიძე.
10. მუხროვანის ცხენთსაშენი ქარხანა № 74 — დირექტორი ამხ. ჯაფარიძე და სხვანი.

ეს საბჭოთა მეურნეობანიც ჯერ კიდევ სავსებით არ არიან სანიმუშონი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კოლექტივები და სათანადო რაიონული ორგანიზაციები ყველაფერს მოიმოქმედებენ, რომ უახლოეს დროში გახადონ ეს საბჭოთა მეურნეობანი ნამდვილ სანიმუშო მეურნეობებად. მაგრამ მათ ახლაც შეუძლიან მიჰბაძონ ყველა დანარჩენმა მეურნეობამ.

უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში აღნიშნული დეფექტები და გავაუმჯობესოთ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა უნდა შეიგნონ მთელი პასუხისმგებლობა, რომელსაც მათ საქართველოს კომპარტია აკისრებს საქ. კ.პ. (ბ) — ამხ. სტალინისათვის მიცემული დაპირების შესრულებაში — გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო მეურნეობებად.

ახლა უკვე არ კმარა, რომ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი საერთოდ ხელმძღვანელობდეს საბჭოთა მეურნეობას. საჭიროა, რომ იგი ჩახწვდეს აგროტექნიკას, საბჭოთა მეურნეობის, საფინანსო საქმეების ყველა წვრილმანს, შრომის ორგანიზაციის საკითხებს და ოპერატიულად, კონკრეტულად უხელმძღვანელოს საბჭოთა მეურნეობის თვითეულ უბანს, თვითეულ დარგს.

პარტიის საოლქო კომიტეტებმა და ცეკებმა, რაიკომებმა და რაიაღმასკომებმაც უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საბჭოთა მეურნეობების მიმართ. ისინი არსებითად უნდა იცნობდნენ თვითეული საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობას. შემთხვევით კი არ უნდა მიდიოდნენ საბჭოთა მეურნეობებში, მათი მუშაობის ინფორმაციას მესამე პირებისაგან კი არ უნდა იღებდნენ, არამედ ყოველდღიურად ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ საბჭოთა მეურნეობის მუშაობას, კონტროლი გაუწიონ მათს მუშაობას, თავიდან აიცილონ დეფექტები და გარღვევანი, რათა ეს გარღვევანი „ანაზდეულად“ არ დაატყდეს თავს ჩვენს ხელმძღვანელებს.

საჭიროა უფრო უკეთესად მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა მეურნეობებს შორის, სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა მუშებს შორის საბჭოთა მეურნეობების შიგნით.

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ **საბჭოთა მეურნეობის თვითეული მუშა, საბჭოთა მეურნეობის თვითეული ხელმძღვანელი მუშაკი თავისი საბჭოთა მეურნეობის სანიმუშოდ გადაქცევისათვის ბრძოლაში სცდილობდეს იმის უფლების მოპოვებას, რომ პირველმა განაცხადოს უარი სახელმწიფო დოტაციაზე, პირველმა განაცხადოს საბჭოთა მეურნეობის მიერ მოგებათა დაგროვება, მაღალი მოსავლიანობისა და მისი თვითღირებულების შემცირება, საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის მაღალი ხარისხი და ის მაგალითი და დახმარება, რომელსაც საბჭოთა მეურნეობა ახლომახლო კოლმეურნეობებს უწევს.**

მუშათა მომარაგების განყოფილებებმა, კოოპერაციამ და სხვა ორგანიზაციებმა უფრო უკეთ უნდა მოაგვარონ თავისი მეურნეობა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და კოოპერაციის უმეტეს მეურნეობებში, თუმცა ისინი პატარა მეურნეობებს წარმოადგენენ, უწესრიგობა უფრო მეტია, ვიდრე მრავალ დიდ საბჭოთა მეურნეობაში.

როგორ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას ამ მეურნეობებში, როგორიც, მაგალითად, გვაქვს ლარებკომის პატარა დამხმარე მეურნეობაში. **სიტყვაზე ითქვას, გაუგებარია, თუ რატომ არ არის დღევანდლამდე ეს ორგანიზაცია გარდაქმნილი, რად ეწოდება მას დღევანდლამდე ღარიბი ებრაელობის ორგანიზაცია, როდესაც სოციალიზმის წარმატებათა საფუძველზე, ღარიბები უკვე აღარა გვყავს.**

საქართველოს ამ ლარებკომის მეურნეობაში შემდეგი უმსგავსობანი ხდება: ერთი ლიტრი რძის თვითღირებულება აღწევს 2 მანეთსა და 17 კაპ. 1935 წელს გოჭების სიკვდილი უდრის 40 პროცენტს. ამ პატარა მეურნეობამ სამეურნეო წელი დაამთავრა 71.000 მანეთის ზარალით.

ან მეორე მაგალითი — ტფილისის მაუდის ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილების დამხმარე მეურნეობა. ამ მეურნეობაში თითო ცენტნერი ხორბლის თვითღირებულება უდრის 436 მანეთს, ქერისა — 152 მანეთს, სიმინდისა — 173 მანეთს, ერთი ლიტრი რძისა — 2 მანეთსა და 37 კაპიკს. 1935 წელს გოჭების სიკვდილი უდრის 23 პროც. 1935 წლის განმავლობაში ამ პატარა მეურნეობამ მოგვცა აგრეთვე 35 ათასი მანეთის ზარალი.

დღეს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ მტკიცე გაფრთხილებას ვაძლევთ მუშათა მომარაგების განყოფილებათა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომლებსაც დამხმარე მეურნეობები აქვთ, რომ თუ ისინი წესრიგში ვერ მოიყვანენ თავის მეურნეობებს, ვერ მიაღწევენ მათს სანიმუშო გაძღოლას, მაშინ საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, ჯერ-ერთი, სასტიკ პასუხისგებაში მისცემს ასეთ ხელმძღვანელთ, და, მეორეც ერთი, ეს მეურნეობანი მათ ჩამოერთმევათ და კოლმეურნეობებს გადაეცემათ.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს მთელი რიგი სპეციალური დარგობრივი თათბირები — საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და მუშაკთა თათბირები იმ მიზნით, რათა ამ თათბირებზე უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად დავამუშაოთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი სანიმუშოდ გადაქცევის საკითხები.

მაგრამ, ამ თათბირების დაულოდინებლად, საბჭოთა მეურნეობის თვითეული დირექტორი, ტრესტის თვითეული დირექტორი, პარტიის საოლქო კომიტეტები და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რაიკომები და აღმასკომები ახლავე უნდა შეუდგნენ თავიანთი საბჭოთა მეურნეობების სანიმუშოდ გადაქცევისათვის ყველა საჭირო ზომის დამუშავებასა და განხორციელებას.

1936 წლის შემოდგომისა და 1937 წლის გაზაფხულის განმავლობაში ჩვენ განზრახული გვაქვს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე სპეციალურად მოვისმინოთ და განვიხილოთ მოხსენებანი საქართველოს ცალკეული საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის შესახებ.

ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ცენტრალურ კომიტეტში მოხსენებისათვის უნდა მოვიდნენ არამარტო ღონისძიებებით, არამედ უკვე ანგარიშებით საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის შესახებ, ანგარიშით საბჭოთა მეურნეობების ნამდვილ სანიმუშო მეურნეობებად გადაქცევისათვის გაწეული მთელი მუშაობის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სანიმუშო, რენტაბელურ მეურნეობებად გადაქცევა უდიდეს გავლენას მოახდენს საქართველოს კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეზე.

IV. სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა შემდგომი განვითარების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მეექვსე კარის მეექვსე მუხლი, რომელიც არტელის გამგეობას და არტელის ყველა წევრს ავალებს ზუსტად შეასრულონ მთავრობის ორგანოების მიერ დადგენილი გეგმები, გვაძლევს მთელ რიგ მითითებებს საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისათვის მათი დროულად და სწორად დამუშავებით, ტექნიკურ კულტურათა მწკრივთაშორის გულდასმითი დამუშავებით, ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანით, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლით, მოსავლის უდანაკარგოდ აღებით, სანერგეების სრული გამოყენებით და სხვ.

საქართველოს პირობებთან შეფარდებით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ თავისი 1935 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავების, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, საქართველოს სას.-სამეურნეო არტელებს რჩევა მისცა ამ მუხლის დამატებით შეიტანონ იმ წესდებებში, რომლებსაც ისინი იღებენ, შემდეგი ღონისძიებანი.

„რჩევა მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო არტელებს დამატებით შეიტანონ წესდებაში, ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით, არტელისა და გამგეობის მოვალეობანი ჩაის პლანტაციების, ციტრუსებისა და ხილის ბაღების, ვენახების, დაფნის, ტუნგოს, რამის და სხვა მრავალწლოვან ნარგავთა და სანერგეთა გაშენების დარგში; სიმინდის ღეროებისაგან მინდვრების გაწმენდისა, ჩაის პლანტაციების, ციტრუსების და ხილის ბაღების, ვენახების და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების, აგრეთვე თამბაქოს, ბაღჩების, ბოსტნების, კარტოფილის დროულად და გულდასმით მწკრივთაშორისი დამუშავების დარგში; ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების და სხვათა დროზე შეწამვლის დარგში; სარწყავ ნაგებობათა დაცვისა და გაწმენდის დარგში: მრავალწლოვან კულტურათა საუკეთესო ნერგების გამოზრდისა და შერჩევის დარგში — მათი გასაშენებლად: მყნობელთა, მრწყველთა და მელიორატორთა მომზადების დარგში; სოფლის ქუჩებზე თუთის, ევკალიპტის, ტუნგოს, დაფნის, კაკლის და სხვა ხეხილისა და დეკორაციული მცენარეების დარგვის დარგში; არტელის წევრებისათვის ხელშეწყობა საკარმიდამო მიწებზე ძვირფასი მრავალწლოვანი კულტურების გაშენების დარგში, როგორიც არის — ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი, ხეხილი, თუთის და კაკლის ხეები“.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ამ უკანასკნელი წლების **განმავლობაში, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გამოყენებით უდიდესი მუშაობა გასწია, რათა საქართველოს რაიონებში დაენერგა და განევითარებინა ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურები — ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ყურძენი, ხილი, ტუნგო, რამი, დაფნა, გერანი, ხურმა, მუშმულა, ევკალიპტები და სხვ.**

ამ კულტურათა დანერგვა ხელს უწყობდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის სწრაფ ზრდას.

მაგრამ, ამ საქმეში მიღწეული წარმატებანი ვერ დაგვაკმაყოფილებენ და ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წლითი წლობით გავადიდოთ ის ფართობი, რომელიც ამ კულტურებს უჭირავთ და, რაც ყველაზე მთავარია, მივაღწიოთ მათი მოსავლიანობის გადიდებას თამბაქოს თვითეული ბუჩქის, ციტრუსის თვითეული ხის, თვითეული ვაზის სანიმუშოდ მოვლისა და მუდმივი ყურადღების გზით.

○

განვიხილოთ ცალ-ცალკე ძირითადი სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა მდგომარეობა და განვითარება და პირველ რიგში ავიღოთ ჩაის საკითხები.

1936 წლის 1 აპრილისათვის არის 35.600 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ამათგან კოლმეურნეობებში 27.850 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში— 7.750 ჰექტარი.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა გაშენდეს 2.100 ჰექტარი. 1937 წლისათვის გაშენების გეგმა განსაზღვრულია 4,5 ათასი ჰექტარის რაოდენობით.

ამრიგად, 1937 წლის დამლევისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი ავა 42.200 ჰექტარამდე, ამათგან „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობებში—8.300 ჰექტარამდე და საკოლმეურნეო-გლეხური სექტორის ხაზით—33.900 ჰექტარამდე.

ჩაის პლანტაციების გაფართოების დარგში ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ 1940 წლისათვის მათი ფართობი ავიყვანოთ 50 ათას ჰექტარამდე.

წლითიწლობით მატულობს მწვანე ჩაის ფოთლის კრეფა. თუ 1931 წელს მოიკრიფა 1.200.000 კილოგრამი, და 1933 წელს 3.200 ათასი კილოგრამი, სამაგიეროდ 1935 წელს მოვკრიფეთ 12.680 ათასი კილოგრამი. 1936 წლის მოკრეფის გეგმა შეადგენს 19.250 ათას კილოგრამს, აქედან კოლმეურნეობებში დაახლოებით 14.600 ათას კილოგრამს.

1935 წელს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე უდრიდა 1.400 კილოგრამს, ე. ი. ერთიორად მეტს, ვიდრე 1931 წელს.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება 1935 წლისათვის ჩაის პლანტაციების მოსავლის ერთიორად გადიდების შესახებ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს.

მიმდინარე წლის მოსავლიანობის გეგმა ერთ ჰექტარზე შეადგენს 1.600 კილოგრამს. ეს გეგმა ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ.

ამხანაგებო! ერთ ჰექტარზე 1.600 კილოგრამი მწვანე ფოთლის მოსავლიანობა უეჭველად მიღწევა იქნება ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით კაპიტალისტური ქვეყნების, კერძოდ, იაპონიის ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის მაჩვენებლებს.

ამიტომ ბრძოლა ჩვენი ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის ჩვენს სერიოზულ ამოცანად რჩება.

1940 წლისათვის ჩვენი ჩაის პლანტაციები ისეთ მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ, რომ სრულმოსავლიანი პლანტაციებიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ ვკრეფდეთ სულ მცირე 2,5—3 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ თვითეული ცალკეული ჩაის ბუჩქის ყურადღებით მოვლის გზით, სწორი და კარგი თოხნით, გამარგვლით, მწკრივთაშორისი დამუშავებით, მინერალური და ორგანული სასუქების უფრო უკეთ გამოყენებით და ბუჩქის სწორი გაფორმებით.

1937 წელს საბოლოოდ უნდა მოვსპოთ ჩვენი ჩაის პლანტაციების მეჩხერიანობა.

აგრბა (ადგილიდან): აფხაზეთში დიდი მეჩხერიანობაა.

ბერია: მართალს ამბობს ამხ. აგრბა, რომ აფხაზეთში ჩაის პლანტაციების მეჩხერიანობა დიდია. მას ბოლო უნდა მოვუღოთ არა თესლის თესვის გზით, არამედ ახალი ბუჩქების დარგვის გზით. ამისათვის საჭიროა უკვე ამ წლის შემოდგომიდან მოვაწყოთ იმდენი სანერგე, რამდენიც 1937 წელს მთლიანად უზრუნველჰყოფს ნერგების საჭირო რაოდენობას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და მისმა სუბტროპიკულმა სამმართველომ და „საქართველოს ჩაიმ“ სარაიონო პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად ახლავე ხელი უნდა მოჰკიდონ სანერგეების მოწყობას და ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს.

ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე უნდა გვქონდეს სულ ცოტა 12 ათასი სისხლჭარბი ჩაის ბუჩქი, ტრანშეებად დარგულზე კი—სულ ცოტა 8-10 ათასი ბუჩქი.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით და არა ერთხელ ვიღებდით გადაწყვეტილებას ჩაის პლანტაციების მოვლისა და მზრუნველობის შესახებ, **მაგრამ დღევანდლამდე არ მოგვეპოვება კარგად და სწორად დამუშავებული აგრონომიული წესები.**

ჩვენი მუშაობის გამოცდილება ჩაის მეურნეობაში უკვე ახლა სავსებით საკმარისია, რომ მისი შეჯამებითა და განზოგადოებით, შევძლოთ აგროწესების დამუშავება ცალკეულ რაიონებთან შეფარდებით, და ასე გასინჯეთ, კოლმეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებთან შეფარდებითაც კი, დავამტკიცოთ იგი და ამ შესწორებული და დაზუსტებული აგროწესების საფუძველზე გავმართოთ ბრძოლა ჩაის პლანტაციების მოვლისათვის.

ამიტომ მიწსახკომმა და „საქართველოს ჩაიმ“ ჩაის მეურნეობის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტთან ერთად 1937 წლის იანვრისათვის უნდა გადასინჯონ ყველა არსებული აგროწესები, შეასწორონ და დააზუსტონ ისინი და მომავალი წლის შემოდგომისათვის მიაწოდონ ახალი აგროწესები ყველა სამიწათმოქმედო ორგანოს, კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს.

ის გარემოება, რომ აუცილებელია არსებული აგროწესების გადასინჯვა და ახალი აგროწესების შედგენა, ჩანს თუნდაც შემდეგიდან.

საქართველოს მიწსახკომმა ჩაის ყველა პლანტაცია დაჰყო რაიონების ორ ჯგუფად—სამხრეთის რაიონების ჯგუფად, რომლებისთვისაც ჩაის ბუჩქების გაფორმება დააწესა 30-35 სანტიმეტრის სიმაღლეზე, და ჩრდილოეთის რაიონების ჯგუფად, რომლებშიაც ბუჩქი უნდა გაფორმდეს 25-30 სანტიმეტრის სიმაღლეზე, თვით ბუჩქის მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.

ბუჩქების გაფორმების საქმისადმი ასეთი მიდგომა არ არის სწორი. ბუჩქის გაფორმების სიმაღლე უნდა დაწესდეს არა მარტო იმ რაიონის გათვალისწინებით, სადაც იგი აღმოცენებულია, არამედ უმთავრესად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თვით ბუჩქის მდგომარეობა, რათა გავაძლიეროთ ბუჩქის ზრდა და მისი ვეგეტაცია და ამით გავადიდოთ ჩაის მოსავლიანობა.

საჭიროა აგრეთვე პრაქტიკულად შემოწმდეს ბუჩქის ნახევრად ოვალური სახით გაფორმების მეთოდი, ვინაიდან მოიპოვება ცნობები, რომ ამ მეთოდის გამოყენება ძალიან ადიდებს მწვანე ფოთლის მოსავალს.

ანდა ავიღოთ, მაგალითად, მძიმე გასხვლის პრაქტიკა, რომელსაც საქართველოს მიწსახკომი ატარებს. როგორც ბევრმა თქვენგანმა იცის, მძიმე გასხვლა ეწოდება იმას, როცა ბუჩქს სხლავენ ძალიან ღრმად თვით ძირამდე. მძიმე გასხვლა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც იმ ძველი ბუჩქების მიმართ, რომლებიც მოუხედავად იმისა, რომ გამოყენებულ იქნა ყველა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიება (მინერალური და ორგანული სასუქის შეტანა, გამარგვლა და სხვ.), მაინც არ აძლევიან სათანადო შედეგს. ამის მიუხედავად, საქართველოს მიწსახკომმა წინადადება მისცა გამოიყენონ პლანტაციებზე მძიმე გასხვლა, ყოველი ცალკეული ბუჩქის მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.

მიწსახკომის ასეთი პრაქტიკა, როდესაც იგი რაიონების მიხედვით ჰგეგმავს ათობით და ასობით ჰექტარებს, რომლებიც მძიმედ უნდა გაისხლას, უსათუოდ არ არის სწორი, იგი საზიანოა ჩაის პლანტაციებისათვის და ამიტომ გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი.

საჭიროა აგროწესების გადასინჯვა სარეველა ბალახებისაგან პლანტაციების გაწმენდის, მწკრივთაშორის დამუშავებისა და ნიადაგის გაფხვიერების მხრივაც.

როგორც იცით, ყოველთვის და ყოველგან მიწსახკომის გეგმით როდი გვეწვევა ატმოსფერული ნალექები (სიცილი), რომელიც იწვევს სარეველა ბალახების მძაფრ ზრდას, და არც მიწსახკომის გეგმით ანათებს მზე, რომელიც გვალვასა და ნიადაგის გამაგრებას იწვევს. (სიცილი).

ამიტომ ნიადაგის გაწმენდა სარეველასაგან და მისი გაფხვიერება უნდა ტარდებოდეს არა არსებულ აგროწესებში აღნიშნული გეგმიანი ვადების მიხედვით, არამედ თვით პლანტაციების მდგომარეობის მიხედვით.

ხმები ადგილებიდან: მართალია!

ბერია: ამოცანა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გადავსინჯოთ აგროწესები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აგროწესები კიდევ უფრო უკეთ იქნას გამოყენებული.

მაგალითად საზამთრო გადაბარვა ძველ აგროწესებშიაც იყო გათვალისწინებული 25-30 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო პრაქტიკაში ჰბარავენ 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც არ იძლევა საჭირო ეფექტს.

ანდა, მაგალითად, აგროწესებით გათვალისწინებულია ქარსაცავი ზოლები, რომლებიც საკმაოდ გავლენას ახდენენ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ზოლები ამასთან ერთად ამშვენებენ ჩაის პლანტაციებს. მაგრამ უკანასკნელ დროს როგორც საბჭოთა მეურნეობებმა, ისე კოლმეურნეობებმაც ძალიან შეასუსტეს მუშაობა ქარსაცავ ზოლების შემდგომი გაშენებისათვის.

საჭიროა კვლავ მტკიცედ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს.

ბოლოს, **ჩაის მოკრეფის შესახებ.** მიმდინარე წელს საოლქო და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, აგრეთვე „საქართველოს ჩაის“ ტრესტისა და მიწსახკომის ხელმძღვანელობამ შეასუსტეს ყურადღება ჩაის ფოთლის თავის დროზე და სწორად აღებისადმი და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რომ თავის დროზე არ ჩარეულიყო, ეს წლიწადი ჩვენთვის სკანდალურად დამთავრდებოდა.

რაიონების უმრავლესობას დიდი გარღვევა ჰქონდა. ამხანაგები ცდილობდნენ მოემიზეზებინათ დროის უქონლობა პარტდოკუმენტთა გამოცვლის გამო და არახელსაყრელი კლიმატური პირობები. მაგრამ ეს მიზეზები სრულიად უსაფუძვლოა. **საქმე ის არის, რომ ამხანაგები რაიონებში ცუდად მუშაობდნენ.**

ავიღოთ თუნდაც მახარაძის რაიონი.

რაიონი ვერ ასრულებდა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმას, ხოლო მას შემდეგ, რაც რაიონის საქმეებში ც. კ. ჩაერია, რაიკომის მდივანმა ამხ. კილაძემ შესძლო მოეწყო ჩაის ფოთლის კრეფა და 10 დღეში რაიონმა მოკრიფა იმდენი ფოთოლი, რამდენის მოკრეფაც მთელი წინა თვის განმავლობაში ვერ შესძლო.

ანდა მაგალითად ავიღოთ აფხაზეთში გალის რაიონი, რომელიც ძალიან ჩამორჩენილია და რომელსაც დიდი გარღვევა აქვს როგორც ჩაის პლანტაციების დამუშავებისა, ისე ჩაის ფოთლის კრეფის მხრივაც მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია საოლქო კომიტეტს და მის პირველ მდივანს ამხ. აგრბას გაემგზავროს რაიონში, დაჰყოს იქ ორიოდე კვირა და პირადად მოჰკიდოს ხელი ჩამორჩენის ლიკვიდაციას, იქ საქმე მაშინვე მნიშვნელოვნად გამოსწორდა.

უკეთესად არც სხვა რაიონებში ყოფილა საქმე. ახლაც გარღვევა აქვს წალენჯიხის რაიონს, რომლის მდივანი არის ამხ. ბარამია, და რომელიც სხვა მაჩვენებლების მიხედვით ცუდად როდი გამოიყურება. წელს ძალიან ჩამორჩნენ აჭარის ქობულეთისა და ბათომის რაიონებიც, რომლებიც ჩაის ფოთლის კრეფის მხრივ მუდამ წინ მიდიოდნენ. უკანასკნელ დროს ქობულეთის რაიონი გამოსწორდა, ხოლო ბათომის რაიონი ახლაც ჩამორჩენილია.

თავის დროზე ჩვენ ბევრს და სამართლიანად ვაქებდით ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. სულაბერიძეს და საბჭოთა მეურნეობის მთელ კოლექტივს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქებისაგან მათ თავბრუ დაეხვათ: წელს ჩაის ფოთლის კრეფა მათ ცუდად მოაწყეს. მხოლოდ ც. კ-ის ჩარევის შემდეგ იწყო საბჭოთა მეურნეობამ გამოსწორება.

მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის კრეფის მხრივ კარგ მუშაობას ვერ დაიტრაბახებენ ჩაის ბევრი სხვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორიც: ლორთქიფანიძე სალიბაურის საბჭოთა მეურნეობიდან, ამხ. ხარაბაძე ანაგარის საბჭოთა მეურნეობიდან.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ **ჩაის რაიონებში ჩვენს ამხანაგებს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეუგნიათ ჩაის მეურნეობის სერიოზულობა და სირთულე, მისი შრომის ტევადობა.** ჩაის პლანტაციები მოითხოვენ ყოველდღიურ მზრუნველობას, აგროწესების ყველა პუნქტის მტკიცე შესრულებას და, რაც ყველაზე მთავარია, მათს თავის დროზე გამოყენებას. **არავითარ [illegible] არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი მდგომარეობა, რომ პლანტაციები მოუვლელი დარჩეს.**

ხოლო მთელი ის დეფექტები გამომდინარეობენ იქიდან, რომ მთელ **რიგ რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს არ გააჩნიათ სისტემა მუშაობაში ჩაის პლანტაციების ხელმძღვანელობის მხრივ.**

განა ის მუშაობის სისტემაა, როდესაც ცენტრალური კომიტეტი ამა თუ იმ რაიონში არსებული გარღვევის ამბავს იგებს არა რაიონული მუშაკებისაგან, არამედ თავისი წარმომადგენლებისაგან, როცა ცენტრალური კომიტეტი იძულებულია თვითონ გამოასწოროს საქმეები?

განა ის მუშაობის სისტემაა, როდესაც გარღვევათა ლიკვიდაცია ხდებოდა ავრალებისა და საკოლმეურნეო ძალთა მობილიზაციის გზით?

მუშაობის ასეთი „სისტემა“, ჯერ ერთი, არ იძლევა იმ ეფექტს, რომელსაც მოგვცემდა დროიანი დამუშავება და ყველა საჭირო ღონისძიებათა გამოყენება ჩაის პლანტაციებზე, და მეორე ისა, რომ კოლმეურნეობა სწყდებიან მუშაობას და ამით ზიანი ადგება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით.

არ უნდა გვაშინებდეს ცუდი ამინდი და წვიმა. წვიმა კარგად აღმოაცენებს ბუჩქს, ხოლო როდესაც სარეველა ბალახსაც ვცელით, ყოველივე ამას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

ჩაის მეურნეობაში სახელმწიფო წლითი-წლობით დიდძალ ფულს აბანდებს **და უკვე მალე უნდა დადგეს ვადა, როდესაც ძირითადად დავაკმაყოფილებთ მთელ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაის მხრივ.**

ჩაის ფოთლის კრეფის გადიდებასთან ერთად მიმდინარეობს ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობა. 1937 წელს ტფილისში დაიწყება ჩაისსაწონი ფაბრიკის მშენებლობა. ამგვარად, ჩვენ მოვკრეფთ ჩვენსავე ჩაის, გადავამუშავებთ, ავწონით და ტფილისიდან მზა პროდუქცია წავა მომხმარებელთან.

ჩაის მეურნეობა აუცილებელია სახელმწიფოსათვის და ხელსაყრელია კოლმეურნეთათვის.

წელს კოლმეურნეები სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის მწვანე ფოთოლში მიიღებენ სულ ცოტა 44 მილიონ მანეთს, ხოლო საბჭოთა მეურნეობები, დაახლოებით 14 მილიონ მანეთს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კოლმეურნეები და კოლმეურნეობები, რომლებიც ჩაი მოჰყავთ, მარტო წელს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი დაკრედიტების წესით მიიღებენ 30 მილიონ მანეთს.

ჩაი საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს კულტურას წარმოადგენს. ჩაის განვითარებით კოლმეურნეები და კოლმეურნეობები შეძლებული ცხოვრებისაკენ მიდიან. ჩაის უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაპყრონ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ყურადღებით და მზრუნველობით უნდა მოეპყრონ საბჭოთა მეურნეობის თვითეული მუშა და ჩაის პლანტაციის თვითეული კოლმეურნე.

○

ახლა ციტრუსოვანთა კულტურების განვითარების შესახებ.

წელს ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 3.777 ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობებში 730 ჰექტარია, საბჭოთა მეურნეობებში 1.537 ჰექტარი. ამათში მანდარინი 3.245 ჰექტარია, ლიმონი—434 ჰექტარი, ფორთოხალი—95 ჰექტარი.

როგორც იცით, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა და საკავშირო სახკომსაბჭომ თავისი 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაგვავალეს ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი საქართველოში 1940 წლისათვის ავიყვანოთ 20 ათას ჰექტარამდე, აქედან მანდარინი—12 ათას ჰექტარამდე, ლიმონი—7 ათას ჰექტარამდე და ფორთოხალი—1000 ჰექტარამდე.

ეს უდიდესი ღონისძიებაა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

1936 წლისათვის დაწესებული ციტრუსოვან კულტურათა გაშენების გეგმა 320 ჰექტარის რაოდენობით შევასრულეთ 154.8 პროცენტით. გაშენებულია 495 ჰექტარი.

შემდეგ წლებში გაშენების უზრუნველსაყოფად აუცილებლად უნდა გვქონდეს 18 მილიონზე მეტი ნერგი, ამაში 1937 წელს 1.100 ათასი ცალი, 1938 წელს—4.400 ათასი ცალი, 1939 წელს—5.500 ათასი ცალი და 1940 წელს 7.200 ათასი ცალი.

ნერგების ეს რაოდენობა მთლიანად უზრუნველყოფილია 1934-35 წლების მყნობით და 1935 წლის დათესილი ტრიფოლიატით. ტრიფოლიატის დათესვის გეგმა მიმდინარე წელს შესრულებულია 103,9 პროც. 59,7 ჰექტარ ფართობზე, რომელზედაც წელს 35 მილიონი ცალი სანამყნე ტრიფოლიატი მიიღება, აქედან საკოლმეურნეო სანერგეებში—16 მილიონი ცალი.

წარმატებით მიმდინარეობს კვირტით მყნობის გეგმის შესრულება 1936 წლისაც. ციტრუსოვანთა კვირტით მყნობის დასახული გეგმიდან 7.200 ათასი ცალის რაოდენობით 22 აგვისტოსათვის უკვე შესრულებულია 3.324 ათასი, ან 46 პროცენტი.

ამ საქმეში მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მყნობის მაღალ ხარისხს, რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალხარისხოვან ნერგთა და გახარების მაღალი პროცენტის მიღებას. უნდა დაინერგოს მხოლოდ და მხოლოდ შემოწმებული და აპრობირებული სანამყენე მასალა.

წელს ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც დასმულია ჩვენს წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ, დიდი მუშაობაა გაწეული კოლმეურნეობებში ციტრუსოვანთა სანერგეების შესაქმნელად. 200 კოლმეურნეობაში სანერგე გაშენებულია 187 ჰექტარ ფართობზე. მოსამზადებელ ნერგთა უდიდეს რაოდენობას შეუძლია შეჰქმნას ერთგვარი სიძნელეები ზამთრის მოსალოდნელი ყინვებისაგან ნერგთა დაცვისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფაში. ესეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას მიმდინარე წელს.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს იმავე დადგენილების შესასრულებლად ჩვენ წელსვე სპეციალური ბრიგადების გაგზავნით მოვახდინეთ ნაკვეთების გამოყოფა ციტრუსოვანი კულტურებისათვის, გადანაწილებით ეს ნაკვეთები ცალკეულ კულტურათა გაშენების წლების მიხედვით და შევიტანეთ ისინი რუკაში ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით.

შესაძლებელ არასასიამოვნო შედეგთა და შეცდომათა თავიდან ასაცილებლად ჩვენ კიდევ უნდა შევამოწმოთ შერჩეული ნაკვეთები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოსადეგი არიან ისინი ციტრუსოვანთა ნერგების გამოსაყვანად და ახლავე უნდა შევუდგეთ ამ ნაკვეთებზე ქარსაცავი ზოლების გაშენებას, ამოძირკვას, დრენაჟის გაკეთებას და მათზე წინა კულტურების დათესვას ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად და გასანაყოფიერებლად.

ისევე, როგორც ჩაის კულტურა, ციტრუსოვანი ნარგავები, ერთი მხრივ სავსებით აუცილებელია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის, რომლებიც გიგანტური ნაბიჯებით მიემართებიან შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების მხრივ მას კოლოსალური ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქართველოს კოლმეურნეთათვის, რომლებიც მისდევენ ციტრუსების გაშენებას.

შარშან მოჰკრიფეს 196 მილიონი მანდარინი, 22,5 მილიონი მანეთის საერთო ღირებულებით. ამ თანხიდან 16 მილიონ მანეთზე მეტი კოლმეურნეებმა მიიღეს.

როგორც იცით, ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხანაგ სტალინს დავპირდით, რომ 1937 წელს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მივცემთ ნახევარ მილიარდ ცალ ციტრუსის ნაყოფს.

დაპირების შესრულების ვადა ახლოვდება.

ამიტომ წელს თვითეულ რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ ცალკე მეურნეობაში, რომელიც ციტრუსების გაშენებას მისდევს, უნდა გავწიოთ უდიდესი მუშაობა, გავატაროთ ყველა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ციტრუსების მაღალ მოსავალს.

ბელადისთვის მიცემული ჩვენი დაპირება უნდა შესრულდეს.

ციტრუსების დარგში დიდ მუშაობას იწევს აჭარა. უფრო ცუდად არ გამოიყურება, შეიძლება უკეთესადაც გამოიყურებოდეს ახალი პლანტაციებისა და სანერგეების მხრივ მახარაძის რაიონი, უხეიროდ არ მიდის საქმე ზუგდიდის რაიონში, სწრაფად იმართება წელში ფოთი, სიტყვა ახლა აფხაზეთს ეკუთვნის!

○

ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მევენახეობის განვითარებას.

1900 წელს საქართველოს ვენახებს ეჭირა 70.000 ჰექტარი. ფილოქსერის გავრცელებისა და მასთან საკმაო ბრძოლის უქონლობის გამო, დაიწყო ვენახის დაღუპვა და მისი ფართობის შემცირება. ვენახის დაღუპვა და ფართობის შემცირება განსაკუთრებით გაძლიერდა ომისა და მენშევიკთა ბატონობის წლებში.

მევენახეობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში მიექცა ჯეროვანი ყურადღება; ფილოქსერისაგან ვენახების კატასტროფული განადგურება შეჩერდა და დიდი მუშაობა იქნა გაწეული ფილოქსერაგამძლე სანერგე მასალის — ამერიკული ვაზის სადედეების ბაზის შესაქმნელად.

1936 წელს ამერიკული ვაზის სადედის ფართობი საქართველოში შეადგენს 757 ჰექტარს, რაც საშუალებას გვაძლევს სწრაფი ტემპით ავიღოთ საქართველოს მევენახეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ამჟამად საქართველოში ვენახებს უჭირავს 37.000 ჰექტარი, ამათგან საბჭოთა მეურნეობებში — 2.258 ჰექტარი, კოლმეურნეობებში—3.590 ჰექტარი და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე 31.152 ჰექტარი.

ამას წინათ საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია ფართო თათბირი, რაიკომთა მდივნების, სათანადო ტრესტების ხელმძღვანელთა, მსხვილ სპეციალისტთა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა მონაწილეობით, რომელზეც მევენახეობის განვითარების საკითხები

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

დაწვრილებით იქნა განხილული. ამის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც განსახილველად წარედგინა საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ 1936 წლის 28 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს სს რესპუბლიკის მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარებაზე **ჩვენ წინადადება მოგვცა 1940 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი საქართველოში აგვეყვანოთ 60 ათას ჰექტარამდე ნაცვლად არსებული 37 ათასი ჰექტარისა.** ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავაშენოთ 28 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი, ვინაიდან 1940 წლამდე ფილოქსერით დაავადებული ძველი პლანტაციების ლიკვიდაციისა დაახლოებით 5.000 ჰექტარი იქნება.

28.000 ჰექტარის ანგარიშში 1936 წ. ჩვენ უნდა გავაშენოთ 670 ჰექტარი, 1937 წელს 2.830 ჰექტარი, 1938 წელს 5.000 ჰექტარი, 1939 წელს—7,5 ათასი ჰექტარი და 1940 წელს 12 ათასი ჰექტარი.

ჩვენ მოვალენი ვართ შევიმუშაოთ ისეთი ღონისძიებანი, **რომლებიც უზრუნველყოფენ 1940 წელს სრულმოსავლიანი პლანტაციიდან მოსავლიანობის აყვანას ერთ ჰექტარზე 60 ცენტნერამდე, ნაცვლად უკანასკნელ წლების 20 - 40 ცენტნერი ფაქტიური მოსავლისა** და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საღვინე (რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ჩხავერი, კრახუნა, ოჯალეში და სხვ.) და შამპანური ჯიშების (ალიგოტე, პინო, ცოცკა) განვითარებას.

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ვენახების გაშენების გათვალისწინებული გეგმის უზრუნველსაყოფად, 1937 წელს ამერიკული ვაზის სადედეთა ფართობი 757 ჰექტარიდან უნდა ავიყვანოთ 1.057 ჰექტარამდე, უზრუნველვყოთ, რომ ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან მივიღოთ სულ ცოტა 42 ათასი ცალი 120—სანტიმეტრიანი ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზის ნამყენი.

1937 - 40 წლების მანძილზე კოლმეურნეობებში უნდა ავაგოთ 120 სათბური, 48 მილიონი ცალი ნერგის გამტარუნარიანობით.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. იგი საპატიო ამოცანას გვაკისრებს —საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას შევქმნათ კარგი სუფრის ღვინო და შამპანური, ყურძნის კარგი პროდუქცია, ერთიორად გავადიდოთ ყურძნის მოსავალი; ეს გადაწყვეტილება უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს კოლმეურნეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დიდი მუშაობა მოგველის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კადრებს. მევენახეობისა და მეღვინეობის საქმე, რომ ჯეროვანად განვავითაროთ, მობილიზაცია უნდა ვუყოთ ჩვენში არსებულ მეღვინეთა და მევენახეთა ყველა მუშაკს — სპეციალისტს, გამოვიყენოთ ყველა პრაქტიკოსი, რომლებიც ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ. სპეციალისტები ჩვენ ცოტა გვყავს, მაგრამ თუ არსებულ ძველ კადრებს კარგად დავრაზმავთ, ახალი კადრების მომზადებას მოვაგვარებთ, ამ მხრივ შევძლებთ ჩვენი თავის უზრუნველყოფას.

მევენახეობის იმ თათბირის მონაწილეებმა, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკე, დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს ამ საკითხისადმი. ათობით მუშაკი, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ხელიხელჩაკიდებულნი, ენერგიულად შეუდგებიან საქმეს.

მაგალითად, ამხ. სერგეი ბელოუსოვი — ქუთაისის შამპანური ქარხნიდან, სანიკიძე — მევენახეობის ინსტიტუტიდან, გრიგოლ კანდელაკი — ვარციხის საბჭოთა მეურნეობიდან, გიორგი მგალობლიშვილი — ტფილისის ქარხანა №2-დან, კონსტანტინე მოდებაძე — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, მიხეილ ასათიანი — ქალაქ ყვარლიდან, ვარლამ კანდელაკი — „სამტრესტიდან“, ნიკოლოზ ქლენტი — თელავიდან, თევდორე მგრელიშვილი — წინანდლის საბჭოთა მეურნეობიდან, იოსებ კუპატაძე და იოსებ ბოლქვაძე — მუკუზნის საბჭოთა მეურნეობიდან, ალექსანდრე ჭილაძე და ნიკოლოზ შვენიერაძე — წინანდლის საბჭოთა მეურნეობიდან, წიწვარია — ტფილისის ქარხანა №2-დან, გიორგი ახალაძე და არჩილ ბრანიშვილი — „სამტრესტიდან“, ირაკლი რეხილაძე — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატიდან, ბურულაძე — ვარციხის საბჭოთა მეურნეობიდან, შათირიშვილი — ხირსის საბჭოთა მეურნეობიდან, არაბიძე — ყვარლიდან, ფრიდონ გუმელი — გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობიდან, სოლომონ ჩოლოყაშვილი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი — ღვინმრეწველტრესტიდან და მრავალი სხვა.

მევენახეობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტმა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად ახლავე უნდა დაიწყოს მუშაობა აგროწესების შესამუშავებლად, ცალკეული რაიონებისა და ნაკვეთების გამოსაყოფად, ყურძნის ამა თუ იმ ჯიშისათვის გამოსადეგი მიკრორაიონების გამოსარკვევად, იფიქროს სანერგეების შესახებ. **მევენახეობა უნდა განვავითაროთ საქართველოს ყველა რაიონში და პირველ რიგში განსაზოგადოებულ სექტორში.**

როგორც ჩემ მიერ მოყვანილი ციფრებიდან დაინახავთ, კოლმეურნეობებში ვენახი ცოტა გვაქვს და ამიტომ **ახალის გაშენება მოხდება მხოლოდამხოლოდ კოლმეურნეობებში განსაზოგადოებულ მასივებზე.**

ამ მიზნისათვის სახელმწიფო მნიშვნელოვან კრედიტებს იძლევა: პირველ წელს [illegible] და მუშაობის წესების მიხედვით ერთ ჰექტარზე 2.200 მანეთიდან 4.000 მანეთამდე ერთ ჰექტარზე, მეორე წელს — 350 მანეთიდან 600 მანეთამდე და მესამე წელს 135 მანეთიდან 300 მანეთამდე, რაც უნდა დაიფაროს 6-7 წლის განმავლობაში.

უნდა მოვახდინოთ მასებში საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილების ფართო პოპულარიზაცია, დავიყვანოთ იგი თვითეულ კოლმეურნეობამდე და კოლმეურნემდე. მოვაწყოთ სოცშეჯიბრება რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის მისი საუკეთესოდ განხორციელებისათვის.

კარგი იქნება, თუ ჩაისა და ციტრუსების კოლმეურნეობები სოც-შეჯიბრებაში გამოიწვევენ მევენახეობის კოლმეურნეობებს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება ითვალისწინებს ტფილისში შამპანურის წარმოების სპეციალური კომბინატის აშენებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადასწყვიტა ამ საქმის სათავეში დააყენოს ამხ. **არობელიძე**, სამტრედიის რაიონის ყოფილი მდივანი, ენერგიული, აზრიანი მუშაკი, რომელსაც აქვს პრაქტიკული პარტიული და სამეურნეო მუშაობის დიდი გამოცდილება.

საქართველოს მიწსახკომში ეწყობა მევენახეობის სპეციალური სამმართველო, რომელიც გამოყოფილი იქნება არსებული ხილბოსტან-მევენახეობის სამმართველოდან.

სპეციალური დამოუკიდებელი სამმართველოს შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოს რაიონებში მევენახეობის განვითარების მთელი სახელმძღვანელო მუშაობის გაუმჯობესებას. ამ საქმის სათავეში ჩვენ ვფიქრობთ დავაყენოთ **ამხ. შენგელია** — „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველის მოადგილე, უნარიანი მუშაკი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება და ორგანიზაციული ნიჭი სამეურნეო მუშაობაში.

მნიშვნელოვნად მომატებულია ფასი გლეხების მიერ ჩაბარებულ ყურძენზე. ეს ფასები დიფერენცირებულია ყურძნის ჯიშისა და წარმოების რაიონის მიხედვით.

ღვინის დაბალი ხარისხი იმით აიხსნება, რომ ყურძნის მოკრეფისა და დამზადების დროს ყველა ჯიშს ერთმანეთში ურევდნენ და არ ახდენდნენ მათ შერჩევას ჯიშებისა და ხარისხის მიხედვით.

ყურძენზე ფასების მომატებამ და მათი გამოყენების წესის დადგენამ, ყურძნის ჯიშისა და ხარისხის მიხედვით, უნდა მოგვცეს ჩაბარებული ყურძნის ჯიშიანობისა და ხარისხის გადიდება და როგორც ამის შედეგი, გამოშვებული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება.

ყურძნის ფართობის მომავალ გადიდებასთან დაკავშირებით გამოსაშვები ღვინის რაოდენობის გადიდებასთან და მეღვინეობის სრული მექანიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვიხდება დავაყენოთ ტფილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის რეორგანიზაციის საკითხი; იგი მთლიანად და სავსებით უნდა გადავიყვანოთ საქართველოს მეღვინეობის საჭიროებისათვის მანქანებისა და მოწყობილობების წარმოებაზე.

საქართველოს მევენახეობა თავისი განვითარების ახალ ხანას იწყებს.

○

ყურძენთან ერთად მეხილეობის განვითარება უნდა იდგეს საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღების ცენტრში.

ამჟამად ხილის ფართობს საქართველოში უჭირავს 24.900 ჰექტარი, რომელთაგან სრულმოსავლიანია 14 ათას ჰექტარზე მეტი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაშენების გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული — გაშენებულია 3.297 ჰექტარი. ხეხილის ნარგავების ფართობის შემდგომი გაფართოება მოითხოვს ხილის სანიმუშო სანერგეების შექმნას, თუმცა ხილის კულტურების სანერგეთა ფართობი 50 ჰექტარიდან 1931 წელს ავიდა 462 ჰექტარამდე 1936 წელს, მაინც ასეთი გადიდება საკმაოდ არ უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა მეხილეობის ძირითად რაიონებში — გორის, კასპის, ხაშურის, ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ტყიბულის, ცაგერის, ახალციხის, ადიგენის ასპინძის, საგარეჯოს, ტფილისის, სამხრეთ-ოსეთის რაიონებში და სხვ. შევქმნათ კოლმეურნეობებში სანერგეები რომლებიც უზრუნველყოფენ კეთილხარისხოვანი ნერგების გამოყვანას.

ხეხილის ბაღების ფართობის გადიდებასთან ერთად ზომები უნდა მივიღოთ **ხეხილის ჯიშიანობისა და მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად.** ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენი ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ალუბალი, კომში, ბროწეული, ლეღვი, ნუში, ალუჩა და სხვ. საუკეთესო იყოს საბჭოთა კავშირში. ამისათვის საჭიროა მაქსიმალურად განვავითაროთ ხილის საუკეთესო საზღვარგარეთული და ადგილობრივი ჯიშები: ვაშლის დარგში: შამპანური რანეტი, პარმენი — ზამთრის ოქროსფერი, ბელფლიორი, სარისინაპი, კეხურა და სხვ.; მსხლის დარგში: ბერებოსკ, ვილიამსი, სენჟერმენი, დიუშესი; ატამის დარგში — შადინოვის, რომანოვკა, ყვითელი ხიდისთაური და სხვ.

სხვა კულტურებთან ერთად საქართველოში მეხილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხური მეურნეობის ეკონომიკისათვის. მას აქვს სრული პერსპექტივა თავისი განვითარებისათვის.

მეხილეობის პროდუქციის სასაქონლო გამოსავალი შეადგენს დაახლოებით 50 ათას ტონას, რასაც სრულიად არ შეუძლიან დააკმაყოფილოს საქართველოში წაყენებული მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის მრავალი ოლქისა და მხარის მხრივ. ჩვენ ხომ ხილს ვაწვდით მოსკოვსაც, ლენინგრადსაც, კიევსაც, ხარკოვსაც და შორეულ აღმოსავლეთსაც კი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს ხილის მომხმარებელი, საბჭოთა კავშირის რომელ მხარეშიაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იცნობდეს და აფასებდეს ქართულ ხილს, ღებულობდეს მას კოხტად, კულტურულად და ტრანსპორტირების მხრივ დამაკმაყოფილებლად შეფუთულს.

უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი ხილის გადამუშავება. საქართველოს ხმელი ხილი შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს საზღვარგარეთის ხილზე უკეთესი. ეს ბევრჯერ გვითქვამს კონსერვტრესტისათვის — ამხ. მათიაშვილისათვის, მაგრამ ის რატომღაც სულ აყოვნებს ამ საქმეს. უნდა მივაღწიოთ იმას, მაგალითად, რომ ჩვენი ლეღვი უკეთესი იყოს იმაზე, რომელიც შემოგვაქვს თურქეთიდან და სპარსეთიდან.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეხილეობის დარგში ჩვენი პარტიული, საბჭოთა და პირველ რიგში, მიწადმოქმედების ორგანიზაციები ჯერ კიდევ ძალიან ცუდად მუშაობენ.

ამ მდგომარეობას ნათელ ჰყოფს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, სკრის მეხილეობის სამეცნიერო - საკვლევი სადგური, რომელიც მოწოდებულია დანერგოს საქართველოში ხილის მაღალი ჯიშები და ებრძოლოს დაავადებას, გულგრილი მუშაობისა და საქმისადმი დანაშაულებრივი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო უკვე რამდენიმე წლის მანძილზე თვითონ იმყოფება კარანტინში, ვინაიდან მთელი ნარგავები, მათ შორის სანერგეც, დაავადებულია კანადის ფარიანით. ჩვენ იძულებული გავხდით მოგვეხდინა ამ სადგურის ლიკვიდაცია.

განსაკუთრებით მოუვლელია საქართველოს მიწსახკომის სამტრესტის ბებნისის სანერგე ნერგების მინდვრები, მეტისმეტად მორეულია სარეველა ბალახით, ნერგთა გამოსავალი დაბალია, სტანდარტი არ არის დაცული. სუსტად მიმდინარეობს ბრძოლა ხეხილის ნარგავების დაავადებასთან. ხეხილის ნარგავთა დაავადება საკმაოდ ძლიერ არის გავრცელებული საქართველოში და სერიოზულ ზიანს აყენებს მეხილეობას.

ყოველივე ეს გვავალებს მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ მეხილეობის განვითარებას საქართველოში, ფართობთა გადიდებას, ჯიშიანობისა და მოსავლიანობის აწევას პირველ ყოვლისა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე.

მიწსახკომმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეიმუშაოს იმ ცალკეულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაჯილდოვების საკითხი, რომელიც ამაღლებენ ხილის მოსავლიანობასა და ჯიშიანობას, ადიდებენ ხეხილის ბაღებისა და სანერგეების ფართობს. დაჯილდოების სისტემა ხელს შეუწყობს მეხილეობის გაუმჯობესებას საქართველოში.

○

თამბაქოს შესახებ. როგორც იცით, აზოვ-შავიზღვის მხარესთან შეჯიბრებაში მეთამბაქოობის განვითარების მხრივ **ჩვენ შარშან პირველ ადგილზე გამოვედით.**

ეს ჩვენ უფრო მეტად გვავალებს შემდეგშიაც ავამაღლოთ და განვავითაროთ ეს ძვირფასი მაღალშემოსავლიანი კულტურა:

ამჟამად საქართველოში თამბაქოს უკავია 19.636,9 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში 15.650 ჰექტარი.

თამბაქოს მოსავლიანობა 3,87 ცენტნერიდან 1931 წელს ჩვენ შევძელით გაგვედიდებინა 7,8 ცენტნერამდე 1935 წელს. თამბაქოს გამოსავლიანობამ შესყიდვასთან ერთად 1935 წელს შეადგინა 14.832 ტონა ნაცვლად 1931 წლის 9.250 ტონისა.

წარმატებებმა, რომლებიც ჩვენ გვაქვს მეთამბაქოობის განვითარების მხრივ საქართველოში, ეტყობა, თავბრუ დაახვია თამბაქოს რაიონების ზოგ-ზოგ ხელმძღვანელს და **ჩვენ ამჟამად ვდგევართ ერთგვარი ჩამორჩენის საფრთხის წინაშე თამბაქოს შეტეხვის საქმეში.**

მაგალითად, 23 აგვისტოს ცნობების მიხედვით:

წალენჯიხამ შეასრულა ქვესი შეტეხვის გეგმა	34,6 პროც.
ჩხოროწყუმ	39,0 „
გურჯაანმა (20/VIII-სთვის)	37,3 „
აჭარამ	43,1 „
აფხაზეთმა	45,7 „
სიღნაღმა	51,3 „
ლაგოდეხმა	51,5 „
ბორჩალომ	56,1 „
ზუგდიდმა	64,2 „

როგორც ხედავთ ძირითად რაიონებში ჩვენ ჩამორჩენილი ვართ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლიან დავკარგოთ მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, დავადაბლოთ თამბაქოს ხარისხი და, შესაძლებელია, ჩავშალოთ დამზადებათა წლიური გეგმა.

თამბაქოს როგორც ჩამორჩენილ, ისე ყველა დანარჩენ რაიონთა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფრიად სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი თამბაქოს დროული შეტეხვის მოწყობას და ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას მით **უმეტეს რომ წელს თამბაქოსადმი წაყენებული მოთხოვნილებანი შარშანდელთან შედარებით უფრო მაღალია როგორც სტანდარტისა, ისე ასორტიმენტის მხრივ.**

მიმდინარე წელს **ბორჩალოს** რაიონში პირველად არის შესამჩნევად გადიდებული თამბაქოს დარგვის გეგმა. იმ 200 ჰექტარ თამბაქოს პლანტაციის გარდა, რომელიც შარშან იყო, წელს დარგულია 1.000 ჰექტარი, ბამბის ფართობის შემცირების ხარჯზე.

იმის გამო, რომ ბორჩალოს რაიონს არ მოეპოვება ჩვევა თამბაქოს მოვლისა და აღების საქმეში, რაიონის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა — ამხ. ცხადაძე — მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს, გაუწიონ ინსტრუქტაჟი ცალკეულ კოლმეურნეებს, მუდმივი კონტროლი გაუწიონ და თვალყური ადევნონ თამბაქოს შეტეხვისა, ზონარზე აცმისა, შეფუთვის [illegible], რათა თავიდან ავიცილოთ თამბაქოს ხარისხისა და გამოსავლიანობის შემცირება.

ჩვენ შემდეგში მაგრად უნდა დავაწყვეთ მოსავლიანობის გადიდებას, თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებას და სტანდარტის დაცვას. ამავე დროს უნდა მოვახდინოთ ფართობის შემდგომი გადიდება.

1937 წელს თამბაქოთი დაკავებული ფართობი საქართველოში უნდა გადიდდეს დაახლოებით 1.000 ჰექტარით, რომელთაგან 500 ჰექტარი ბორჩალოს რაიონზე მოდის.

მეთამბაქოობის რაიონებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და უფრო უკეთესად მოჰკიდონ ხელი მუშაობას.

ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ შეჯიბრება აზოვ-შავიზღვის მხარესთან თამბაქოს დარგში კიდევ არ არის დამთავრებული და გრძელდება მიმდინარე წელს. არის ცნობები, რომ აზოვ-შავიზღვის მხარე უკვე წინ გვისწრებს თამბაქოს შეტეხვის დარგში.

ჩვენ შარშან გავიმარჯვეთ შეჯიბრებაში და არ შეგვიძლიან და არც უნდა დავთმოთ დაპყრობილი პოზიციები. აზოვ-შავიზღვის მხარესთან შეჯიბრებაში თამბაქოს მხრივ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ წელსაც (ტაში)

○

ერთ-ერთი ახალი კულტურა, რომელიც უკანასკნელ დროს ფართოდ ვრცელდება ჩვენთან საქართველოში, ტუნგოა.

თუ 1930 წელს ტუნგოს ჩვენში სულ 1 ჰექტარი ეკავა ამჟამად უკვე გვაქვს 4,716 ჰექტარი ტუნგოს პლანტაცია, რომელთაგან მხოლოდ **1936 წელს გაშენდა 3.015 ჰექტარი.** ტუნგოს ნარგავთა ძირითადი მასა საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში იმყოფება (2.960 ჰექტარი).

მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია 5.000 ჰექტარზე მეტის გაშენება.

ტუნგო მეტისმეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანი კულტურაა, რომელსაც იყენებენ ავიაციაში და სამხედრო - ქიმიურ მრეწველობაში.

სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ტუნგოს და მნიშვნელოვან თანხებს იძლევა გრძელვადიანი კრედიტის სახით ამ ჩვენთვის ახალი კულტურის ასათვისებლად. მარტო 1936 წელს კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ახალი პლანტაციების გასაშენებლად და არსებულის მოსავლელად გრძელვადიანი დაკრედიტების წესით მიიღებენ დაახლოებით 10 მილიონ მანეთს.

ტუნგოს შეუძლიან გაიხაროს დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში და ამ კულტურის განვითარებას ჩაისთან, ციტრუსებთან და სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად მაგრად უნდა მოჰკიდონ ხელი ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა რაიონულმა ორგანიზაციებმა.

ტუნგოს ნარგავთა განვითარების საქმეში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თესლის ხარისხი. საჭიროა, რათა საქართველოს მიწსახკომში და „ტუნგოს“ სრულიად საკავშირო კანტორა სათანადო ორგანიზაციებისა და საკავშირო მიწსახკომის საშუალებით ამოწმებდნენ ჩვენ მიერ ამერიკაში ნაყიდი თესლის ხარისხს.

ტუნგოს ხის ყოველმხრივ გამოსაკვლევად, მისთვის აგროწესების შესამუშავებლად, მისი გამოყენების ყველა შესაძლებლობათა გამოსარკვევად დიდი მუშაობა უნდა გასწიოს სოხუმის ტენიანი სუბტროპიკების ინსტიტუტმა. ჯერჯერობით ინსტიტუტს ამ დარგში ბევრი არაფერი გაუკეთებია.

ტუნგო ჩვენთვის ახალი კულტურაა, როგორც უკვე ვთქვი, მეტად დიდი მნიშვნელობისაა და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

○

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **კეთილშობილი დაფნის კულტურის განვითარებას საქართველოში.** ამ კულტურაზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი მზარდი კვების მრეწველობაში, უმთავრესად საკონსერვო მრეწველობაში.

დაფნის ფოთოლზე მოთხოვნილება ამჟამად სულ მცირე 2 ათასი ტონით განისაზღვრება. ჯერჯერობით ჩვენ შეგვიძლიან დავამზადოთ წლიურად მხოლოდ 700—750 ტონა.

საქართველო საბჭოთა კავშირის ძირითადი რაიონია დაფნის ფოთლის დამზადების მხრივ. ამჟამად დაფნის ნარგავებს უჭირავს 1.391 ჰექტარი, უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გაშენებული 442 ჰექტარის ჩათვლით.

კეთილშობილი დაფნა — ისეთი მცენარეა, რომელიც დიდ კულტურას მოითხოვს. რაიონულმა ორგანიზაციებმა სავსებით უნდა უზრუნველყონ ყველა საჭირო აგროღონისძიება და ყოველი ცალკეული დაფნის ბუჩქის მოვლა და, რაც ყველაზე მთავარია, უნდა მოგვარდეს ბრძოლა დაფნის ბუჩქის მტაცებლური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. დაფნის ფოთოლი ბუჩქზე შეიძლება მოიკრიფოს მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ. ყოველწლიური კრეფა გამოიწვევს დამზადებული პროდუქციის ხარისხის შემცირებას და ბუჩქის დაღუპვასაც კი.

ამ კულტურის მაღალი შემოსავლიანობა და სარგებლიანობა საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ ყოველნაირად უნდა განვავითაროთ იგი საქართველოში.

ამასწინათ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინაშე დააყენა დაფნის დამზადების საქმის მოწესრიგებისა და დაფნის ფოთლის საცალო და დასამზადებელი ფასების გადასინჯვის საკითხი. **ჩვენის მხრივ კი უახლოეს დროში უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი** პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიებანი, **რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დაფნის ნარგავების ფართობი 1940 წლისათვის ავიყვანოთ 1 ათას ჰექტარამდე.**

უნდა დავაწესოთ დაფნის დარგვის გეგმა, წლების მიხედვით, უზრუნველვყოთ თესლის საჭირო რაოდენობის დამზადება და გამოვყოთ რაიონები, აგრეთვე განვსაზღვროთ ის ნაკვეთები, რომლებზედაც შესაძლებელი იქნება ამ კულტურის განვითარება.

○

ჩამოთვლილი კულტურების გარდა, საქართველოში ხარობს კიდევ მთელი რიგი სხვა, აგრეთვე ძვირფასი და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე კულტურები — ეს არის რამი, გერანი, ევკალიპტი, ნუში, მუშმალა, ხურმა და სხვ.

1931 წელს **რამით** დაკავებული ფართობი მხოლოდ 48 ჰექტარს უდრიდა, მიმდინარე წელს კი რამს უკვე უჭირავს 1.105 ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში —888 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 217 ჰექტარი.

წელს რამის განსავითარებლად სახელმწიფო გრძელვადიანი დაკრედიტების წესით აძლევს კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს 1.640 ათას მანეთზე მეტს.

თუ ამ კულტურის განვითარების პირველ წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის მიწსახკომის ახალ სართავ კულტურათა სამმართველო არასაკმაო ყურადღებას აქცევდნენ მას, **ამჟამად ამ კულტურის მნიშვნელობა დაფასებულია და ჩვენ მისი განვითარების დარგში უდაო წარმატებანი გვაქვს. ეს საქმე შემდეგშიაც უნდა წავწიოთ წინ.**

კარგად იზრდება ჩვენში **გერანიც**, რომელსაც 1930 წელს ეკავა მარტო 76 ჰექტარი, ხოლო ამჟამად უჭირავს 765 ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში — 519 ჰექტარი.

გერანი იძლევა ძვირფას ზეთს ჩვენი საპარფიუმერიო მრეწველობისათვის. მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლიან დავაკმაყოფილოთ მრეწველობის მოთხოვნილება. საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ გერანის ბუჩქების მოსავლიანობა და ამავე დროს გავადიდოთ ფართობი. წელს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ დავამზადოთ ნამყენის საკმაო რაოდენობა, რათა უზრუნველვყოთ მათი ჩაყრა მომავალ წელს. **მომავალ წელს გერანის ფართობი უნდა გავადიდოთ სულ ცოტა 100 ჰექტარით, უმთავრესად კოლმეურნეობებში.** საქართველოს მიწსახკომმა და აფხაზეთისა და აჭარის მიწსახკომებმა ახლავე უნდა დაიწყონ მოსამზადებელი მუშაობა გერანის ფართობის მომავალი გადიდებისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კარგად **მუშაობს აფხაზეთის გერანის საბჭოთა მეურნეობა „III ინტერნაციონალი“**, რომელმაც საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ორდენოსანი ამხ. ცომაიას ხელმძღვანელობით, მოგვცა მოსავლიანობისა და გერანის ზეთის გამოსავლის მაღალი მაჩვენებლები.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ევკალიპტის კულტურის განვითარებას. ამ კულტურის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ ჩვენი პარტიის პლენუმებსა და ყრილობებზე. **მისი მნიშვნელობა მედიცინისათვის, მრეწველობისათვის, აგრეთვე მისი** მნიშვნელობა როგორც დაჭაობიანების წინააღმდეგ ბრძოლისა და ქარისაგან სხვა კულტურების დაცვის საშუალება, საყოველთაოდ ცნობილია.

ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი წარმატებანი ამ კულტურის განვითარებაში. 1936 წლის პირველი იანვრისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო — გლეხურ სექტორში უკვე დარგული იყო 690 ათასი ძირი ევკალიპტი.

1940 წლისათვის ევკალიპტის ხეების რაოდენობა აყვანილ უნდა იქნას 10 მილიონ ძირამდე, აქედან 1936 წელს უნდა დაირგას 500 ათასი ძირი. მიმდინარე წელს დასარგავად ფაქტიურად უკვე გამოყვანილია 1 მილიონი ნერგი.

1937 წელს დაირგვება 1,5 მილიონი ძირი, 1938 წელს — 2 მილიონი ძირი, 1939 წელს — 2,5 მილიონი ძირი, და 1940 წელს — 3,5 მილიონი ძირი.

ევკალიპტი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში იზრდება და, ამ კულტურის დიდი სარგებლიანობის გამო, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გადაჭარბებით შესრულდეს ევკალიპტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომ თვითეული კოლმეურნეობა, თვითეული კოლმეურნე თავის საკარმიდამო ნაკვეთზე რგავდეს ევკალიპტის ხეს გზების გასწვრივ, პლანტაციების გარშემო და სხვ.

აქ უნდა ითქვას, რომ ევკალიპტის დარგვა ადვილია და განსაკუთრებულ შრომას არ წარმოადგენს, მაგრამ საჭიროა მივიღოთ ზომები, რათა დავიცვათ ნარგავები წანახედისაგან, პირუტყვის მიერ გაფუჭებისაგან და სხვ.

დაცვის ზომები მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ მისი დარგვის პირველ წელიწადს, ვინაიდან ევკალიპტი, როგორც ვიცით, სწრაფად იზრდება და უკვე ერთი წლის შემდეგ დიდი ხე ხდება, რომელსაც თვითონ შეუძლიან თავის დაცვა.

ევკალიპტის გაშენების უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, უნდა შევიტანოთ სათანადო შესწორებანი არსებულ აგროწესებში, დავაზუსტოთ ისინი და მივაწოდოთ იმ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც ევკალიპტს აშენებენ. ეს არის მიწსახკომისა და ტენიანი სუბტროპიკების ინსტიტუტის საქმე.

ამრიგად, ჩაის, ციტრუსის, ყურძნის დარგში ჩვენ მოგვეპოვება საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებით დადგენილი განვითარების სავსებით ზუსტი გეგმები 1940 წლამდე, რაც სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილია სათანადო დაფინანსებით და დახმარებით.

სხვა კულტურების დარგშიც გვაქვს აგრეთვე საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მათი შემდგომი განვითარების გეგმას.

ამრიგად, ჩვენ **მხოლოდ დაგვრჩენია მოვაწყოთ საქართველოს ბოლშევიკებისა და კოლმეურნე გლეხობის ყოველდღიური, ბრძოლა თვითეული დასახელებული კულტურის განვითარების დარგში ჩვენს წინაშე დაყენებულ ამოცანათა განსახორციელებლად.**

ყველა ამ კულტურისათვის ძირითადი და საერთო ის არის, რომ შემდგომი წლების გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად საჭიროა **ამ კულტურებისათვის სავსებით მოგვარებული და კულტურული სანერგე მეურნეობის შექმნა.**

საჭიროა სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტებმა, თვითეულმა თავისი ხაზით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, ახლო მომავალშივე დაამუშაონ ყოველი ამ კულტურისათვის საჭირო **აგროწესები.**

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ რაიონს მოეპოვებოდეს ისეთ კულტურათა სანერგე, რომლებიც უკვე გაშენებულია, ან შესაძლებელია გაშენდეს, **დამოუკიდებლად იმისა, გააჩნია თუ არა რაიონს სანერგეთა განვითარების გეგმა და გაღებულია თუ არა ამისათვის სპეციალური თანხები.** ეს უნდა გააკეთოს თვითეული რაიონის ხელმძღვანელობამ თუ მას სურს თავის რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმის ნამდვილი პატრონი იყოს.

თვითეულ იმ ნერგს, რომელიც სახელმწიფო სანერგეში ხარობს უკვე მიცემული აქვს დანიშნულება, მიცემული აქვს, ასე ვთქვათ, ცხოვრების საგზური და თუ რაიონულ ხელმძღვანელობას არ სურს უნერგებოდ დარჩეს, თვითონ უნდა მოაწყოს თავის რაიონში, პირველ რიგში კოლმეურნეობებში, ფრიად მრავალფეროვანი სპეციალურ, ტექნიკურ და სხვა კულტურათა სანერგეები.

სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა განვითარება საქართველოს კოლმეურნეებისათვის წარმოადგენს შარა გზას შეძლებული ცხოვრებისაკენ და მათ ამ უბანზე მუშაობის ნამდვილი ნიმუშები უნდა გვიჩვენონ.

საქართველოს კოლმეურნეთა მასებს უნდა ახსოვდეთ ის დაპირება, რაც მათმა საუკეთესო წარმომადგენლებმა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს მისცეს პარტიის ხელმძღვანელსა და ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მისი ყველაზე უფრო ძვირფასი და რენტაბელური დარგების — ტექნიკური და სპეციალური კულტურების —მაქსიმალურად განვითარების საქმეში.

ამ დაპირების შესასრულებლად საქართველოს კოლმეურნეთა მასები სიყვარულით, მზრუნველობით და ყურადღებით უნდა დასტრიალებდნენ თავს თვითეულ ჩაის ბუჩქს, თვითეულ ციტრუსის ხეს, თვითეულ ვაზს, თვითეულ ხეხილს და სხვა, და მიაღწიონ ამ კულტურათა ფართობების გადიდებას და მოსავლიანობის ამაღლებას. (ტაში).

V. მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისა და ნათესების გაფართოვების შესახებ

სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა ნათესების გაფართოებასთან ერთად, საქართველოში დიდდება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობიც.

თუ 1931 წელს მარცვლეულ კულტურებს ეჭირათ 773 ათასი ჰექტარი, 1936 წელს მათ უკვე უჭირავთ 838 ათასი ჰექტარი.

ვადიდებთ რა სათეს ფართობს, ჩვენ მივაღწიეთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მომატებასაც.

1931 წელს საქართველოში მარცვლეულის კულტურების საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე შეადგენდა მხოლოდ 7,9 ცენტნერს, 1935 წელს კი — 10,3 ცენტნერს.

1936 წელს გეგმით ერთ ჰექტარზე უნდა ავიღოთ არა ნაკლებ 10,8 ცენტნერი. ყველა საფუძველი გვაქვს, რომ მოსავლიანობის ეს გეგმა არამარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ.

1931 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი საქართველოში შეადგენდა 37.600 ათას ფუთს, 1935 წელს კი აღებული იქნა უკვე 52 მილიონი ფუთი.

1936 წელს ჩვენს ქვეყანას უნდა მივცეთ, და აუცილებლად მივცემთ, სულ ცოტა 60 მილიონ ფუთ ხორბალს, სიმინდს, ქერსა და სხვ. მარცვლეულ კულტურებს.

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ საქართველოს ბოლშევიკებისა და კოლმეურნე გლეხობის მნიშვნელოვან წარმატებებს მარცვლეული კულტურების განვითარებაში.

მაგრამ ამ წარმატებებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯერდეთ.

ამხანაგმა **სტალინმა** 1935 წლის დეკემბერში მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ამოცანა — უახლოეს 3 - 4 წელს საბჭოთა კავშირში მივაღწიოთ 7-8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანას. ეს საქართველოს ბოლშევიკებს ავალებს მიიღონ ზომები მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისათვის და ფართობის გადიდებისათვის.

1940 წლისათვის ჩვენ შეგვიძლიან და უნდა უზრუნველვყოთ საქართველო თავისი საკუთარი პურით. ეს ამოცანა დიდია და ამასთან ერთად სავსებით განსახორციელებელი.

ამჟამად საქართველოს პურის წლიური მოთხოვნილება უდრის დაახლოებით 75 მილიონ ფუთს. 60 მილიონ ფუთს ჩვენ ვფარავთ საკუთარი რესურსებით, 15-16 მილიონ ფუთ პურს კი — საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან საქართველოში შემოზიდული პურით.

თუ გავითვალისწინებთ მოხმარების ზრდას 1940 წლისათვის, ამ 3-4 წლის განმავლობაში პურის წარმოება საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უნდა გავადიდოთ დაახლოებით 20 მილიონი ფუთით.

ამისათვის პირველ რიგში უნდა მივაღწიოთ **მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.**

თუ 1940 წლისათვის მივაღწევთ მარცვლეული კულტურების მოსავლის მიღებას ერთ ჰექტარზე არანაკლებ 15 ცენტნერის რაოდენობით, მაშინ ეს მოგვცემს პურის საერთო მოსავლის გადიდებას დაახლოებით 15 მილიონი ფუთით. **დანარჩენი 5 მილიონი ფუთი უნდა მივიღოთ სათესი ფართობის შემდგომი გაფართოებით.**

შეგვიძლიან თუ არა ერთ ჰექტარზე მივიღოთ 15 ცენტნერი მოსავალი?

უეჭველად, შეგვიძლიან.

ამისათვის საჭიროა უფრო უკეთ მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები: სწორად განვახორციელოთ თესლბრუნვა, უკეთ მოვაწყოთ ხვნა, გავაფართოვოთ თესვა ხარისხობრივი თესლით, გავაფართოვოთ ანეულის ფართობი, უკეთ მოვაგვაროთ სასუქის საქმე, გავაუმჯობესოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მარცვლეული კულტურების დარგში.

ჩვენთან, საქართველოში, უკვე მოიპოვებიან კოლმეურნეობანი და რაიონებიც კი, რომლებიც ახლავე იძლევიან მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავალს.

აჰა, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონმა 1935 წელს მოგვცა საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 18,7 ცენტნერი, ვანის რაიონმა ერთ ჰექტარზე მოგვცა 17,5 ცენტნერი; ზუგდიდის რაიონმა — 13 ცენტნერი. ბორჩალოს რაიონმა — 12,6 ცენტნერი;

ცალკეული კოლმეურნეობანი უფრო მაღალ მოსავლიანობას აღწევენ. ვანის რაიონის **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარზე მოგვცა 20,4 ცენტნერი, ლაგოდეხის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარზე მოგვცა 20 ცენტნერი, სიღნაღის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ — 19 ცენტნერი, ბორჩალოს რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობამ — 17 ცენტნერი; ზუგდიდის რაიონის ორსანტიის კოლმეურნეობამ — 17 ცენტნერი, აბაშის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 17 ცენტნერი.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მათ ზღვარს მიაღწიეს. ამ რაიონებსა და კოლმეურნეობებს ბევრი რამ შეუძლიან აგრეთვე გააკეთონ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, იმისათვის, რომ მიაღწიონ ერთ ჰექტარზე 20-25 ცენტნერ მოსავალს.

ამასთან ერთად ჩვენ მოგვეპოვება ისეთი რაიონები და კოლმეურნეობები, რომლებიც ცუდად აწყობენ ბრძოლას მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, აჰა, მაგალითად, გორის რაიონმა 1935 წელს ერთ ჰექტარზე აიღო მხოლოდ 6,7 ცენტნერი, კასპის რაიონმა — 7,2 ცენტნერი, ტფილისის რაიონმა — 6,5 ცენტნერი.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აწყობენ საქმეს რაიონში ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. აზარაშვილმა, ვანის რაიკომის მდივანმა ამხ. ბუაჩიძემ და ამ რაიონების აქტივმა კარგად იმუშავეს და მაღალ მოსავალს მიაღწიეს. ასე არ მოქცეულან გორის, კასპის და ტფილისის რაიონები და ამიტომ აქვთ მათ თავიანთ რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ასეთი დაბალი მაჩვენებლები.

თვითეულმა რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ კონკრეტულად უნდა იმუშაოს თავისი რაიონის პირობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და პურის საერთო მოსავლის გადიდების საკითხებზე.

გვაქვს თუ არა ჩვენ იმის შესაძლებლობა, რომ რამდენადმე გავადიდოთ მარცვლეული კულტურების სათესი ფართობები? უსათუოდ გვაქვს.

როცა მარცვლეულ კულტურათა ნათესების გაფართოვების აუცილებლობაზე ლაპარაკობ, ძალიან ხშირად აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იწყებენ **მარცვლეული კულტურების განვითარების დაპირისპირებას სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან ან მეცხოველეობის განვითარების ამოცანებთან, და აღნიშნავენ მიწების უქონლობას. ასეთი განწყობილებანი კონსერვატიული და მავნეა.**

ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი მიწა, რომლებიც ჯაგნარის ქვეშაა, ნაწილობრივ დაჭაობიანებული მიწები, რომლებიც წვრილ სარწყავ სამუშაოებს მოითხოვენ, ეს მიწები შეიძლება ავითვისოთ დიდი ხარჯების გაუწევლად მათს ხარჯზე პირველ რიგში უნდა გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების ნათესები. ისე, რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს არც ტექნიკური კულტურების და არც მეცხოველეობის განვითარებას, პირიქით, მათთვის სასარგებლოც იყოს.

ასეთი მიწები ჩვენ გვაქვს აფხაზეთშიც, კახეთშიც და სამეგრელოშიც.

თუ კი კასპის, თელავის, ყვარელის, ბორჩალოს და ყარაიას რაიონები სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ჯაგნარისაგან მიწების გაწმენდის საქმეს და უკეთ აითვისებენ მიწის იმ მასივებს, რომლებიც მათ აქვთ, — ეს უკვე მოგვცემს მარცვლეულ კულტურათა ფართობების თვალსაჩინო ზრდას და მათი მოსავლიანობის გადიდებას.

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

ჩვენში მიჩვეული არიან ლაპარაკს მიწის სიმცირეზე, ამასთან ერთად კი არსებულ მიწებს ზოგჯერ ძალიან ცუდად ითვისებენ და იყენებენ.

მარცვლეულის საერთო მოსავალი რომ გავადიდოთ 80 მილიონ ფუთამდე, ე. ი. პურის მხრივ საკუთარი მოთხოვნილებათა სრულ დაფარვამდე, მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად არანაკლებ 15 ცენტნერისა ჰექტარზე, ჩვენ უნდა გავადიდოთ სათესი ფართობი დაახლოვებით 60-65 ათასი ჰექტარით, ე. ი. 1940 წლისათვის მარცვლეული კულტურების სათესი ფართობები საქართველოში ავიყვანოთ 900 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად იმ 838 ათასი ჰექტარისა, რომელიც ამჟამად გვაქვს.

საქართველოს მიწსახკომმა რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად ყოველი ცალკეული რაიონის მიხედვით ფრიად უახლოესი დროის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად და მათი ნათესების გასაფართოვებლად და შეიტანოს ეს ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსახილველად იმ ანგარიშით, რომ ახლავე დაიწყოს მუშაობა ამ ამოცანის შესასრულებლად.

მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვისთანავე.

მარცვლეული კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმა 1936 წელს დაწესებულია 276,800 ჰექტარის რაოდენობით.

პარტიის თვითეული რაიკომი, რაიაღმასკომი და რაიმიწგანი უნდა შეუდგეს საშემოდგომო თესვის კარგად მომზადებას და ჩატარებას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საშემოდგომო თესვის გეგმა უახლოეს დროში უნდა დაიყვანონ თვითეულ კოლმეურნეობამდე და თვითეულ სოფსაბჭომდე.

მათ ფართოდ უნდა განუმარტონ საქართველოს კოლმეურნეებს ის ამოცანები, რომლებსაც საქართველოს კომპარტია სახავს მოსავლიანობის ამაღლებისა და მარცვლეულ კულტურათა ნათესების გადიდების საქმეში. მათ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა საჭირო აგროღონისძიების გატარებას და პირველ რიგში თესლბრუნვის, ხვნისა და თესვის ხარისხის გაუმჯობესების, საუკეთესო თესლის შერჩევის საკითხებს იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება.

კოლმეურნეობანი, რომლებიც მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის გადიდების მხრივ სანიმუშო მაჩვენებლებს იძლევიან, მაღლა უნდა აიყვანონ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ეს კოლმეურნეობანი და მათი ხელმძღვანელები ჩვენმა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანოებმა მთელ საქართველოს უნდა უჩვენონ და დააჯილდოვონ.

უკვე 1937 წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ შეადგენდეს არანაკლებ 12,5 ცენტნერისა.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლება, მარცვლეულ კულტურათა სათესი ფართობების რამდენადმე გადიდება, ხოლო ამის საფუძველზე — საქართველოს უზრუნველყოფა თავისი საკუთარი პურით, ხელს შეუწყობს აგრეთვე ჩვენი კოლმეურნეობების შემდგომ განმტკიცებას და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდას.

VI. სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა.

განუხრელად ასრულებენ რა ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე მოცემულ მითითებებს, რომ „მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეობის პრობლემა ამჟამად ისეთივე პირველრიგოვანი პრობლემაა, როგორიც გუშინ იყო უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა", საქართველოს ბოლშევიკებმა და ყველა მშრომელმა უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს პირუტყვის ყოველგვარი სახის სულადობის გადიდების საქმეში.

საქართველოს მეცხოველეობისათვის კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების მავნებლური მოქმედებით, აგრეთვე 1929-30-31 წლებში სოფლად დაშვებული გადახვევებისა და დამახინჯებათა შედეგად მიყენებული ჭრილობები უკვე მოშუშებულია და საქართველოს მეცხოველეობა ამჟამად აღმავლობას განიცდის.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების 1935 წლის სახელმწიფო გეგმა, დაწესებული საქ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ, გადაჭარბებით შესრულდა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობამ 1936 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 1.683,6 ათას სულს;

ცხენის სულადობამ—162,7 ათას სულს;

ცხვრისა და თხის სულადობამ — 1.592,4 ათას სულს;

ღორის სულადობამ—776,7 ათას სულს.

მოზარდეულის გამოზრდის გეგმა **ხბოებისა და ზაქების ხაზით** შესრულებულია გეგმის 120,9 პროცენტით; გამოზრდილია 398.235 სული ხბო და ზაქი.

კვიცები გამოზრდილია 20.720 სული, ანუ გეგმის 120 პროცენტი.

ბატკნები და თიკნები—561.115 სული, ანუ გეგმის 116,3 პროცენტი.

გოჭები და ბურვაკები—575.670 სული, ანუ გეგმის 132,2 პროცენტი.

საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა 1935 წელს მიაღწიეს დაწესებული წლიური გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ეს რაიონებია—ბოგდანოვკის, ალბულაღის, სამტრედიის, ბორჯომის, ახალქალაქის, ზუგდიდის, მარტვილის, აბაშის, ჩხარის, ორჯონიკიძის, ონის, კასპის, ბორჩალოს, ვანის, ქიათურის, ხონის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

მიაღწია რა 1935 წელს ამ წარმატებებს, საქართველომ აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად. ჩრდილო-კავკასიას მოუგო შეჯიბრება მეცხოველეობის დარგში და პირველი ადგილი დაიკავა (ტაში).

მაგრამ მიმდინარე წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და მთელი რიგი ის დეფექტები მეცხოველეობის მეურნეობის ცალკეულ დარგებში, მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც აღმოჩენილია საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბრიგადების გამოკვლევით, **სერიოზულ შიშს იწვევენ ჩვენში მეცხოველეობის განვითარების დარგში მიმდინარე წლის ბრძოლის შედეგისათვის.**

სახელმწიფო გეგმით 1936 წლისათვის ჩვენს წინაშე დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. წლის დამლევისათვის ავიყვანოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1.781,5 ათას სულამდე, ხოლო ცხენისა—177,87 ათას სულამდე.

2. გამოვზარდოთ 1936 წლის განმავლობაში მოზარდეული: ხბო და ზაქი—408,25 ათასი სული, გოჭი და ბურვაკი—610,54 ათასი სული, ბატკანი და თიკანი—653,5 ათასი სული, კვიცი—23,03 ათასი სული.

ამ გეგმის შესრულება, პირუტყვის ივნისის აღრიცხვის მასალების საფუძველზე, შემდეგი სახით გვეხატება:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ გეგმა შესრულებულია 98.5 პროცენტით, **ცხენებისა**—88,9 პროცენტით, **მოზარდეულის—გოჭებისა და ბურვაკების** გამოზრდისა—80,4 პროცენტით, **ბატკნებისა და თიკნების** — 115,3 პროცენტით, **კვიცების**—60,3 პროცენტით.

როგორც ხედავთ, ბატკნისა და თიკნის გამოზრდის გარდა, მეცხოველეობის განვითარების გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

საქართველოს ცალკეულ რაიონებში, პირუტყვის ივნისის აღწერის მასალების თანახმად, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. მაგალითად, გურჯაანის რაიონში გვაქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის **შემცირება 4 პროცენტით**, საგარეჯოს რაიონში—2,6 პროცენტით, თიანეთის რაიონში—0,6 პროცენტით.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის სრულიად უმნიშვნელო **ზრდა** მოგვცეს ტფილისის, თელავის, წალკის, სიღნაღის, მარტვილის რაიონებმა.

ცხვრისა და თხის მხრივ ტფილისის რაიონმა მოგვცა **შემცირება** 1,8 პროცენტით. უმნიშვნელო ზრდა მოგვცეს: გურჯაანის, თელავის, ბორჯომის, ყაზბეგის, სიღნაღის, ყვარლის და სხვ. რაიონებმა.

ღორის მხრივ ჩვენ გვაქვს სულადობის შემცირება წალკის რაიონში 6,3 პროცენტით და სულადობის სრულიად უმნიშვნელო **ზრდა** ყვარლის, თიანეთის, დუშეთის, ბორჯომის, ტფილისის, გურჯაანის რაიონებში.

ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზს, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს პირუტყვის ცუდად მოვლა; ამის შედეგად კოლმეურნეობებში მოზარდეული იხოცება, რაც მთელ რიგ შემთხვევებში 15 პროცენტს აღწევს.

ეს მოწმობს ჩამოთვლილ რაიონთა პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების არასაკმაო მუშაობას, ხშირად კი ცუდ მუშაობასაც. ეს გვიჩვენებს, რომ ამ რაიონთა ხელმძღვანელობამ დაივიწყა, რა მნიშვნელობას აძლევს პარტია მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

წლის დამლევამდე სულ 4 თვე დარჩა. ამ 4 თვის განმავლობაში ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რათა დანაკლისი ავინაზღაუროთ და წლის დამლევამდე მივაღწიოთ მეცხოველეობის წლიური გეგმის შესრულებას არა მარტო მთელ რესპუბლიკაში, არამედ თვითეულ რაიონშიც, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაშიც და თვითეული კოლმეურნისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნის მიერ.

დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები მოზარდეულის შენარჩუნებისათვის შემოდგომით ხბოს მოვლის, გოჭების დაყრის და კვიცის მოწყობის გზით, მოზარდეულის მომწიფებისათვის მაქსიმალური დროის მიცემასა და პირუტყვის წუნის სწორად მოწყობის გზით.

იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებას სულადობის ზრდისა და მოზარდეულის გამოზრდის დარგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა სახის პირუტყვის **პროდუქტიულობის გადაჭრით გადიდებას, აგრეთვე მისი ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხებს.**

პირუტყვის პროდუქტიულობა გადიდებულ უნდა იქნეს პირუტყვის კვების, მოვლისა და მისი შენახვის პირობების საფუძვლიანი გაუმჯობესების გზით, ხოლო ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება—მეტიზაციის გზით.

ჩვენი ადგილობრივი ძროხა მასობრივად ნაკლებ პროდუქტიულია, მისი ცოცხალი წონა საშუალოდ ქანაობს 180-დან 250 კილომდე, ხოლო წლიური წველადობა 60-დან 80 ლიტრ რძემდე, მაშინ როდესაც გაუმჯობესებული მეტიზებული პირუტყვის ცოცხალი წონაა 250-300 და მეტი კილო და წლიური წველადობა 1.500-2.000 ლიტრი.

მიმდინარე წლის გეგმით ჩვენ უნდა მოვახდინოთ 27 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეტიზაცია გამაუმჯობესებელი ჯიშებით—შვიცებით, სიმენტალებით.

მეტიზაციის მიზნით, მიმდინარე წელს საქართველოში შემოყვანილ უნდა იქნას 1.175 ჯიშიანი ხარი [illegible] და, გარდა, ამისა გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობებიდან და საჯიშე ფერმებიდან კოლმეურნეობებისათვის 595 სულის მიყიდვა.

სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან სწორად გაანაწილონ შეძენილი ჯიშიანი მასალა, უზრუნველჰყონ მისი სპეციალური შენახვა, კვება და მოვლა და მიიღონ ზომები, რათა დაგრილების კამპანიის დროს მთლიანად გამოყენებულ იქნას მთელი არსებული საჯიშე მასალა.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით 23 საკოლმეურნეო ფერმა, მეტისის, შვიცისა და სიმენტალის პირუტყვისა, რომლის სულადობა 2.435 სულს უდრის.

ამ ფერმებში მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, არსებულ ჯიშიან მწარმოებლებს მთლიანად ვერ იყენებენ და ამიტომ რაიონული პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების წინაშე ამოცანა დგას —ახლავე შეამოწმონ ამ ფერმების მდგომარეობა და სრულიად მოსპონ არსებული ნაკლოვანებანი.

რადგან პირუტყვის მეტიზაცია საქართველოს რაიონების—დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის მთელი რიგ მთიან სოფლებში და სამხრეთ-ოსეთის ჯავისა და ლენინგორის რაიონებში, ადგილობრივი პირობების გამო, ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, საჭიროა ამ რაიონებში პირუტყვის პროდუქტიულობა გავადიდოთ პირუტყვის ეგრეთწოდებული თავისით გაუმჯობესების მეთოდის გამოყენების გზით, ე. ი. დაგრილებისათვის პირუტყვის არსებული ადგილობრივი ჯიშების საუკეთესო ეგზემპლიარების სისტემატურად შერჩევის გზით.

უნდა შევამოწმოთ ამ მიზნით მოწყობილი საჯიშის მდგომარეობა, განვამტკიცოთ იგი კვალიფიციური კადრებით და უზრუნველვყოთ რაიონული ორგანიზაციების მზრუნველობითა და დახმარებით.

წითელი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებასთან ერთად, ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე მეკამეჩეობის განვითარებას.

მეკამეჩეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საქართველოს დაბლობ რაიონებში (ყარაიას, ბორჩალოს რაიონები, სამეგრელო, კახეთი) და აფხაზეთში.

ფურკამეჩის საშუალო წველადობა აღწევს 1.000-1.200 ლიტრ რძეს, რაც შეიცავს 7 და მეტ პროცენტს ცხიმს.

საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა—**ფურკამეჩები გადაიყვანოს პროდუქტიული მეწველი პირუტყვის მდგომარეობაზე და გაათავისუფლოს ისინი მინდვრისა და ყველა სხვა სამუშაოსაგან.** უნდა ითქვას, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ყველგან როდი ხორციელდება. ფურკამეჩებს იყენებენ მინდვრის სამუშაოებზე, რაც იწვევს სიბერწის მაღალ პროცენტს, მოზარდეულის დიდ დაკარგვას და ამცირებს წველადობას.

მაგრად უნდა დავცხოთ ამ მავნე პრაქტიკას და ვიზრუნოთ მეკამეჩეობის შემდგომ განვითარებაზე, პირველ რიგში, ფერმებში, კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებთან.

საქართველოში **ცხვრის სულადობა** უმთავრესად თუშური ცხვრის ჯიშისაგან შესდგება. თუშური ცხვარი უაღრესად ამტანია და შეუძლიან შორს მანძილზე გადასვლა საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებამდე და პირიქით. მაგრამ თუშური ცხვარი, ისევე, როგორც ადგილობრივი ძროხა, ნაკლებ პროდუქტიულია. თუშური ცხვრის ცოცხალი საშუალო წონა არ აღემატება 35-40 კილოგრამს, მატყლის ნაპარსი კი მხოლოდ 2 ნახ. კილოგრამს, ამასთან თუშური ცხვრის მატყლი, როგორც ვიცით, უხეშია.

თუშური ცხვრის შემოსავლიანობის გადიდება შეიძლება და უნდა გავადიდოთ კიდევაც წმინდა მატყლიან ყოჩებთან მეტიზაციის გზით.

როგორც ვიცით, 1933 წლამდე, იმ სპეციალისტთა ჯგუფის მავნებლური მუშაობის გამო, რომლებმაც მცირე მოსავლიანი თუშური ცხვარი „საქართველოს ეროვნულ სიამაყედ" გამოაცხადეს, მის მეტიზაციას თითქმის არ ეწეოდნენ, ამ მიზნით შემოყვანილი წმინდამატყლიანი ყოჩები კი—1927-30 წლებში ვერ იქნენ გამოყენებული და დაიღუპნენ.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი სული წმინდამატყლიანი ყოჩის მხოლოდ მატყლის რეალიზაციით კოლმეურნე ღებულობს სულ ცოტა 100 მანეთს, თვალნათლივ გვიჩვენებს წმინდამატყლიანი ყოჩების მაღალ შემოსავლიანობას და მათგან თუშური ცხვრების მეტიზაციის საჭიროებას.

მიმდინარე წელს საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საქმეს მაგრად მოჰკიდა ხელი. ამ მიზნით საქართველოში უკვე შემოყვანილია 2.228 ყოჩი. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ზომები მათი მიღების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სწორად განაწილებისა, მათი მოვლისა და შენახვის მოწყობის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი გეგმის მიხედვით, მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 100 ათასი სული დედალცხვარის მეტიზაცია, მათ შორის 46 ათასი სულის მეტიზაცია ხელოვნური განაყოფიერებით. უკვე აშენებული და მოწყობილია ხელოვნური განაყოფიერების 50 პუნქტი და მომზადებულია 160 სპეციალისტი—გამანაყოფიერებელი.

ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რომ მეტიზაციისა და ხელოვნური განაყოფიერების გეგმა აუცილებლად გადაჭარბებით იქნას შესრულებული ვადებში. ეს—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და რაიონული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ კოლმეურნეთა და მეცხვარეთა ერთ ნაწილში გავრცელებულ მავნე და არასწორ აზრს, თითქოს წმინდამატყლიან ცხვარს არ შეუძლიან ისეთი ხანგრძლივი გადასვლა, როგორც თუშურ ცხვარს, და რომ, ამიტომ, მას თითქოს, არ შეუძლიან გაუძლოს საქართველოს მეცხვარეობის საძოვრიდან საძოვარზე გადაყვანის პირობებს.

ორიოდე სიტყვა **მეგრული თხის** შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეგრული თხა წველადობის მხრივ ყველაზე უფრო მაღლა დგას საბჭოთა კავშირში. გლეხურ მეურნეობაში მას წარმატებით შეუძლიან შესცვალოს ადგილობრივი ჯიშის ძროხა. **მეგრული თხა შორს არის განთქმული საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებს იქითაც.**

ჩვენს წინაშე უნდა დავაყენოთ ამოცანა—უახლოესი 2 წლის განმავლობაში **მეგრული თხის საჯიშე ფერმების რაოდენობა ავიყვანოთ 20-მდე, ნაცვლად ახლა არსებული 7 ფერმისა.**

ეს ფერმები დახმარებას გაგვიწევენ გავაუმჯობესოთ მეგრული თხა თავისით, აგრეთვე უზრუნველვყოთ ამ თხებით არა მარტო საქართველოს რაიონების, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რაიონების მომარაგება.

ჩვენში ცუდად არის დაყენებული **მეცხენეობის** საქმე. მეცხენეობის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელი არ არის.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამასწინათ დაწვრილებით განიხილა მეცხენეობის მდგომარეობა საქართველოში და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ცხენების სულადობის შემდგომი ზრდისა და ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის.

მეცხენეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეცხენეობის სამმართველოს ცუდი ხელმძღვანელობისა და ცუდი მუშაობის შედეგია. ჩვენი საჯიშე ცხენთსაშენი ქარხნები მოწყვეტილი იყვნენ კოლმეურნეობებს, ისინი დახმარებას ვერ უწევდნენ მათ საჯიშე მასალით მომარაგებისა და მეცხენეობის კულტურული მეთოდების დანერგვის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 1923 წლიდან ეწევიან ცხენების მეტიზაციას, მას დღევანდლამდე თვალსაჩინო შედეგები არ მოუცია.

გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო ასეთ მდგომარეობას. მიმდინარე წელს უეჭველად მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ 3.715 სულის მეტიზაციის დაწესებული გეგმა და 49.500 სულის დაგრილების კამპანიის გეგმა.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად უნდა მოვაწყოთ მეტიზებული სულადობის აღრიცხვა, თვითეული (ცხენთსაშენი საბჭოთა მეურნეობისათვის, თვითეული ცალკეული კოლმეურნეობისათვის უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი გაუმჯობესებული ცხენების კვების, შენახვისა და მოვლის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება **მეღორეობას**, ამ საქმეში ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ: სულადობის რაოდენობის მიხედვით ჩვენ უკვე რამდენადმე გადავაჭარბეთ ღორების იმ სულადობას, რაც საქართველოში 1913 წელს იყო. **ჩამორჩენა გვაქვს, უმთავრესად, ღორების ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების დარგში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.**

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უახლოესი 1-2 წლის მანძილზე მოვახდინოთ საქართველოში ღორების მთელი სულადობის მეტიზაცია ინგლისური მსხვილი თეთრი იორკშირის, ჯიშით. მიმდინარე წლის მეტიზაციის გეგმა (145 ათასი სული) უნდა შევასრულოთ და იგი ადვილად შესრულდება ჯიშიანი ტახებისა და მეტისების არსებული სულადობის გამოყენების გზით, მიუხედავად გენერაციისა.

მიმდინარე წელს საქართველოში საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან შემოგვყავს 5.000 სული ტახი და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა რაიონულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა დასახოს ღონისძიებანი მათი სათანადოდ მიღებისა და რაიონებსა და კოლმეურნეობებს შორის სწორად განაწილების უზრუნველსაყოფად.

მეცხოველეობა სუსტად ვითარდება აფხაზეთში, თუმცა იქ ამ საქმისათვის არის ყველა პირობა: საძოვრებიც, საკვებიც, წყალიც.

აფხაზეთში 47.913 მეურნეობაა. ცხვრები და თხები კი ერთად აღრიცხული აფხაზეთში მხოლოდ 58.365 სულია. ეს ნაკლებია, ვიდრე მარტო ილდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში (78.000 სული).

ამ მხრივ საქმე გაცილებით უკეთ არის აჭარაში, იქ 18.494 მეურნეობაზე მოდის 90.295 ცხვარი და თხა.

აფხაზეთის ორგანიზაციებმა ამას კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ და სათანადო დასკვნები გააკეთონ.

ამხანაგებო, მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანა, **მის ფართო მეტიზაციის გატარებასთან ერთად, შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ პირუტყვის მოვლისა, შენახვისა და კვების სისტემის საფუძვლიანი რეორგანიზაციით.**

საქართველოს მიწსახკომმა მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა გადასინჯოს არსებული ზოო-ვეტწესები, შეასწოროს და დააზუსტოს ისინი პირუტყვის დაზამთრების მომენტისათვის, მიაწოდოს იგი მეცხოველეობის ყველა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას და ცალკეულ კოლმეურნეებს.

საქართველოს მიწსახკომმა რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით უნდა გამოიყენოს **თივის წლევანდელი დიდი** მოსავალი, უდანაკარგოდ აიღოს იგი, მოაწყოს მეორე გათიბვა და უზრუნველჰყოს უხეში საკვების გარდამავალი მარაგის შექმნა.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო მემინდვრეობის კალოს, ნარჩენთა (ჩალა, ბზე) მფლანგველობას, უნდა მოეწყოს ბზის სავალდებულო აღება, მისი წესიერი შენახვა, აგრეთვე დროული გადაზიდვა პირუტყვის სადგომებთან.

პირუტყვის მთელი სულადობის უზრუნველყოფა საკვების სრული ნორმით — რაიონული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამ მიზნით უნდა დამუშავდეს საკითხი ნათესი ბალახების ფართობის გადიდებისა, უნდა შემუშავდეს ღონისძიებანი სათიბი და საძოვარი ნაკვეთების მოსავლიანობის ასაწევად. ეს **ღონისძიებანი მეტ ნაწილად არ მოითხოვენ არავითარ კაპიტალურ დაბანდებას, ისინი თხოულობენ მხოლოდ პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოთა ყურადღებასა და ინიციატივას. საკმარისია ხელი მივყოთ სარეველა ბალახების მოსპობას, ქვების აკრეფას, საშახტო ჭების ამოთხრას, პირუტყვის უზრუნველსაყოფად წყლით, რომ უკვე გაუმჯობესდეს სათიბი და საძოვარი ნაკვეთების მდგომარეობა განსაკუთრებული კაპიტალური ხარჯების გაუწევლად.**

ამასთან ერთად უნდა შემუშავდეს ღონისძიებანი საძოვრებისა და სათიბების კაპიტალური გაუმჯობესებისათვის, სარაიონთაშორისო გზების გასაყვანად საძოვრებისაკენ, არტეზიული ჭების მოსაწყობად, საძოვრების მართებულად გასანაწილებლად და მოსარგებლეებზე მისამაგრებლად და სხვა.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე **საკვების დასილოსებას**, რასაც უზრუნველჰყოფს როგორც სასილოსე კულტურათა ნათესები, ისე ველური ბალახის მწვანე მასა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მეცხოველეობის განვითარების საქმეში — **ეს არის პირუტყვის ეპიზოოტიასთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა.** ღორის ჭირი, საქონლის ჭლექი, ციმბირის წყლული და სხვა ავადმყოფობანი სერიოზულ ზიანს აყენებენ მეცხოველეობას.

მარტო სამკურნალო ღონისძიებანი ავადმყოფი პირუტყვის მიმართ პროფილაქტიკური ზომების გამოუყენებლად ვერ მოგვცემენ საჭირო ეფექტს.

საქართველოს მიწსახკომმა რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად უნდა გაატაროს ღონისძიებანი თვითეულ ცალკეულ რაიონში, რათა უახლოეს წლებში უეჭველად მოისპოს პირუტყვის დაავადების კერები საქართველოში.

ასეთი კერები, რომლებიც იწვევენ დაავადებათა პერიოდულ მძაფრ გაჩენას მოიპოვება ტფილისის, კასპის, ბაშკიჩეთის, ქუთაისის, ვანისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

პარტიის რაიკომები მაქსიმალურ დახმარებას უნდა უწევდნენ მიწსახკომის ორგანოებს და მის ვეტერინარულ სამმართველოს დაავადებასთან ბრძოლაში და ეპიზოოტიის მოსპობაში, განსაკუთრებით კარანტინის სასტიკ დაცვაში, ვინაიდან კარანტინის დაუცველად პირუტყვის მკურნალობა ძალიან ხშირად ფულის ფუჭი ხარჯვაა.

ამხანაგებო, კიდევ მოგაგონებთ, რომ მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია. მეცხოველეობის წარმატებით განვითარებას უფრო ჩქარა მიჰყავს კოლმეურნე გლეხობა შეძლებული ცხოვრებისაკენ. **საქართველოს მეცხოველეობას პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა საქართველოს ყველა რაიონში გამოუკლებლივ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ.**

* * *

მეფუტკრეობაც სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგს წარმოადგენს, იგი არის უმნიშვნელოვანესი საშუალება ხეხილის, ციტრუსოვანთა უმეტესობისა და სხვა იმ კულტურათა, მოსავლიანობის გასადიდებლად, რომელთა განაყოფიერება მწერების საშუალებით, ხდება.

მიუხედავად ამისა, მეფუტკრეობას ჯერ მაინც არ ექცევა საკმაო ყურადღება. სრულიად საკმარისი არ არის მეფუტკრეობის დანერგვის ტემპები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა მეურნეობებში.

ამავე დროს საქართველოში არის მაღალპროდუქტული მეგრული ანდა, როგორც მას ზოგიერთი უწოდებს—აფხაზური ფუტკარი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირის ცალკეული რაიონების მხრივ, ისე საზღვარგარეთიდანაც.

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის 1936 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით მიღებულია ღონისძიებები მეფუტკრეობის განსავითარებლად. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ფუტკრის ოჯახთა გადიდება კოლმეურნეობებში 12.700 სკიდან 18.435 სკამდე, და მიწსახკომის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ფუტკრის 1.816-დან 4.250 ოჯახამდე. მეფუტკრეობის შემოსავლიანობის გადიდებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის ფუტკრის ოჯახების გადაყვანა პრიმიტიული სკებიდან ჩარჩოიან სკებში და მათი მომარაგება ხელოვნური ფიჭით.

ჩარჩოიანი სკებისა და ხელოვნური ფიჭის მომზადება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. უკვე მთელმა რიგმა რაიონებმა მოაწყეს სახელოსნოები ფიჭის დასამზადებლად (ლანჩხუთმა, ჩოხატაურმა, ხონმა, ზამურმა, ხულომ და სხვ.) და ჩარჩოიანი სკების დასამზადებლად (ბორჯომმა). ამ მაგალითს უნდა მიჰბაძონ სხვა რაიონებმაც.

უახლოეს 2-3 წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ საკოლმეურნეო კომლს ჰქონდეს 20 სკამდე, თანახმად სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებისა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ თაფლის წარმოებას სამრეწველო მასშტაბით და არა ისე, რომ მოილოკო თითები და—მორჩა! (სიცილი.).

* * *

მარცვლეულთა პროდუქციის ზრდასთან დაკავშირებით იქმნება რეალური ბაზა **მეფრინველეობის** უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

მეფრინველეობა ჩვენში უდიდეს როლს ასრულებს კვერცხისა და ხორცის პროდუქციის გადიდების საქმეში. მეურნეობის ამ დარგს ჯერ კიდევ არ ექცევა საკმაო ყურადღება.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება ნებას აძლევს კოლმეურნეებს იქონიონ განუსაზღვრელი რაოდენობის ფრინველი.

საჭიროა მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მიერ მონიჭებული უფლება ფრინველის მოშენებისა კოლმეურნეობათა შეძლებულობის უზრუნველსაყოფად.

უნდა ამოცანად დავისახოთ, რათა თვითეულ საკოლმეურნეო კომლს 1936—წლის განმავლობაში ჰყავდეს სულ ცოტა 12-15 კვერცხისმდებელი ქათამი; ამ მიმართულებით უნდა აწარმოონ მუშაობა რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა.

VII. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები

საქართველოში სპეციალურ და ტექნიკურ შრომისტევად კულტურათა ნათესების დიდი რაოდენობის გამო **სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს** ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სისტემატურად მუშაობდა.

ამჟამად საქართველოში არის 34 მტს-ი 1.260 ტრაქტორით, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 20.933 ცხ. ძალას. **მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობათა საერთო სატრაქტორო პარკი შესდგება 1.888 ტრაქტორისაგან და მათი სიმძლავრე უდრის 30.738 ცხ. ძალას.**

საქართველოს მინდვრებზე ამჟამად 206 კომბაინი მუშაობს.

სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე საქართველოს კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და აღწევს:

საგაზაფხულო ხვნაში — 18,5 პროც. (60,798 ჰექტ.);

ანეულში — 64,1 პროც. (23,324 ჰექტ.),

საშემოდგომო ხვნაში — 40.6 პროც. (76.300 ჰექტ.),

მძრალად ხვნაში — 33,3 პროც. (90.000 ჰექტ.),

საშემოდგომო თესვაში — 15 პროც. (33.900 ჰექტ.) და

მარცვლეულის აღებაში — 16 პროც. (37,800 ჰექტ.).

იმ მუშაობის შედეგად, რომელიც გაწეულია ხმარებაში მყოფი სასოფლო - სამეურნეო რთული მანქანების ტექნიკის ასათვისებლად, **უკანასკნელ წლებში მიღწეულია მათი უკეთ გამოყენება.**

მაგალითად, თუ 1933 წელს ერთი, პირობითი 15—ძალიანი ტრაქტორით, — მთელ სამუშაოთა წვრილ ხვნაზე გადაყვანით, — დამუშავებული იყო 189 ჰექტარი, 1935 წელს დამუშავდა 293 ჰექტარი, ხოლო 1936 წელს გეგმის მიხედვით უნდა დამუშავდეს 471 ჰექტარი.

თუ 1933 წელს ერთ სალეწ მანქანაზე მოდიოდა 1.864 ცენტნერი გალეწილი პური, 1935 წელს ერთი სალეწი მანქანით გაილეწა 2.803 ცენტნერი, 1936 წელს კი გეგმის მიხედვით უნდა გაილეწოს 3.582 ცენტნერი.

მაგრამ, ის ამოცანები, რომელთაც ვისახავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების დარგში, მოითხოვენ, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შემდგომ უფრო მეტი გულმოდგინებით მოჰკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებს.

ჩვენ უფრო გაბედულად უნდა წავწიოთ წინ მექანიზაცია სპეციალური და ტექნიკური კულტურების დამუშავებაში.

თუ მარცვლეული კულტურების მექანიზაციის დარგში წარმატებები მოგვეპოვება, **ტექნიკური და სპეციალური კულტურების** (ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, ტუნგო, რამი) **დამუშავებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მექანიზაციის დარგში** სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმარისი.

პარტიულ - საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა გამოცდილების საფუძველზე, ხოლო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტებმა —საკითხთა ღრმა მეცნიერულ - საკვლევო დამუშავების საფუძველზე — უახლოესი წლების განმავლობაში უნდა მიაღწიონ სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის ამაღლებას სპეციალური და ტექნიკური კულტურების დარგში.

პირველ რიგში აქ ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის მწკრივთაშორისო დამუშავების, ყურძნის საპლანტაჟო სამუშაოს, ჩაის ფოთლის კრეფის, ხეხილის ნარგავთა და ვენახების მკურნალობის მექანიზაციას და სხვ.

სოფლის მეურნეობის სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის მიზნით როგორც ტექნიკურ, ისე მარცვლეულ კულტურათა დარგში ჩვენ უნდა მივაღწიოთ მტს-ების ქსელის შემდგომ გაფართოვებას საქართველოში.

1936 წლის შემოდგომაზე და 1937 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აუცილებლად საჭიროა მოეწყოს კიდევ 9 ახალი მტს-ი: ხაშურის, გორის, გურჯაანის, თელავის, ბორჩალოს, დუშეთის, ახალქალაქის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში.

ახალი მტს-ების შექმნასთან ერთად ჩვენ უნდა მივაღწიოთ რთული სასოფლო - სამეურნეო მანქანების **საქართველოში შემოზიდვის შემდგომ გაძლიერებას** და პირველ რიგში: ღრმადმხვნელი გუთნებისა და მწკრივთაშორისო დამუშავების გუთნებისა, სათიბი მანქანებისა, კომბაინებისა, სატრაქტორო და ცხენის ძნისსაკრავისა, სალეწი მანქანებისა, კერძოდ სალეწი მანქანებისა, საბზეო აპარატებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვის გაძლიერებასთან ერთად ამოცანა იმაში მდგომარეობს, **რომ უკეთ დაიგეგმოს შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილება რაიონების მიხედვით.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად **საქართველოს მიწსახკომი ამ საქმეში შეცდომებს უშვებს და ცუდად უწევს ანგარიშს ცალკეულ რაიონთა მოთხოვნილებას სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე.**

მთელ რიგ ჩვენს რაიონებში არ ჰყოფნით სათიბი მანქანები და ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის საქართველოს მიწსახკომს, რომელიც არ ღებულობდა საკმაო ზომებს სათიბი მანქანების დროულად შეზიდვისათვის რაიონებში.

ანდა სალეწი მანქანების მაგალითი. ბოგდანოვკის რაიონში სრულებით არ არის სალეწი მანქანები, ამასთანავე ბოგდანოვკის რაიონისათვის საჭიროა ისეთი სალეწი მანქანები, რომელთაც არა აქვთ საბზეო აპარატი. საქართველოს მიწსახკომმა განცხადება მისცა საკავშირო მიწსახკომს მხოლოდ ისეთ სალეწ მანქანებზე, რომელთაც საბზეო აპარატი აქვთ. მიწსახკომის ანგარიში ასეთი იყო: გადაეცეს საბზეოაპარატიანი სალეწი მანქანები აღმოსავლეთ-საქართველოს რაიონებისათვის, სადაც მათი მოთხოვნილება არის, ხოლო უსაბზეო მანქანები აღმოსავლეთ — საქართველოს რაიონებიდან გადაეცა ბოგდანოვკის რაიონისათვის. მოხდა ისე, რომ საბზეოაპარატიანი სალეწი მანქანები არ არის მიღებული, უსაბზეოსალეწი მანქანები, რომელთაც სსრ კავშირის მიწსახკომი იძლეოდა, არ წამოიღეს და ბოგდანოვკის რაიონს კი არ აბადია სალეწი მანქანები.

ვისთვის იყო საჭირო ეს რთული არევდარევა დაგეგმვაში? ეს, უეჭველად, მიწსახკომის შეცდომას წარმოადგენს.

უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვის დაგეგმვის მთელი წესი თვით მიწსახკომის აპარატში. ამჟამად ამ საქმეს მიწსახკომში ერთი კაცი აკეთებს. ის ადგენს განცხადებას და ამ დროს ხანდახან პირად შემოქმედებასაც იჩენს. ფონდების მიღების დროს ადგენს მანქანების ცალკეულ რაიონებში შეზიდვის განაწილების გეგმას, და ხეირიანად არ იცნობს მათ ნამდვილ მოთხოვნილებას. შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ამ შეზიდვისა და განაწილების გეგმებს ხანდახან მექანიკურად ამტკიცებს მიწათმოქმედების სახკომი.

ეს პრაქტიკა უნდა შეიცვალოს. სასოფლო - სამეურნეო მანქანების წლიური და კვარტალური შეზიდვის გეგმებს და რაიონებზე განაწილებას უნდა იხილავდნენ და ამტკიცებდნენ საქართველოს ც. კ-ის ბიურო და სახკომსაბჭო. საქართველოს სახკომსაბჭო უნდა აყენებდეს საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო მანქანების საქართველოში შემოზიდვის ყველა საკითხს. მანვე თვალყური უნდა ადევნოს რაიონებში მანქანების ფაქტიური შეზიდვის გეგმის სწორსა და დროიანად შესრულებას.

თუმცა ჩვენ მივაღწიეთ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საქმის გაუმჯობესებაში, მაგრამ ამ საქმეში საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე კიდევ დიდი ამოცანები დგას და დაუშრეტელი შესაძლებლობები მოიპოვება.

იმ დროს, როდესაც 1936 წელს, გეგმით, ხვნაზე გადაყვანით, თვითეულმა ტრაქტორმა პირობითი 15 — ძალიანი გაანგარიშებით 471 ჰექტარი უნდა დაამუშაოს, ჩვენ გვყავს ისეთი ტრაქტორისტები, როგორც, მაგალითად, ორდენოსანი ლევან რუსიშვილი აჭარის მტს-დან, რომელმაც სტზ. ტრაქტორით მიმდინარე წლის აგვისტომდე შეასრულა სამუშაო, ხვნაზე გადაყვანით 1.635 ჰექტარის რაოდენობით.

წნორის მტს-ში ბრიგადირმა შაქრო გურაშვილმა თავის ბრიგადაში

(გაგრძელება იხ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

მიაღწია, იმას, რომ თვითეული ტრაქტორი აკეთებს 1.040 ჰექტარს ხნაზე გადაყვანით.

ანალოგიური მაგალითები გვაქვს სხვა მექანიზმების მუშაობის დარგში.

მაგალითად, წნორის მტს-ს კომბაინერმა ორდენოსანმა არჩილ ლუმბურმა თავისი კომბაინით 860 ჰექტარი აიღო, ნორმად კი თითო კომბაინზე გათვალისწინებული იყო 240 ჰექტარი, კომბაინერმა ნიკოლოზ ახალოვმა კი აიღო 613 ჰექტარი.

თვითეულ თქვენთაგანს წარმოდგენილი აქვს, თუ რა მნიშვნელოვნად შეგვეძლო აგვეწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამუშაოთა დონე, ჩვენი ტრაქტორისტები, კომბაინერები, სალეწი მანქანის მემანქანეები უფრო უკეთ რომ დაეუფლებოდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკას და თავისი მუშაობის მაჩვენებლებით რომ აეწიათ სოფლის მეურნეობის ამ მოწინავე სტახანოველთა მაჩვენებლებამდე.

რადგან რაიკომები, რაიაღმასკომები, მიწგანები და მტს-ების დირექტორები ჯეროვნად ვერ ეკიდებიან მანქანების გამოყენებისა, მათი მუშაობის სწორი ორგანიზაციის საკითხზე და ყოველთვის დამაკმაყოფილებლად ვერ შეარჩევენ ხოლმე კადრებს, ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როდესაც, უნდა პირდაპირ ითქვას, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობისათვის მოცემული მინიმალური გეგმები არ სრულდება.

მაგალითად, გორის მტს-ში, რომლის დირექტორადაც ამხ. მარჭოროვია, კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა 10 აგვისტოსათვის შესრულებული იყო მხოლოდ 58 პროცენტით და თვითეულ კომბაინზე მხოლოდ 149 ჰექტარი მოდიოდა. ლეწვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 6,8 პროცენტით, ანეულის კულტივაციისა — 1,8 პროცენტით, პურის აღება ძნასაკრავი მანქანით — 20 პროც., თიბვა — 60 პროც., ნაწვერალის აოშვა — 18,8 პროც., ანეულის გადახვნა — 6,1 პროც., ფარცხვა — 3,5 პროც.

ბორჩალოს მტს-ში, რომლის დირექტორად ამხ. ომაროვი მუშაობს, სახნავი კულტურების სატრაქტორო კულტივაციის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 26 პროცენტით.

ლუქსემბურგის მტს-ში, რომლის დირექტორად ამხ. რაიზერი მუშაობს კომბაინებით აღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 25 პროცენტით, სახნავი კულტურების კულტივაციის გეგმა — მხოლოდ 16 პროცენტით.

რიგიანად ვერ ასრულებს გეგმებს აგრეთვე საგარეჯოს მტს-ი.

რას იტყვიან თავიანთ მტს-ებში ასეთი სამარცხვინო მუშაობის გამო პარტიის, გორის, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა და საგარეჯოს რაიკომების მდივნები?

განა ცხადი არ არის, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და ამ მტს-ების დირექტორებმა ცუდად მოაწყეს თავიანთი მანქანების მუშაობა და სამარცხვინოდ ჰფუშავენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს?

რა მოსდევს მექანიზმების ასე ცუდად გამოყენებას?

ჯერ-ერთი ის, რომ ვადაზე არ სრულდება სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმები. ამ მტს-ებს შეცდომაში შეჰყავთ კოლმეურნეობები, ჰფუშავენ თვით კოლმეურნეობათა გეგმებს, აუარესებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხს, ხოლო ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, უარყოფითს გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდაზე.

მეორე მხრივ — **მექანიზმების ცუდად გამოყენება აძვირებს სამუშაოთა ღირებულებას.** ასეთი მტს-ები ვერ ასრულებენ თავიანთ საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვებს, ახდენენ სახსრების საგრძნობ გადახარჯვას და განიცდიან ფინანსურ სიძნელეს.

თვითეულ მტს-ს რომ მიეღწია თავისი მანქანათა პარკის უფრო უკეთ გამოყენებისათვის, მათ რომ სოფლის მეურნეობის სტახანოველთა უკეთესი მაჩვენებლებისათვის მიეღწიათ, მაშინ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების უკვე არსებული რაოდენობის ხარჯზე ჩვენ შევძლებდით გაცილებით უფრო აგვემაღლებინა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით (ტრაქტორი, კომბაინი, სალეწი მანქანა, სათესი მანქანა და სხვ.) მომსახურება გაგვეწია იმ რაიონებისათვისაც, სადაც ეს მანქანები ცოტაა ან სრულიად არ არის და სადაც მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს ც.კ. მტს-ების დირექტორებისაგან მოითხოვს, რომ მათ უკეთ მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება. მტს-ის დირექტორის მუშაობა — დიდი და საპატიო მუშაობაა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თვითეული დირექტორი და მუშაკთა მთელი კოლექტივი დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ თავიანთი მუშაობისათვის.

სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებამ ახალი მტს-ების შექმნის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა შემდგომი შემოტანის საფუძველზე, ხოლო პირველ რიგში და უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მთელი არსებული პარკის უკეთ გამოყენების საფუძველზე, დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში, მათ მიერ ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შემდგომი განვითარების ამოცანების შესრულებაში.

VIII. კოლხიდის დაშრობისა და მიწის მორწყვის სამუშაოთა შესახებ

როცა საქართველოს საკოლმეურნეო სასოფლო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევჩერდეთ კოლხიდის დასაშრობად წარმოებულ სამუშაოებსა და მიწების მორწყვის საკითხებზე.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის მნიშვნელობაზე ბევრია ნათქვამი და, მიუხედავად ამისა, დღეს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის **უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც კოლხიდის დაშრობას აქვს საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობისათვის,** ძვირფასი კულტურების (ჩაი, ციტრუსები და სხვ.) განვითარებისათვის და კოლხიდის დაბლობში მდებარე რაიონების იმ მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის, რომელსაც ათასი წლობით სტანჯავდა ჭაობიანება და მალარია.

როგორც ვიცით, კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოები დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1925 წელს.

1925-დან 1932 წლამდე დაშრობის სამუშაოებზე დაიხარჯა 4.300 ათასი მანეთი. შესრულდა შემდეგი სამუშაოები: გაითხარა არხი ქალაქ ფოთის მახლობლად, გამაგრდა მდინარე კაპარჭინის ნაპირები ქალაქის ირგვლივ 5 კილომეტრის მანძილზე, ნაწილობრივ გამაგრდა რიონის მარჯვენა ნაპირი ქალაქის მახლობლად; შესრულებულ იქნა სულ 920 ათასი კუბიკური მეტრის მიწის სამუშაოები და დაშრობილი იქნა მხოლოდ 300 ჰექტარი მიწა.

1932 წლიდან კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოები უფრო ფართოდ გაიშალა. 4 წლის განმავლობაში — 1932 წლიდან 1935 წლამდე ჩათვლით — კოლხიდის სამუშაოებზე დაიხარჯა დაახლოვებით 29 მილიონ მანეთამდე. ამ თანხაში არ შედის ის ფული, რომელიც დაიხარჯა საექსკავატორო სადგურის შექმნაზე და იმ სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია მდინარე რიონის ახალ კალაპოტში გადაგდებასთან. 1936 წელს კოლხიდის დაბლობის დასაშრობად გაღებულია 9.900 ათასი მანეთი.

1932 წლიდან 1936 წლამდე კოლხიდაში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ნაწილობრივ გამაგრებულია მდინარე რიონის, ხობის, ტეხურის, აბაშის, ცივის ნაპირები; გათხრილია მაგისტრალური არხები, აშენდა კოლექტორები და დასაშრობი ქსელი.

ამ სამუშაოებმა საბოლოოდ ათავისუფლეს ხობის, ცხაკაიას, აბაშის და სხვა რაიონების უკვე დასახლებული ნაკვეთები და დაშრობის შემდეგ მოგვცეს დაახლოვებით 16.300 ჰექტარი ახალი ფართობი. საქართველოს მიწსახკომს ჯერჯერობით მიღებული აქვს დაახლოვებით 2.000 ჰექტარი. დანარჩენ ფართობებზე საჭიროა კიდევ ჩატარდეს ზოგიერთი დამატებითი სამუშაო.

სულ შესრულებულია 8.338.000 კუბიკური მეტრი მიწის სამუშაოები. [illegible] სამუშაოები მექანიზებულია. შეიქმნა საექსკავატორო სადგური, რომელსაც 23 ექსკავატორი აქვს.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის მთელ სამუშაოებს ატარებდა 1931 წლის დამლევს შექმნილი კოლხიდმშენი, რომელიც უშუალოდ სსრ კავშირის მიწსახკომს ექვემდებარება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამხანაგი სტალინი დიდ ინტერესს იჩენს კოლხიდის სამუშაოებისადმი, მან ბევრჯერ დაწვრილებით გამოგვკითხა თუ რა კეთდება კოლხიდაში, როგორ მიმდინარეობს ჭაობების დაშრობის მთელი სამუშაოები, როგორია კოლხიდის ათვისების შესაძლებლობანი და მომავალი პერსპექტივები, ამასთან დეტალურ მითითებებს გვაძლევდა კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და ათვისების სამუშაოთა ორგანიზაციის წესის შესახებ.

როგორც ვიცით, 1936 წელს, მოსკოვში საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს ამხანაგ **სტალინს** აგრეთვე ზედმიწევნით აინტერესებდა კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოთა მდგომარეობა და მსვლელობა.

ამხანაგმა **სტალინმა** ყურადღება მიაქცია იმას, რომ დღემდე არ მოიპოვება კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და ათვისების საბოლოოდ დამუშავებული ტექნიკურ - ეკონომიური პროექტი, დამტკიცებული სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ამხანაგმა **სტალინმა** მოგვცა მითითება, რომ სამუშაოები არ უნდა გავფანტოთ, არამედ თავი მოვუყაროთ კოლხიდის ძირითად მასივში უფრო სწრაფი ეფექტის მისაღებად.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა შემდეგ ჩვენ უშუალოდ, უფრო მტკიცედ დავიწყეთ მუშაობა კოლხიდის დაბლობის დაშრობის საკითხებზე.

მოსკოვში შევუთანხმდით ამხანაგ ჩერნოვს. მან გამოგზავნა მშენებლობის სამმართველოს უფროსი ამხ. პასკუცკი და საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპეციალისტებთან — აკადემიკოს გლუშკოვთან, პროფესორ ბურდასტოვთან და ამხ. ოსკოხინსკისთან ერთად, აგრეთვე ჩვენ საუკეთესო სპეციალისტებთან ერთად ადგილობრივ შევამოწმეთ დაშრობის მთელ სამუშაოთა მიმდინარეობა.

შემოწმების დროს გამოირკვა, რომ დაშრობის სამუშაოები ჯერ კიდევ ცუდად სწარმოებს.

სამუშაოები გაფანტულია და ცუდად არის ორგანიზებული. მათი ხელმძღვანელობა, სამუშაოთა ღირებულება ძალიან მაღალია, სამუშაოთა ხარისხი დაბალია. მიწსახკომი ცუდად ატარებს უკვე დაშრობილი მასივების ათვისებას.

გაყვანილი მაგისტრალური არხები დიდ რემონტს საჭიროებენ, ვინაიდან ისინი ძალიან დანაგვიანებული და ძალზე ამობორცვილია, რის შედეგადაც 30-40 პროცენტით მცირდება მათი გამტარუნარიანობა. მდინარეების გამაგრება არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. არ სწარმოებს ყორეების დაცვა, ყორეებზე გლეხები გადასასვლელებს აკეთებენ და წყალდიდობის დროს წყალი გადადის ამ გადასასვლელებში და ანგრევს ყორეებს. ყორეების ასაშენებლად, მათ ახლოს აკეთებდნენ ორმოებს, ამ ორმოებისათვის არ გაუკეთებიათ წყალსაქცევები, რის გამო ამ ორმოებში, ეგრეთწოდებულ რეზერვებში, კვლავ დიდი გუბეები და ჭაობი დაგროვდა.

ძალიან ცუდად სწარმოებდა საგზაო მშენებლობა. არსებული მექანიზმები არ მუშაობდნენ სრული დატვირთვით.

უკანასკნელი წლების მანძილზე კოლხიდაში ჩატარებულ დიდი სამუშაოებთან ერთად ჩვენ გამოვავლინეთ ყველა ეს სერიოზული ნაკლი.

ამ ნაკლოვანებათა მხრივ ბევრ რამეში დამნაშავეა კოლხიდმშენი და მისი მთავარი ინჟინერი ამხ. გეგეჭკორი, რომლებმაც ახლა გაცილებით უკეთ უნდა იმუშაონ.

კოლხიდის დაშრობის სამუშაოთა მდგომარეობის გულდასმით შესწავლის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა დებულება ტექნიკურ - ეკონომიური პროექტის შესადგენად.

ამჟამად კოლხიდმშენი და საქართველოს მიწსახკომი სსრ კავშირის მიწსახკომის წარმომადგენლებთან ერთად ამუშავებენ კოლხიდის დაბლობის დაშრობის ტექნიკურ-ეკონომიურ პროექტს, ამასთან მხედველობაშია მიღებული, რომ აუცილებელია 1940 წლამდე ჩათვლით შესრულდეს 50 ათასი ჰექტარი ტერიტორიის დაშრობის სამუშაოები.

დაშრობის მთელი სამუშაოები ამ პერიოდისათვის თავმოყრილი იქნება ქალაქ ფოთის რაიონში და გატარდება მიწის შემდეგ მასივებზე:

1.300 ჰექტარი ფართობი ორ მასივზე, რომლებიც ქ. ფოთს ეკვრიან ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან;

8.600 ჰექტარი ფართობის ორ მასივზე, რომლებიც მდებარეობენ ქ. ფოთის აღმოსავლეთით, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე:

ჭალადიდის მასივზე, 22,000 ჰექტარი ფართობით;

ცივი-ტეხურის მასივზე, 6.000 ჰექტარი ფართობით;

აბაშა-ტეხურის მასივზე, 2.100 ჰექტარი ფართობით;

აბაშა—ნოღელას მასივზე, 3.700 ჰექტარი ფართობით;

ნოღელა—ცხენისწყლის მასივზე, 4.300 ჰექტარი ფართობით.

ამ ნაკვეთების დაშრობის შედეგად, ქ. ფოთის გარშემო ჩვენ გვექნება კოლხიდის მშვენიერი მიწების დიდი მასივი შემდეგ საზღვრებში: დასავლეთით—შავი ზღვის ნაპირები, ჩრდილო-აღმოსავლეთით—მდინარე ხობი და შავი ზღვის რკინიგზის ხაზი, სამხრეთით—პალიასტომის ტბა, მდინარე ანგორა, ხოლო შემდეგ მდინარე რიონის მარცხენა ნაპირი, აღმოსავლეთით—მდინარე ცხენისწყალი.

კოლხიდის დაბლობის დაჭაობიანება, როგორც ვიცით, იქიდან წარმოსდგება, რომ კოლხიდაში მიწის დონე ზღვის დონის თითქმის ერთსა და იმავე სიმაღლეზეა. ხშირად ნაკადულებისა და მდინარეების წყალს არა აქვთ ზღვაში გასავალი, იგი იფანტება და დაბლობს იდება. ასეთი მდგომარეობა ძალიან აძნელებს დაშრობის სამუშაოებს.

როცა სპეციალისტებთან ერთად კოლხიდის დაბლობის სამუშაოთა მდგომარეობას ვსწავლობდით, ჩვენ ამავე დროს დავსახეთ საშუალებანი და მეთოდები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დაშრობის შემდგომ სამუშაოებს.

ეს მეთოდები და საშუალებანი მდგომარეობენ შემდეგში:

უნდა მოხდეს მდინარე რიონის, ხობის, ტეხურის, აბაშის, ნოღელის და ცხენისწყლის ორივე ნაპირის გამაგრება.

უნდა აშენდეს მაგისტრალური არხები, კოლექტორები, დამგროვებლები, აგრეთვე მთის არხები მთის ნიაღვრების გადასაგდებად;

უნდა მოხდეს მდინარეების კალაპოტთა გაწმენდა და რეგულირება დასაშრობ მასივებზე.

გამოყენებულ უნდა იქნას კოლმატაცია (დალამიანება) განსაკუთრებით დაბალ მასივებზე, რისთვისაც მდინარე რიონიდან გამოშვებულ უნდა იქნას წყალი, რათა დალექილმა ლამმა აამაღლოს მიწის დონე ამ მასივებზე.

დასაშრობი მიწები უნდა გაიწმინდოს ტყეებისაგან, რომლებიც აგრეთვე ხელს უწყობენ დაჭაობიანებას.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის ტექნიკურ-ეკონომიური პროექტის შემუშავებასთან ერთად კოლხიდმშენი და საქართველოს მიწსახკომი ამუშავებენ დაშრობილი მიწების შემდგომი ათვისების ტექნიკურ-ეკონომიურ პროექტს.

კოლხიდის ათვისების პროექტს საფუძვლად უდება ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების მაქსიმალური განვითარება იმ ფართობებზე, რომელთა დაშრობაც განზრახულია.

პროექტი ითვალისწინებს ცალკეულ ღონისძიებებს იმ მიწების მიმართ, რომლებიც უკვე კოლმეურნეობათა სარგებლობაში არიან და ნაწილობრივ ათვისებულია, და იმ ახალი ფართობების მიმართ, რომლებიც ათვისებულ უნდა იქნას დასახლების გზით.

კოლხიდმშენმა კოლხიდის დაშრობილ ტერიტორიაზე უნდა შექმნას 6 სანიმუშო საბჭოთა მეურნეობა—სანერგე, თვითეული არაუმეტეს 30-35 ჰექტარისა, რათა უზრუნველყოს მეზობელ კოლმეურნეობებს ციტრუსოვან და სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების გამოცდილება და, რაც ყველაზე მთავარია, მიაწოდოს მათ სანერგე მასალა—ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ხურმის, ფეიხოას, მუშმულის, გრეიფრუტის, ტუნგის, ევკალიპტის, ბამბუკის, შხლის, ვაშლის, თუთის და სხვა ციტრუსოვან, სუბტროპიკულ და ხეხილის კულტურათა სანერგე მასალა.

კოლხიდის დაშრობისა და ათვისების ტექნიკურ-ეკონომიური პროექტის შედგენა უნდა დამთავრდეს 1936 წლის 15 სექტემბრისათვის.

პროექტის შედგენა—ძალიან პასუხსაგები საქმეა და საჭიროა, რომ კოლხიდმშენის, საქართველოს მიწსახკომის ხელმძღვანელებმა და ყველა სპეციალისტმა კარგად იმუშაონ ამ საქმეზე, რათა წარვუდგინოთ იგი საკავშირო ორგანოებს, ისე, რომ არც ერთი ნაკლი ან ხარვეზი არ ჰქონდეს.

კოლხიდმშენის 1936 წლის გეგმასა და ასიგნოვაში ჩვენ მოგვიხდა სახსრების [illegible] ხელახალი განაწილების შეტანა. ვინაიდან უკვე აშენებული მაგისტრალური არხების მდგომარეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცუდია, გავადიდეთ ასიგნებანი მათ გასაწმენდად და გამოვყავით სახსრები ყორეების რემონტისათვის, გავადიდეთ სახსრები საგზაო მშენებლობისათვის, გავადიდეთ სახსრები ჭალადიდის მასივის სამუშაოებისათვის, კოლმატაციის სამუშაოსი და ახლად დაშრობილ მიწებზე ევკალიპტების დარგვის ჩატარებისათვის.

კოლხიდმშენის ხელმძღვანელებმა და მუშაკთა მთელმა კოლექტივმა უნდა მიაღწიონ დაშრობის სამუშაოთა 1936 წლის გეგმის წარმატებით შესრულებას.

უდიდეს ნაგებობას, რომელიც კოლხიდაში შენდება და რომელიც დაკავშირებულია მისი დაშრობის სამუშაოებთან, წარმოადგენს მდინარე რიონის კალაპოტის შეცვლა.

მდინარე რიონი თავისი შესართავიდან 12 ნახ. კილომეტრის მანძილზე, ალმა შეჭრილებით, ახალი პირდაპირი კალაპოტით იქნება გადაგდებული ზღვაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით მდინარე რიონის გადაგდების მთელი სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1937 წლის 1 ივლისისათვის და ამ დროიდან მდინარე რიონი უკვე ახალი კალაპოტით უნდა წავიდეს.

მდინარე რიონის ახალი კალაპოტის ასაგებად უდიდესი მუშაობაა ჩატარებული. კოლხიდმშენმა და დონბაზმა 1936 წლამდე შეასრულეს 2.611 ათასი კუბიკური მეტრის მიწის სამუშაოები.

მდინარე რიონის ახალ კალაპოტზე ახლა შენდება რკინიგზის დიდი ხიდი. ხიდს ექნება 262 მეტრის სიგრძე.

ამხ. კაგანოვიჩის განკარგულებით ხიდის მშენებლობის სამუშაოები იმგვარად მიმდინარეობს, რომ იგი ვადაზე ადრე დამთავრდება.

მდინარე რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების შემდეგ, რიონის ძველ კალაპოტში ქალაქ ფოთთან აშენდება მძლავრი საზღვაო ნავსადგური. ახლა ტფილისში ჩამოვიდნენ საკავშირო სახალხო კომისარიატთა წარმომადგენლები, რომლებიც რესპუბლიკურ ორგანიზაციებთან, კოლხიდმშენთან და ფოთის ორგანიზაციებთან ერთად იმუშავებენ ფოთის ნავსადგურის მშენებლობის საკითხებზე.

კოლხიდის ხაზით დასახული მთელი სამუშაოების შესრულების შედეგად, ქ. ფოთის გარშემო შეიქმნება უძვირფასესი სუბტროპიკულ კულტურათა მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი. ფოთი გადაიქცევა უდიდეს საზღვაო ნავსადგურად შავი ზღვის სანაპიროზე. თვითონ ქალაქი გაიზრდება, მოხდება მისი კეთილმოწყობა და იგი ერთერთი ლამაზი და დიდი ზღვისპირა ქალაქი გახდება.

ფოთში უკვე ახლაც ნაკლებად საგრძნობია მალარია, ხოლო ყველა დასახულ სამუშაოთა შესრულების შემდეგ იგი სავსებით გაქრება.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის მუშაობა ყველაზე დიდი სამუშაოა იმ სამუშაოთაგან, რომლებიც ჩვენ საქართველოში გვაქვს. იგი ერთერთ უდიდეს სამუშაოს წარმოადგენს მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირშიც.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოჰკიდა ხელი ძველი კოლხიდის დაშრობას და გაჯანსაღებას და მიჰყავს ეს საქმე წინ. მუშაობის ნიმუშების მოცემით, სტახანოვურად, ბოლშევიკურად მუშაობით ეს საქმე სრულ გამარჯვებამდე უნდა მივიყვანოთ.

კოლხიდმშენის ხელმძღვანელებმა — ამხ. გეურქოვმა და საჯაიამ, კოლხიდმშენის მთავარმა ინჟინერმა ამხ. გეგეჭკორმა, კოლხიდმშენის მუშაკებმა ამხ. ანანიევმა, კოპტონაშვილმა, თოფურიამ, ნაკონეჩნიმ და სხვებმა, ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ და იმ რაიონების ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ, რომლებიც კოლხიდის დაბლობებს ეკვრიან: ხობის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშისა და სხვ. რაიონების ორგანიზაციებმა — კიდევ უფრო უკეთ უნდა მოჰკიდონ ხელი კოლხიდის დაშრობისა და ათვისების სამუშაოებს, ვინაიდან კოლხიდის სამუშაოთა წარმატებით შესრულება წარმოადგენს საქართველოს ბოლშევიკთა და ყველა მშრომელთა ღირსების საქმეს.

1932 წელს ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა ფოთში და დაათვალიერა იგი. საჭიროა, რომ ამხანაგ სტალინის შემდეგი ჩამოსვლისათვის ქ. ფოთის სახემ, კოლხიდის სახემ განასახიეროს მის მითითებათა განხორციელება და გახდეს ბელადის შეხვედრის ღირსი. (ტაში).

○

კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოებთან — თავისი სიდიდითა და კაპიტალდაბანდებით უდიდეს სამუშაოსთან ერთად ჩვენ ახლა საქართველოში ვაწარმოებთ მთელ რიგ სარწყავი და დაშრობის სამუშაოებს მცირე ობიექტებზე:

სამელიორაციო სამუშაოები გალის რაიონში, პროექტის თანახმად 4.500 ჰექტარის საერთო სიმძლავრით, — ღირებულება 3.300 ათასი მანეთი;

ტირიფონის ველის სამუშაოები, რომლებმაც უნდა მოგვცეს 14.200 ჰექტარი ძველი ფართობის რეკონსტრუქცია, — ღირებულება 2.700 ათასი მანეთი;

სოუმაშველი ქუთაისის რაიონში — ღირებულება 1.600 ათასი მანეთი,

სოლანლუღმშენი 6.500 ჰექტარის სიმძლავრით, ამასთან 1936 წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1.000 ჰექტარი;

შირაქის სამუშაოები — ღირებულება 2.700 ათასი მანეთი და

კობლიან—ჩაის სამუშაოები ადიგენის რაიონში, 690 ჰექტარის სიმძლავრით—ღირებულება დაახლოვებით 1 მილიონი მანეთი.

ამას გარდა, კიდევ მთელი რიგი უფრო წვრილი სამელიორაციო და მორწყვის სამუშაოები, ჩხოროწყუს, წულუკიძის, ხობის, სტალინირის, ქედის, ხულოს და ახალციხის რაიონებში.

მთელი ამ სამუშაოებისათვის 1936 წელს გაღებულია 4 მილიონ მანეთზე მეტი.

ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ სამუშაოთა გეგმის შესრულებას.

ამხანაგებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მორწყვის წვრილ **სამუშაოებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დიდ კაპიტალდაბანდებასთან და რომლებიც მეტწილად მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხარჯზე ტარდება, შეუძლიანთ მოგვცენ მიწების დიდი გამოსავალი, ამასთან ამ მიწების ათვისება უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკავშირებული გადასახლება დასახლების სამუშაოებთან.**

უნდა აღინიშნოს, რომ ახლა საირიგაციო და დაშრობის სამუშაოთა 1936 წლის გეგმის შესრულება მთელი რიგი ობიექტების მიხედვით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მაგალითად, 1936 წლის 1 აგვისტოსათვის სამუშაოთა გეგმა გალის რაიონში შესრულებულია მხოლოდ 27 პროცენტით; სამუშაოთა გეგმა შირაქში შესრულებულია მხოლოდ 24,7 პროცენტით; კობლიან—ჩაის სამუშაოთა გეგმა ადიგენის რაიონში — 37 პროცენტით, სოუმაშველის სამუშაოთა გეგმა ქუთაისის რაიონში შესრულებულია მხოლოდ 50 პროცენტით.

ამაში ბრალი მიუძღვით როგორც საქართველოს მიწსახკომის წყალთა სამმართველოს, ისე ქუთაისის, ადიგენის და გალის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებსაც, რომლებიც სუსტად აწყობენ მოსახლეობის შრომითს მონაწილეობას ამ სამუშაოებში და საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ მათ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და ცაკი თავიანთი მხრივ, როგორც ჩანს, საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ სამუშაოთა მიმდინარეობას გალის რაიონში.

ადიგენის რაიონში კობლიან-ჩაის ხაზით გეგმის შეუსრულებელი ნაწილი მთლიანად მოდის იმ სამუშაოებზე, რომლებიც თვით მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხარჯზე უნდა შესრულებულიყო და ეს იმ დროს, როცა ამ სამუშაოებით ისე არავინ არის დაინტერესებული როგორც თვით ადიგენის რაიონის მოსახლეობა. ადიგენის რაიონში ძვირფასია ყოველი მეოთხედი ან ნახევარი ჰექტარი.

როგორც ჩანს, რაიონული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ ამ საქმეზე და ვერ აფასებენ მას.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მორწყვის წვრილ სამუშაოთა გაფართოვებას სანაპირო რაიონებში.

1937 წლის გეგმაში სანაპირო რაიონებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას:

ადიგენის რაიონში კობლიან-ჩაის მშენებლობის დამთავრება, რაც მოგვცემს 460 ჰექტარ ფართობს ბაღებისათვის;

ახალციხის რაიონში საჭიროა მოხდეს წინობანის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია, რასაც შეუძლიან მოგვცეს ბაღებისა და ბოსტნების ფართობების ზრდა 360 ჰექტარამდე;

ახალციხისავე რაიონში საჭიროა ხელი მოვკიდოთ პორეხო - ახალციხის მიწების მორწყვას 1.200 ჰექტარ ფართობზე;

ასპინძის რაიონში საჭიროა ჩავატაროთ მიწების მორწყვა სოფელ [illegible] 160 ჰექტარ ფართობზე. ამასთან [illegible] 1937 წელს სამხრეთ-ოსეთში უნდა დაიწყოს კეხვის არხის მშენებლობა, რომელსაც შეუძლიან მოგვცეს 3.000 ჰექტარამდე ფართობი ბაღებისა და ბოსტნებისათვის.

მიწის ახალი ნაკვეთების მორწყვის საკითხებს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა რაიონებში უფრო გულმოდგინედ უნდა მოჰკიდონ ხელი. ლაპარაკია არა მარტო დიდ პროექტებზე, რომლებიც ასობით და ათასობით ჰექტარების მორწყვას ითვალისწინებენ, აქ საჭიროა გულმოდგინე მუშაობა, რაც საშუალებას მოგვცემს ხელ ვიგდოთ ასათვისებლად სასარგებლო მიწის თვითეული ახალი ჰექტარი. ხოლო მორწყვის ასეთი წვრილი სამუშაოები აუცილებლად უნდა შესრულდეს და შეიძლება კიდეც შესრულდეს ჩვენი რაიონების უმრავლესობაში.

არსებული არხების გაგრძელება და ზედმეტი 3 - 5 ჰექტარის ათვისება, ახალი, მცირე არხების გაყვანა მდინარეთა სადინარზე 1 - 5 - 20 ჰექტარის ათვისება ამ მდინარის ნაპირების ფერდობზე, დაჭაობიანებული ნაკვეთის დაშრობა 3 - 5 - 15 ჰექტარის რაოდენობით, — მთელი ეს სამუშაოები უნდა დაგეგმონ და მოაწყონ თვით რაიონულმა ორგანიზაციებმა და ჩაატარონ ისინი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხარჯზე.

ვინც ამაზე არ მუშაობს, მას საკმაოდ არ ესმის მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა, იგი ცუდი პატრონია თავის რაიონში.

მორწყვისა და მელიორაციის წვრილ სამუშაოებს საბოლოო ანგარიშში შეუძლიანთ მოგვცენ მთლიანად რესპუბლიკაში დიდძალი ახალი მიწები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, ჩვენი კოლმეურნეობების განსამტკიცებლად, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გასადიდებლად.

IX. უკეთ მოვაწყოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა

ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს ბოლშევიკთა წინაშე კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მოითხოვენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გარდაქმნას და გაუმჯობესებას პარტიული, საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სოფელში საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა, მას შემდეგ, რაც საქართველოს სოფელში საკოლმეურნეო ფორმა მეურნეობის უპირატეს ფორმად გახდა, სოფლის მეურნეობის განვითარების ყველა საკითხის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებული იქნება კოლმეურნეობათა მიმართ ჩვენი ხელმძღვანელობის ხარისხზე, კოლმეურნეობათა მუშაობაზე.

„...პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი მეურნეობის გაძღოლისათვის,—ამბობდა ამხანაგი **სტალინი** თავის გამოსვლაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ საქ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წელს,—ახლა ცალკე გლეხებიდან გადავიდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაზე, კოლმეურნეობის ხელმძღვანელ ბირთვზე. ახლა გლეხები მოითხოვენ ზრუნვას მეურნეობაზე და საქმის გონივრად გაძღოლას არა თავის თავისაგან, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაგან, უფრო სწორად—არა იმდენად თავისი თავისაგან, რამდენადაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაგან. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიას ახლა უკვე არ შეუძლიან დაკმაყოფილდეს სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროცესში ჩარევის ცალკე აქტებით. მან ახლა თავის ხელში უნდა აიღოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, იკისროს პასუხისმგებლობა მუშაობისათვის და დაეხმაროს კოლმეურნეებს წინ წასწიონ თავისი მეურნეობა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე... აქედან გამომდინარეობს, რომ პარტია, თუ მას სურს ხელმძღვანელობდეს საკოლმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩასწვდეს საკოლმეურნეო ცხოვრებისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დეტალს. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყოველივე, რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწიოს დახმარება მათ და თავიდან აიცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე“.

ძალიან ბევრი იმ დეფექტებიდან, რომლებზედაც ჩემს მოხსენებაში დაწვრილებით შევჩერდი, პირდაპირ უნდა ითქვას, წარმოადგენს კოლმეურნეობათა მიმართ ჩვენი ხელმძღვანელობის სისუსტის შედეგს.

ავიღოთ მიწათმოქმედების ორგანოების მხრივ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საკითხები. **მიწათმოქმედების ორგანოების ამოცანები კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში იმაში მდგომარეობს, რომ სწორად დაგეგმონ საკოლმეურნეო წარმოება, ოპერატიული კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობათა საქმიანობას და ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ მათ მუშაობაში, საწარმოო და აგროტექნიკური მომსახურება გაუწიონ კოლმეურნეობებს.**

როგორ ასრულებენ ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოები ამ ამოცანებს? ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ცუდად.

ავიღოთ ისეთი მაგალითი, როგორიცაა საწარმოო გეგმების, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების, შემოსავლის განაწილების, გეგმების ან წლიურ ანგარიშთა შედგენა და განხილვა კოლმეურნეობებში. დასტურდებულია, რომ ყველა ეს დოკუმენტი, რომლებიც ამა თუ იმ კოლმეურნეობის საქმიანობას ახასიათებენ, კოლმეურნეობებში ძალიან მდარე ხარისხით დგება. მტს-ების დირექტორები, რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეები, რომლებმაც ეს დოკუმენტები უნდა განიხილონ, უმეტეს შემთხვევაში მათ ფორმალურად ათვალიერებენ, ამასთან არ გამოჰყავთ საჭირო დასკვნები და მათ შესახებ არ აძლევენ მითითებებს კოლმეურნეობებს.

მიწსახკომის აპარატში, როგორც წესი, არ სწარმოებს კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების, წლიური ანგარიშების, შემოსავლის განაწილების გეგმების განხილვა ცალკე კოლმეურნეობათა მიხედვით და შერჩევითი წესითაც კი. მიწსახკომის აპარატი ცალკეული რაიონების შეჯამებულ ცნობებზე მხოლოდ საერთო დასკვნებს აძლევს.

რამდენად დაუდევრად [illegible] წლიურ ანგარიშებს და საწარმოო გეგმებს სამიწათმოქმედო ორგანოებში, ამას შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს:

ახალქალაქის რაიონში მტს-მა (დირექტორი ამხ. ჩალაბიანი) და მიწგანმა (მიწგანის გამგე ამხ. ვარდიანი) განიხილეს ყარზახის კოლმეურნეობის წლიური ანგარიში, რომელშიაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი 94.000 მანეთის რაოდენობით შეჯამებული იყო დაახლოვებით 5 ათასი მანეთის განსხვავებით და ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეთა შრომადღეებზე ფულად განაწილდა მხოლოდ 3.500 მანეთი.

ჯავის რაიონის რაიმიწგანის გამგემ (ცხოვრებოვმა) განიხილა და მიიღო როკის კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მტს საქმუშაოებისათვის მიეცა ფულად 800 მანეთი და ეს იმ დროს, როცა მტს-ი არ უწევს მომსახურებას ამ კოლმეურნეობას და ამ უკანასკნელისაგან მას არავითარი ფული არ ერგება.

გუდაუთის რაიონში კოლმეურნეობას „წითელ აფხაზეთს“ დღემდეც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის დამტკიცებული წესდება, ვინაიდან კოლმეურნეობის მიერ რაიაღმასკომში დასამტკიცებლად წარდგენილი წესდება დაიკარგა გუდაუთის მიწგანის კანცელარიაში და გუდაუთის რაიონის მიწგანის გამგეს თავი არ შეუწუხებია ამაზე, რომ ხელახლა გაეფორმებინა საკოლმეურნეო წესდების დამტკიცება. არც აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ჩალმაზს მიუღია ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წალენჯიხის რაიონის მიწგანი (რაიმიწგანის გამგე ამხ. [illegible]) კოლმეურნეობებს მხოლოდ „კატეგორიული წინადადებებისა და ბრძანებების“ ენით ელაპარაკება, რითაც არღვევს საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპებს, ვინაიდან რაიმიწგანის მთელი რიგი წინადადებანი შეიძლება განხორციელდეს კოლმეურნეობებში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ განიხილავს და მიიღებს კოლმეურნეთა საერთო კრება.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გამოწვევასთან დაკავშირებით, იმის ნაცვლად, რომ ჩაეტარებინათ ამ კოლმეურნეობაში გადარჩევისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა, რაიმიწგანმა კოლმეურნეობის გამგეობას მისცა შემდეგი მითითება.

„სოფელ ხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას. წინადადებას გაძლევთ ხვალვე—ა. წ. 11 ივლისს, დილის 9 საათზე მოიწვიოთ არტელის წევრთა საერთო კრება. რაიმიწგანის გამგის მოადგილე, უფროსი ზოოტექნიკოსი ნაჭყებია, მდივანი კალანდია“.

ლენინგორის რაიმიწგანის გამგე სამხრეთ-ოსეთში ამხ. ტუღიევი თვითონ არღვევს კოლმეურნეობებში თანხების ხარჯვის წესს. მან წინადადება მისცა რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებს შეიტანონ მიწგანში ფული, რათა კოლმეურნეობებში ქიმ-ლაბორატორიები მოეწყოს, თუმცა არავითარი გადაწყვეტილება კოლმეურნეობებს ქიმლაბორატორიების შესახებ არ გამოუტანიათ და ამ მიზნისათვის ფული კოლმეურნეობათა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს არ ყოფილა გათვალისწინებული.

ბაშკიჩეთის რაიმიწგანი (გამგე ამხ. ნათენაძე) და მტს (დირექტორი ამხ. მეიძე) მთელს მიწერ-მოწერას კოლმეურნეობებთან აწარმოებენ რუსულ ენაზე, მაშინ, როცა ბევრ ქართულ, ბერძნულ და გერმანულ კოლმეურნეობაში კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს არ ესმით რუსული ენა. ნაცვლად კოლმეურნეობათა მუშაკებისათვის დახმარების გაწევისა, რაიმიწგანი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს აშინებს და ემუქრება მიწგანის განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის. არ არის მიწგანის თითქმის არც-ერთი მითითება კოლმეურნეობათა მისამართით, რომელიც ასე არ თავდებოდეს: „მიეცემით [illegible] პასუხისგებაში, გადაეცემით სასამართლოსაო“ და სხვ.

ძალიან ხშირად მიწგანი კოლმეურნეობათა შეკითხვებს უგზავნის მტს-ის დირექტორს [illegible], ხოლო ის უკანვე უბრუნებს მიწგანს და კოლმეურნეობები ვერც მიწგანისა და ვერც მტს-გან პასუხს ვერ იღებენ.

ეს დამახინჯებანი იმის შედეგია, რომ მთელი რიგი სამიწათმოქმედო განყოფილებები მოწყვეტილი არიან კოლმეურნეობათა ცხოვრებას, მათს საჭიროებებს.

„დამხრჩვალა ეს ხალხი კანცელარიებში, —ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი—და თვითკმაყოფილებით აწრიპინებს კალამს, იმას კი ვერ ამჩნევს, რომ კოლმეურნეობათა განვითარება ბიუროკრატიული კანცელარიების გარეშე მიმდინარეობს“.

ამხ. სტალინის მიერ მოცემული ეს მკაცრი შეფასება ჯერ კიდევ მთელი სისრულით შეეხება ჩვენს ბევრ სამიწათმოქმედო განყოფილებას.

სამიწათმოქმედო ორგანოების და მტს-ის მუშაკები, კოლმეურნეობებში მისვლისას ძალიან ხშირად კმაყოფილდებიან ზოგადი ლაპარაკითა და მითითებებით და არ ჩასწვდებიან ხოლმე საკოლმეურნეო ცხოვრების დეტალებს.

კოლექტივიზაციის ზრდასთან დაკავშირებით საქართველოს რაიონებში შეიცვალა მიწგანების მუშაობის პირობებიც, თუ წინათ მიწგანი მომსახურებას უწევდა, უმთავრესად ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს, რადგან კოლმეურნეობები ცოტა იყო, ამჟამად, როცა კოლმეურნეობები მომრავლდნენ და აერთიანებენ გლეხურ მეურნეობათა დიდ უმეტესობას, სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობა უნდა გარდაიქმნას კოლმეურნეობებისათვის უკეთესი ხელმძღვანელობის გასაწევად.

ეს მოითხოვს მთელ რიგ შესწორებათა შეტანას სამიწათმოქმედო ორგანოების სტრუქტურაშიაც.

ცალკეულ რაიონებში ჩვენ ამჟამად ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როცა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები უმთავრესად თავმოყრილი არიან თვით რაიმიწგანის აპარატში, ხოლო მიწგანების მუშაკთა ქსელი ადგილებზე (აგროუბნები, ზოოვეტუბნები და სხვ.) სრულიად საკმარისი არ არის და ამასგარდა არ არის შევსებული კადრებით.

საჭირო იქნება რაიმიწგანების აპარატების შტატების გადასინჯვა. მათი შემცირება და ამის ანგარიშზე აგროუბნებისა და ზოოუბნების რიცხვის გადიდება ისე, რომ, მაგალი-

(გაგრძელება იხ. მე-8 გვ.)

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გაგრძელება

თად, ყოველ 5-7-10 კოლმეურნეობაზე, კოლმეურნეობათა სიმძლავრის მიხედვით, გვქონდეს თითო აგროუბანი და კოლმეურნეობათა განსაზღვრულ ჯგუფზე გვქონდეს თითო ზოოვეტუბანი. აგრო და ზოოვეტუბნების ეს ძირეული ქსელი უნდა შეივსოს პირველ რიგში საუკეთესო კადრებითაც, ნაწილობრივ რაიმიწგანთა აპარატებიდან სპეციალისტების გადასროლის ხარჯზე.

აგრო და ზოოვეტუბნების მუშაობაც უნდა გარდაიქმნას.

ჯერ-ერთი, — სპეციალისტები, რომლებიც აგროუბნებზე მუშაობენ, უნდა იმყოფებოდნენ, ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ადგილობრივ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი მომსახურებას უწევენ და არა რაიონულ ცენტრში, როგორც ეს ხშირად იცის ხოლმე ამჟამად.

მეორე, — აგროუბნების ბევრი მუშაკი ამჟამად თავის მუშაობას განსაზღვრავს მხოლოდ კოლმეურნეობათათვის აგრონომიული დახმარების გაწევით. ეს არ არის საკმარისი. **სპეციალისტი აგროუბანზე, გარდა აგრონომიული დახმარებისა, ვალდებულია კოლმეურნეობას დახმარება გაუწიოს მისი მეურნეობის ორგანიზაციაში, შრომის ორგანიზაციაში, აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად დაყენებაში, შემოსავალთა განაწილებაში.**

სპეციალისტი უბანზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ყველა მუხლის განხორციელებისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ის მომსახურებას უწევს, იგი უნდა იყოს არა უბრალოდ თავისი საქმის ვიწრო სპეციალისტი, არამედ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორიც.

უნდა გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა მტს-ების მხრივ.

უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით პოლიტგანყოფილებათა ლიკვიდაციის შემდეგ, ზოგიერთი მტს თავის მუშაობას განსაზღვრავს მხოლოდ კოლმეურნეობათა საწარმოო მომსახურებით. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ მათი ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დახნან, დათესონ და მოსავალი აიღონ მათგან მომსახურებულ კოლმეურნეობათა მიწის ამა თუ იმ ნაკვეთზე და ამასაც ყოველთვის კარგად ვერ ასრულებენ. ასეთი პრაქტიკა, რომელიც ამახინჯებს მტს-ის ნამდვილ მნიშვნელობას კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში, საზიანოა.

მტს-ის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ საწარმოო დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს. მტს-ები უნდა ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ყველა დარგში.

მტს-ების ხაზით უკვე არსებობს ისეთი წესი, როცა კოლმეურნეობათა თვითეულ ჯგუფზე, გამოიყოფა საუბნო აგრონომი, მიმაგრებული კოლმეურნეობებზე. მაგრამ ისევე, როგორც რაიმიწგანების ხაზით, მტს-ების უბნებში ხშირად სხედან სუსტი მუშაკები და ეს უბნები საკმარისად ვერ არის დაკომპლექტებული. საჭიროა მტს-ების აპარატებიდან მუშაკთა ნაწილი გადავისროლოთ აგროუბნებზე კოლმეურნეობათა უშუალო მომსახურებისათვის.

აგრონომების განმტკიცებასთან დაკავშირებით რაიმიწგანებმა და მტს-ებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ადგილებზე მომუშავე აგროპერსონალის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობისადმი.

ამ საქმეში რაიმიწგანებსა და მტს-ებს დახმარება უნდა გაუწიონ რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

საუბნო აგრონომი ის მუშაკია, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას კოლმეურნეობასთან, რომელმაც პირველ ყოვლისა მას დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მუშაობაში, საუბნო აგრონომი მეტად მნიშვნელოვანი რგოლია სოფლის საკოლმეურნეო ხელმძღვანელობაში.

ამიტომ საუბნო აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტექიმს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გარს უნდა შემოერტყან მზრუნველობით და ყურადღებით, შეუქმნან მათ კარგი პირობები მუშაობისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა ეს სპეციალისტები უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი უდიდეს საქმეს აკეთებენ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის; ისინი უნდა გრძნობდნენ კიდევ მეტ პასუხისმგებლობას თავისი მუშაობის ყოველი ნაბიჯისათვის, იმ კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის, რომელთა მომსახურება მათ აკისრიათ.

ავილოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების მხრივ.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებს, საკოლმეურნეო ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა აკისრიათ. რაიაღმასკომები აძლევენ კოლმეურნეობებს სახელმწიფო აქტებს მიწების უვადო სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ; ისინი ამტკიცებენ სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმას რაიონსა და კოლმეურნეობებში; ისინი იხილავენ კოლმეურნეთა აპელაციებს კოლმეურნეობიდან მათი არასწორად გარიცხვის შესახებ; ისინი ამტკიცებენ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების შემადგენლობას. ბევრი რაიაღმასკომი ამჟამად ამ უშუალო მოვალეობებს, რომელთაც მათ აკისრებს სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება, არ ასრულებს.

რაიაღმასკომის თავმჯდომარეებმა უნდა შეიგნონ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება მათ აკისრებს პასუხსაგებ ამოცანებს კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში და ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი მათ სწრაფად უნდა აღმოფხვრან.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას სასოფლო საბჭოების როლი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობასა და დახმარებაში.

ამჟამად ჩვენი სასოფლო საბჭოები ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობათა მუშაობას, ხოლო ზოგიერთი მათგანი საერთოდ კოლმეურნეობებისაგან განზე დგანან; ისინი ფიქრობენ, რომ მათი ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ ერთპიროვნულ მეურნეობათა დარჩენილი ნაწილის მომსახურებაში.

განა ლაპარაკი უნდა, რომ ეს სწორი არ არის?

სასოფლო საბჭო სოფლის პატრონია; მას აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის, იქ, სადაც კარგი სასოფლო საბჭოა, სადაც სასოფლო საბჭოს კარგი თავმჯდომარეა, კოლმეურნეობებიც ძლიერნი არიან.

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად ჩვენ აუცილებლად ხელი უნდა მოვკიდოთ სასოფლო საბჭოების განმტკიცებასა და მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

უკანასკნელ დროს საქართველოს ც. კ-მა უკვე მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი ცალკე რაიონების სასოფლო საბჭოების განსამტკიცებლად.

ც. კ.-მა მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები გადაისროლა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად. ამ ხაზს ცენტრალური კომიტეტი შემდეგაც განაგრძობს. ალბათ, ცენტრალური კომიტეტის ამ ხაზს ეს პლენუმი მოიწონებს.

ჩვენთვის აუცილებელია ორი-სამი თვის განმავლობაში, ცალკე რაიონებისა და, რაც მთავარია, სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელობის განმტკიცების მიზნით, ჩვენი საქალაქო ორგანიზაციებიდან — ტფილისიდან, ბათომიდან, სოხუმიდან, ქუთაისიდან გადავისროლოთ 400—500 პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

საჭიროა პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა გადაისროლონ რაიონული აქტივის კადრები და თავის მხრივ გაგზავნონ სოფლებში სამუშაოდ მთელი რიგი მუშაკები რაიონული აქტივიდან.

განსაკუთრებით ამას ხელი უნდა მოჰკიდონ პარტიის საოლქო კომიტეტებმა, ვინაიდან თუმცა საოლქო ცენტრებში მათ ბევრი კარგი კადრი ჰყავთ, მაგრამ მე ვერ ვიტყოდი, რომ ოლქების რაიონებში კადრების საქმე საკმაოდ კარგად იყოს. ხოლო ყოველ აქ დამსწრეს კარგად ესმის, რომ მთელს ჩვენს მუშაობას რაიონულ და საოლქო ორგანიზაციებში არავითარი ფასი არ ექნება, თუ სოფლად, კოლმეურნეობაში, სოფლის კოოპერატივში და სხვაგან არ იქნებიან შერჩეული კარგი მუშაკები და თუ იქ უმსგავსოებას ექნება ადგილი.

ადგილიდან: მართალია!

ბერია. ის ამხანაგები, რომლებიც ქალაქიდან უკვე გავგზავნეთ სოფლად სამუშაოდ, დიდი სურვილით, დიდი ენტუზიაზმით გაემგზავრნენ და ეჭვი არ არის, დანარჩენი ამხანაგებიც, რომელთაც ჩვენ ახლა გავგზავნით სოფლად სამუშაოდ, ამ საპატიო საქმეზე, შეიგნებენ მთელ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც მათ ეკისრებათ, სურვილითა და ენტუზიაზმით წავლენ სამუშაოდ და გვიჩვენებენ ნიმუშებს კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში.

უნდა გადაისინჯოს მომატების თვალსაზრისით იმ ამხანაგების ჯამაგირები, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებით რაიონებში იგზავნებიან სოფლად პარტიულ-საბჭოთა მუშაობის განსამტკიცებლად. ეს ხარჯი რაიონისათვის უსათუოდ გამართლებული იქნება იმ სარგებლიანობით, რომელსაც მოუტანენ რაიონში გაგზავნილი ამხანაგები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადიდებული ჯამაგირების დაწესება ხელაღებით უნდა გავრცელდეს ყველა გაგზავნილ ამხანაგებზე. საჭიროა სოფლის საბჭოს ყოველი ცალკეული თავმჯდომარის ან სხვა მუშაკის მიმართ პერსონალურად გადაწყდეს საკითხი.

○

პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, როგორც თქვენ იცით, ჩვენ მოვახდინეთ სამიწათმოქმედო ორგანოების გარდაქმნა. საქართველოს მიწსახკომში შეიქმნა საწარმოო ტერიტორიული და დარგობრივი სამმართველოები.

მიწსახკომის აპარატის გარდაქმნამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას მისი მხრით ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. მაგრამ მიწსახკომის მუშაობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლაც ბევრი ნაკლი მოიპოვება.

მიწსახკომის აპარატში კოლმეურნეობათა საკითხებს ამჟამად უძღვება ორი საწარმოო ტერიტორიული სამმართველო — მარცვლეულისა და სუბტროპიკული. მიწსახკომის დანარჩენი სამმართველოები კი, წარმოადგენენ რა დარგობრივ სამმართველოებს, ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობათა საკითხები მათ სრულებით არ ეხებათ.

ასეთი მდგომარეობა სრულიად არასწორია და შეუწყნარებელი.

უშუალო ხელმძღვანელობა შემდეგშიაც უნდა შერჩეთ საწარმოო-ტერიტორიულ სამმართველოებს. მაგრამ, **თვითეულმა დარგობრივმა სამმართველომ სოფლის მეურნეობის თავისი დარგის განვითარებისათვის მთელი თავისი მუშაობა უწინარეს ყოვლისა უნდა ააგოს კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანების საფუძველზე.**

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საწარმოო - ტერიტორიულ სამმართველოშიც კი — მარცვლეულისა და სუბტროპიკულ სამმართველოებში, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე მუშაობენ ეგრეთწოდებული სამმართველოთა უფროსების თანაშემწენი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ხაზით (სუბტროპიკულ სამმართველოში — ცინცაძე, მარცვლეულის სამმართველოში — ქანთარია). მარცვლეულისა და სუბტროპიკული სამმართველოების დანარჩენი მუშაკები კი, სხვა სამმართველოებს რომ თავი დავანებოთ, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე სისტემატურად არ მუშაობენ.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში კოლმეურნეობათა საკითხებზე უნდა მუშაობდნენ არა მარტო ცალკეული მუშაკები, არამედ თვითეულმა მუშაკმა და მთლიანად მთელმა აპარატმა მთელი თავისი მუშაობა უნდა ააგოს კოლმეურნეობათა განმტკიცების თვალსაზრისით.

შემდგომში თავის მუშაობაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი უნდა იხილავდეს არა მარტო იმ შეჯამებულ ცხრილებს კოლმეურნეობათა საქმიანობაზე რაიონების მიხედვით, რაც შედგენილია კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების, შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვებისა და წლიური ანგარიშების მიხედვით, არამედ კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს აუცილებლად უნდა განიხილავდეს შერჩევით ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით. ეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საშუალებას მისცემს უკეთ გაუწიოს კონტროლი ამ დოკუმენტთა განხილვის პრაქტიკას რაიონულ მიწგანებშიც.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარების დაგეგმვის პრაქტიკა.

ახლა დაგეგმვის დაყენებას სამიწათმოქმედო ორგანოების სისტემაში დიდი ნაკლოვანებანი აქვს, სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარების დაგეგმვისას ამხანაგები ჯერ კიდევ სუსტად ითვალისწინებენ ცალკეულ კოლმეურნეობათა და რაიონთა კონკრეტულ პირობებსა და შესაძლებლობებს, ცუდად სწავლობენ არსებულ რეზერვებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობისათვის (მაგალითად, მარცვლეული კულტურების ფართობის გადიდება), აგრონომიულ წესებს ადგენენ და ცალკეულ აგროღონისძიებათა გასატარებლად მითითებებს იძლევიან აგრეთვე ცალკეული რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად.

დაგეგმვის დაყენების ეს ნაკლოვანებანი უნდა აღმოიფხვრას.

„...მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ არ შეიძლება, — **ამბობდა ამხანაგი სტალინი.** — მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას, რომელიც მოიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლს, შეიძლება გავუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით“.

ამხანაგი **სტალინის** ეს მითითება გვავალებს დაგეგმვის მთელი საქმე გავაუმჯობესოთ როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, მის სამიწათმოქმედო ორგანოებსა და მტს-ებში, ისე თვითეულ კოლმეურნეობაში.

○

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანები მოითხოვენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას კოლმეურნეობებში, მთელი პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას კოლმეურნე მასებთან.

ჩვენში პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად პარტიული ორგანიზაციების ქსელი სოფლად შემდეგია.

1935 წლის 1 ივლისისათვის 3.543 კოლმეურნეობიდან პარტიული ორგანიზაცია იყო 2.651 კოლმეურნეობაში. ხოლო 1936 წლის 1 ივლისისათვის 4.417 კოლმეურნეობაზე გვაქვს მხოლოდ 2.589 საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია.

ამრიგად, დაახლოვებით 2.000 კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაცია არ არის.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ ხელი შეუწყო სოფლის პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გადიდებას. მაგრამ, კოლმეურნეობათა პოლიტიკური განმტკიცების ამოცანები ჩვენგან მოითხოვენ კიდევ უფრო უკეთ მოვაწყოთ თვითეული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა კოლმეურნეობებში,—ხოლო იქ, სადაც სრულიად არ არის პარტიულ - კომკავშირული რგოლი, პირველ რიგში შევქმნათ საკოლმეურნეო აქტივის მტკიცე ბირთვი.

ჩვენ ცოტა მაგალითი როდი გვაქვს, როდესაც კომუნისტები და კომკავშირელები არა მარტო ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, საკოლმეურნეო წარმოებაში ვერ თამაშობენ ავანგარდულ როლს, არამედ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც კომუნისტები და კომკავშირელები არაჯანსაღ, წამგლეჯურ და კოლმეურნეობის საწინააღმდეგო განწყობილებებს მეთაურობენ.

ეს მოწმობს კომუნისტებისა და კომკავშირელების პარტიული აღზრდის სუსტად დაყენებას სოფლად.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის დამთავრების შემდეგ ჩვენ ვიწყებთ პარტიაში მიღებას.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უკვე ახლავე პერსონალურად შეარჩიონ საკოლმეურნეო წარმოების სტახანოველთა გაზრდილი საუცხოო კადრები პარტიაში მისაღებად, რომ ამის საფუძველზე კიდევ უფრო გავამტკიცოთ ჩვენი სოფლის პარტიული ორგანიზაციები.

კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანები მოითხოვენ პარტიულ-საბჭოთა ორგანოების ბრძოლის გაძლიერებას სოფლად მენშევიკური, დაშნაკური, მუსავატისტური და კულაკური ელემენტების ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური მუშაობის გამოვლინებასთან, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ძირგამომთხრელ თეთრგვარდიულ მუშაობასთან.

„...ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გადაჭარბებით შეაფასა კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის ახალი ფორმა — ამბობდა ამხანაგი **სტალინი,** — გადაჭარბებით შეაფასა და აქცია ხატად, მათ გადაწყვიტეს, რომ რაკი მოცემულია კოლმეურნეობანი, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმა, — ამით უკვე ყველაფერია მოცემული, ამით უკვე უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა საქმის სწორად წაყვანა საკოლმეურნეო მეურნეობის სწორი დაგეგმვა, კოლმეურნეობათა გადაქცევა სანიმუშო სოციალისტურ მეურნეობებად.

...მათ ვერ გაიგეს ის, რომ კოლმეურნეობა თავისთავად, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, — ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის უზრუნველყოფილი ყოველგვარი საფრთხისაგან და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაში ყოველგვარი ჯურის კონტრრევოლუციურ ელემენტთა შეპარვისაგან. არ არის უზრუნველყოფილი იმისაგან, რომ განსაზღვრულ პირობებში კოლმეურნეობები შეიძლება გამოიყენონ ანტისაბჭოთა ელემენტებმა თავიანთი მიზნებისათვის...

...კოლმეურნეობანი განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება გადაიქცნენ ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების საფარად, თუ კოლმეურნეობებში მეთაურებად იქნებიან ესერები და მენშევიკები, პეტლიურელი ოფიცრები და სხვა თეთრგვარდიელები, ყოფილი დენიკინელები და კოლჩაკელები.

...ლენინიზმის თვალსაზრისით კოლმეურნეობები, ისე როგორც საბჭოები, აღებულნი როგორც ორგანიზაციის ფორმა, წარმოადგენენ იარაღს, და მხოლოდ იარაღს. ეს იარაღი განსაზღვრულ პირობებში შეიძლება მიმართულ იქნას რევოლუციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება მიმართულ იქნას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება ემსახურებოდეს მუშათა კლასს და გლეხობას. იგი შეიძლება, განსაზღვრულ პირობებში, ემსახურებოდეს მუშათა კლასისა და გლეხობის მტრებს მთელი საქმე ის არის, ვის ხელშია ეს იარაღი და ვის წინააღმდეგ იქნება იგი მიმართული.

ამას უკვე იგებენ მუშათა და გლეხთა მტრები, რომლებიც თავისი კლასობრივი ინსტინქტით ხელმძღვანელობენ.

სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ ესმის ზოგიერთ ჩვენს კომუნისტს“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში, ჩვენი სოფლის მუშაკებს შორის ჯერ კიდევ არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც ახლაც, მიუხედავად პარტიის მრავალი მითითებისა სიფხიზლის გაძლიერების შესახებ, სუსტად აწყობენ ბრძოლას კონტრრევოლუციურ ელემენტებთან სოფელში.

ამით სარგებლობენ კლასობრივად მტრული ელემენტები და თავის ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან როგორც კოლმეურნეობის შიგნით, ისე მის გარეთ, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის.

ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს სოფელში უკვე აღარ არიან მენშევიკები, რომლებიც არალეგალურ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობათა წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ის პოლიტიკურად ბრმაა.

ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს სოფელში უკვე აღარ არიან კულაკური და თეთრგვარდიული ელემენტების ნაშთები, რომლებიც ცდილობენ და შეეცდებიან ავნონ ჩვენს კოლმეურნეობებს, მას არ გაეგება რა პარტიის მითითებებისა სიფხიზლის შესახებ.

ვინც ფიქრობს, რომ წინათ გადასახლებული კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებიდან უკანასკნელ წლებში დაბრუნებულთაგან ზოგი ვინმე ახლა აღარ იმუშავებს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, იგი მხოლოდ ხელს შეუწყობს მტრის ძირგამომთხრელ მუშაობას.

ფაქტები იმას მოწმობენ, რომ იქ, სადაც საკმარისი არ არის პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლე, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები დაუნდობელ ბრძოლას არ აწარმოებენ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ ელემენტებთან, უკანასკნელნი აჩაღებენ თავის მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას.

იმ არაჯანსაღ განწყობილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალქალაქისა, ყაზბეგისა, დუშეთისა და ალბულალ-მანგლისის რაიონების ცალკე კოლმეურნეობებში ამ უკანასკნელ დროს, დიდად უწყობდნენ ხელს ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური ელემენტები.

ახალქალაქის რაიონის სოფელ ერინჯიში კოლმეურნეობის დაშლა მოაწყეს გადასახლებიდან დაბრუნებულმა ყოფილმა კულაკებმა, პარტიის რაიკომმა კი ვერ შეამჩნია ამათი ძირგამომთხრელი მუშაობა ამ კოლმეურნეობაში.

ასპინძის რაიონში დაიარებოდა ვინმე ქერიმ იზი ოღლი, მოიარა ახალქალაქის რაიონი, მოსაზღვრე სოფლები და ყველგან ავრცელებდა ხმებს, კოლმეურნეობები იშლება და უნდა დავიტაცოთ საკოლმეურნეო ქონებაო. რამდენსამე დღეს მოგზაურობდა ის ქერიმ ყიზი ოღლი კოლმეურნეობებში და ეწეოდა კონტრრევოლუციურ ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას, ხოლო ახალქალაქისა და ასპინძის რაიონის ხელმძღვანელებმა არავითარი ზომები არ მიიღეს ამ კონტრრევოლუციონერის საიზოლაციოდ ვიდრე იქ არ ჩავიდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი.

საქართველოს შინსახკომის ორგანოების მიერ ამ ბოლო დროს საქართველოს სოფლებსა და კოლმეურნეობებში გამომჟღავნებულია მთელი რიგი კონტრრევოლუციური მენშევიკური, დაშნაკური, ტროცკისტული და სხვა კონტრრევოლუციური ჯგუფები.

ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ კლასობრივად მტრული ელემენტები ხელდაკრეფილი კი არ სხედან, არამედ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან. ეს ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ თავისი სიფხიზლე კოლმეურნეობათა განმტკიცების მთელ მუშაობაში, საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების განხორციელების საქმეში.

კოლმეურნეობებთან კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოთა ელემენტების ბრძოლის ერთერთი მეთოდი არის სოციალისტური საკუთრების დატაცება.

კონტრრევოლუციური ელემენტები ძვრებიან კოლმეურნეობებში, ხანდახან ხელმძღვანელ სამუშაოზეც, ისინი იპარავენ საკოლმეურნეო დოვლათს და ამით ცდილობენ ზიანი მიაყენონ კოლმეურნეობებს, სახელი გაუტეხონ კოლმეურნეობას კოლმეურნეთა მასებში.

1935 წელს პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა განიხილეს 614 საქმე საკოლმეურნეო სოციალისტური საკუთრების დატაცების შესახებ. 1936 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებში აღიძრა 220 საქმე. და თქვენ იცით, რომ სასამართლოს ორგანოებამდე კოლმეურნეობებში მომხდარ დატაცებათა და ბოროტმოქმედებათა ყველა ფაქტი როდი აღწევს.

მაგრამ ის ციფრებიც იმას მოწმობს, რომ სოციალისტური საკუთრების დატაცება, საკოლმეურნეო საშუალებათა განიავება ჯერჯერობით კიდევ საკმაოდ ხშირი მოვლენაა ჩვენს კოლმეურნეობებში.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაუნდობლად გამოამჟღავნონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები. კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, უნდა გააცამტვერონ მომაკვდავ კლასთა უკანასკნელი ნაშთები და დაამსხვრიონ მათი ქურდული მაქინაციები.

ამხანაგებო! კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და მათი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გადამწყვეტი საკითხი კადრების საკითხია.

ჩვენი ამოცანები ამ დარგში იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო უკეთესად შევარჩიოთ ხელმძღვანელი კადრები კოლმეურნეობებში კოლმეურნეობის მოწინავე აქტივიდან, უფრო უკეთესად და უფრო სწორად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კადრები, უკეთესად მოვაწყოთ კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმე.

უნდა აღვიაროთ, რომ რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ეწევიან ხელმძღვანელი კადრების შემოწმებასა და შერჩევას კოლმეურნეობებში.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, როდესაც სახელმძღვანელო პოსტებზე ცალკე კოლმეურნეობებში ახერხებენ შეძრომას ცალკეული ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური და პირდაპირ კულაკური ელემენტები.

უკვე დროა, რომ ავტონომიური რესპუბლიკების ოლქკომების მდივნები და ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთა თავმჯდომარეები, რაიკომთა მდივნები და რაიაღმასკომთა თავმჯდომარეები, მტს-ების დირექტორები და რაიმიწგანების გამგეები უკეთ იცნობდნენ მათთან კოლმეურნეობებში მომუშავე კადრებს.

რაიონების ხელმძღვანელები მოვალენი არიან პირადად იცნობდნენ თვითეული კოლმეურნეობის ხელმძღვანელ შემადგენლობას: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მოანგარიშეს, ფერმის გამგეს, საწყობის გამგეს, ბრიგადირებს.

ისინი მოვალენი არიან იცნობდნენ მათ არა მარტო სახით, არა მარტო გვარით, არამედ იცნობდნენ არსებითად, თუ რას წარმოადგენენ ეს მუშაკები, როგორ მუშაობენ და რის უნარი აქვთ.

ჩვენ უკეთ უნდა მოვაწყოთ საკოლმეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადების მთელი საქმე.

ჩვენ ყოველწლობით ცოტა კოლმეურნეებს კი არ ვასწავლით სხვადასხვა კურსებსა და სკოლებში.

მარტო 1936 წელს მოსამზადებელი და გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები—ხუთდღიანი, თხუთმეტდღიანი და ერთთვიანი—და რაიონული საკოლმეურნეო სკოლები (სწავლების ვადით 5 თვიდან ერთ წლამდე) გაიარა 25 ათას კაცზე მეტმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მოანგარიშემ, ბრიგადირმა, რგოლისთავმა, ფერმის გამგემ, მომწველმა, მწყემსმა და სხვ.

1936 წელს ამ გადასამზადებელ ქსელში გაიარა უკვე 28 ათასმა კოლმეურნემ.

ამას გარდა ჩვენ მოგვეპოვება სპეციალური ტექნიკური 5 და 8 თვიანი სკოლები კოლმეურნეთაგან ტრაქტორისტებისა, ბრიგადირებისა, კომბაინერთა, შოფერთა, სალეწი მანქანის მემანქანეთა მოსამზადებლად. ასეთი სკოლები ჩვენ გვაქვს გურჯაანში სურამში, ხონსა და ლუქსემბურგში.

მარტო 1935 წელს ამ ტექნიკურმა სკოლებმა მოამზადეს 1.560 კაცი. 1936 წელს ამ სკოლებმა უკვე 2 ათას კაცზე მეტი გამოუშვეს.

საკოლმეურნეო კადრთა ამ მასობრივ მოსამზადებელ ქსელზე 1935 წელს სახელმწიფომ დახარჯა 920 ათასი მანეთი, 1936 წელს კი იხარჯება 1.157 ათასი მანეთი.

როგორც ხედავთ, სკოლები და კურსები, აგრეთვე სახსრები კადრების მასობრივი გადამზადებისათვის ჩვენ არ გვაკლია. **მაგრამ საკოლმეურნეო კადრების მომზადების ხარისხი ყველა ამ კურსებსა და სკოლაში, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯერჯერობით დაბალია.**

ბევრმა კოლმეურნემ, რომელმაც ეს კურსები გაიარა, ვერ მიიღო საჭირო ვერც ტექნიკური, ვერც აგრონომიული, ვერც პოლიტიკური ცოდნა.

იქნება გვითხრან აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის ოლქკომების მდივნებმა და ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთა თავმჯდომარეებმა, რაიკომების მდივნებმა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა—რაში გამოიხატება მათ მიერ ამ სკოლების ხელმძღვანელობა, სად, როდის და რომელ სკოლაში ყოფილან ისინი, როგორ სწავლობდნენ მსმენელთა შემადგენლობას, მასწავლებელთა შემადგენლობას, ამოწმებდნენ თუ არა მუშაობის დაყენებას ამ სკოლებში, სწავლაში წარმატებას, იღებდნენ თუ არა მონაწილეობას მსმენელთა გამოშვებასა და ცოდნის შემოწმებაში, არკვევდნენ თუ არა, სად იგზავნებიან, როგორ მუშაობენ ამ სკოლებიდან და კურსებიდან გამოსული კადრები და როგორ იყენებენ მათ?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩემ მიერ დასახელებულ არცერთ ხელმძღვანელს არ გაუწევია ეს მუშაობა.

ეს ეხება თვით მიწსახკომსაც. ეწეოდა თუ არა ასეთ მუშაობას მიწსახკომი? დიდად ვეჭვობ, რომ მიწათმოქმედების სახკომს, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს სოფლის მეურნეობის კადრების მომზადებისათვის, ეს სამუშაო ეწარმოებინოს.

საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამზადებლად ჩვენ მოგვეპოვება, ტექნიკუმთა და უმაღლეს სასწავლებელთა, მე ვიტყოდი, საკმაოზე მეტი ქსელი.

საქართველოში გვაქვს 36 ტექნიკუმი (ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, ჯულელისა და სხვა რაიონებში, 3 ტექნიკუმი ტფილისში, თითო-თითო სამხრეთ-ოსეთსა და აჭარაში და ოთხი აფხაზეთში). ამ ტექნიკუმებში 5.497 კაცი სწავლობს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ტექნიკუმებმა უკვე გამოუშვეს საშუალო კვალიფიკაციის 7.160 სპეციალისტი.

უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ჩვენ 3 გვაქვს: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ტფილისში, სადაც სწავლობს 1.685 სტუდენტი, ზოოვეტინსტიტუტი ტფილისში, სადაც სწავლობს 680 სტუდენტი და სუბტროპიკული ინსტიტუტი ქალ. სოხუმში, სადაც სწავლობს 560 სტუდენტი.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ სამმა უმაღლესმა სასწავლებელმა სამი ათასამდე სპეციალისტი გამოუშვა.

ამათში ინჟინერ-მექანიკოსი—255, მებრეშუმე—256, მემინდვრე—286, მებაღე-მევენახე—467, სუბტროპიკოსი—883, მცენარეთა დაცვის სპეციალისტი—202, დეკორაციული მებაღეობის სპეციალისტი — 80, და ზოოტექნიკოსი—572.

ამ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების შესანახად სახელმწიფო წელიწადში 18 მილიონ მანეთამდე ხარჯავს. უმაღლესი სასწავლებლების 2.300 სტუდენტი სახელმწიფო სტიპენდიას ღებულობს 80-დან 170 მანეთამდე, ტექნიკუმთა 4 ათასი სტუდენტი ღებულობს სტიპენდიას 55-დან 90 მანეთამდე.

მაგრამ ვერც ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლები დაიტრაბახებენ მუშაობის კარგად დაყენებას.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის 1936 წელს მხოლოდ 16-მა პროცენტმა მიიღო შეფასება ფრიადზე. ეს ძალიან ცოტაა. მოსწავლეთა უმეტესობამ უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა საშუალო ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

განა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს სწავლების დაყენება ჩვენს უმაღლესსა და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში, როდესაც მათი მუშაობის შემდეგი ფაქტები გვაქვს:

ტექნიკუმთა და უმაღლეს სასწავლებელთა უმეტესობაში არ არის მოწყობილი საწარმოო პრაქტიკა, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გეგმები, როგორც წესი, არ სრულდება.

„სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია“ სასწავლებლების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დისციპლინა არის, ხოლო მისი სწავლება ძალიან ცუდად არის დაყენებული.

სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საკითხებს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ასწავლიან კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ჩვენი მუშაობის კონკრეტული ამოცანებისაგან მოწყვეტილად.

აქამდე სპეციალურ დისციპლინათა უმეტესობაში არა გვაქვს სახელმძღვანელოები ქართულსა, სომხურსა და სხვა ეროვნულ ენებზე, ეს კი აძნელებს მათს შესწავლას.

აბა აიღეთ, მაგალითად, სიღნაღის რაიონის **მაჩხაანის ტექნიკუმის მდგომარეობა.** ამ ტექნიკუმში საქართველოს მიწსახკომი ყოველწლიურად სცვლის დირექტორს. მარტო 1935-36 წელს 9 პედაგოგი წავიდა ტექნიკუმიდან. 13 კაბინეტისა და ლაბორატორიის ნაცვლად ამ ტექნიკუმს ორი აქვს, აუცილებელი 5 საკლასო ოთახის ნაცვლად მხოლოდ სამი. რადგან ტექნიკუმის მუშაობა ძალიან ცუდად არის მოწყობილი, მასში სასწავლებლად შესვლის მსურველი ცოტაა. 1935 წლის შემოდგომაზე ტექნიკუმში მიღების დროს, როდესაც მისაღებთა კონტინგენტი 115 კაცით იყო განსაზღვრული, ტექნიკუმში სასწავლებლად შესვლის მსურველთაგან მხოლოდ 35 განცხადება იყო შეტანილი.

ბევრი მათგანი, რომელთაც ეს ტექნიკუმი დაამთავრეს, არა თავისი სპეციალობის დარგში წავიდა სამუშაოდ.

მაგალითად 11 კაცში, რომელთაც წელს დაასრულეს ტექნიკუმი, ქეთო [illegible] მუშაობს მაჩხაანის ბიბლიოთეკის გამგედ, იოსებ მჭედლიშვილი მუშაობს შემსრულებლად რაიაღმასკომში, ნინო წიკლაური, რომელმაც ფრიადზე დაამთავრა ტექნიკუმი, მუშაობს შემნახველ სალაროში ობლიგაციების შემოწმებლად, ბენიაშვილი მუშაობს სასადილოში [illegible], [illegible] ბოხტაშვილი აქამდე [illegible].

რით აიხსნება უმაღლეს სასწავლებელთა და ტექნიკუმთა ასეთი მდგომარეობა? იგი მოწმობს ამ სასწავლებელთა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრით ხელმძღვანელობის სისუსტეს, იმას, რომ **საქართველოს მიწსახკომი და რესპუბლიკათა მიწსახკომები, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ ამ სასწავლებლებს, არ აქცევენ მათ ჯეროვან ყურადღებას და მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების სასოფლო მეურნეობისათვის მომზადების საკითხებზე ცუდად მუშაობენ.**

მასობრივ კვალიფიკაციათა კადრების მომზადებისა, გადამზადებისა და საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის ამ ნაკლოვანების უწინარეს ყოვლისა დანაშაული მიუძღვის მიწსახკომის კადრების განყოფილებას.

ადგილებიდან: მართალია!

ბერია: ჰკითხეთ მიწსახკომსა და მის კადრების განყოფილებას, რა იქნა ათი ათასი სპეციალისტი, რომელიც უკვე მოამზადეს ჩვენმა ტექნიკუმებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა, სად არიან ისინი, სწორად არიან თუ არა გამოყენებულნი, როგორ მუშაობენ? თქვენ ვერ მიიღებთ ნათელსა და გარკვეულ პასუხს.

ჰკითხეთ მიწსახკომსა და მის კადრების განყოფილებას, თუ ყველა ამ სასწავლებელთა მუშაობის რა საკითხები წარუდგინეს მათ ც. კ-ს და სახკომსაბჭოს განსახილველად? — არცერთი.

ყოველივე ეს მოწმობს მიწსახკომის მუშაობის სისუსტეს სოფლის მეურნეობის კადრების დარგში.

ეს მოწმობს მიწსახკომის კადრების განყოფილების და მის ხელმძღვანელის ცინცაძის მუშაობის უმსგავს ჩავარდნას.

ადგილიდან: მართალია!

ბერია. მიწსახკომის კადრების განყოფილების ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს და განმტკიცდეს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. მათიკაშვილმა უფრო თვითონ უნდა მოჰკიდოს კადრების საკითხს ხელი. სპეციალისტების ათი ათასიანი არმია, რომელიც გამოუშვეს ჩვენმა სასწავლებლებმა, ძლიერ დიდი და ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ადამიანთა ძვირფასი არმიაა. იგი ღირსია, რათა მასზე მუშაობდეს უშუალოდ სახკომი ისე, რომ არავის არ გადააკისროს ეს სამუშაო. მრავალი საკითხი შეიძლება მიანდოს კაცმა მიწსახკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, ხოლო კადრების დარგში მუშაობას პირველ რიგში და უშუალოდ თვით მიწსახკომი—ამხ. მათიკაშვილი უნდა იწეოდეს.

ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კომუნისტური სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სკოლაში სწავლობს 550 კაცი. ეს სკოლა ყოველწლიურად უშვებს 150—200 კომუნისტსა და კომკავშირელს, რომლებიც ღებულობენ სკოლაში პოლიტიკურს, საორგანიზაციოსა და აგროტექნიკურ ცოდნას. ამ სკოლიდან გამოსული კადრები დიდ დამხმარე ძალას წარმოადგენენ ჩვენი სოფლის პარტორგანიზაციებისათვის.

საქართველოს ც. კ-მა ბოლო დროს უკვე მთელი რიგი ზომები მიიღო სასოფლო-სამეურნეო სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ვინაიდან ამხ. ერქომაიშვილი მოწყვეტილი იყო სოფლის მეურნეობას, ხოლო მეორე მხრით ცუდად ხელმძღვანელობდა სკოლას, საქართველოს ც. კ-მა განათავისუფლა ის სასოფლო-სამეურნეო სკოლის რექტორის მოვალეობისაგან და სკოლის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად სკოლის დირექტორად დაამტკიცა ამხ. რ. მელაძე, რომელიც განათავისუფლა საქართველოს ც. კ.-ის სკოლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგებლობისაგან.

სკოლაში ჩვენ ისეთ წესს დავამყარებთ, რომ პარტიის ც. კ. იცნობდეს პერსონალურად სკოლის თვითეულ მსმენელს, იგი კიდევ უფრო მკაცრად დაიჭერს თვალყურს მათს სწავლებასა და იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ სამუშაოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სკოლიდან გამოსულ ამხანაგებს.

ამხანაგებო, აქ პლენუმზე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **თუ ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მტკიცედ არ აიღებენ თავიანთ ხელში კადრების მომზადებისა და გადამზადების მთელ საქმეს, თუ კარგად არ უხელმძღვანელებენ თვითეულ კურსებს, სკოლას, ტექნიკუმს, უმაღლეს სასწავლებელს, ჩვენი მუშაობა უნაყოფო იქნება და ვერ მივიღებთ იმ კადრებს, რომლებიც ჩვენ ახლა გვესაჭიროება საქართველოს სოფელში. საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განმტკიცებისათვის.**

ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ასეთ მეურნეობას (საკოლმეურნეოს — ლ. ბ.) რომ გაუძღვეთ, საჭიროა უზრუნველვყოთ კოლმეურნეობა ელემენტარულად მომზადებულ ადამიანთა ერთგვარი მინიმუმით, რომლებსაც შესწევთ მეურნეობის დაგეგმვისა და მისი ორგანიზებულად გაძღოლის უნარი“.

ახლა ჩვენი კოლმეურნეობანი გაიზარდნენ, მათ დიდი მეურნეობა აქვთ და იმისათვის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიო ასეთ დიდ და რთულ მეურნეობას, გარდა სურვილისა, გარდა ენტუზიაზმისა და ბოლშევიკური შეუპოვრობისა, საჭიროა კიდევ უნარი და ცოდნა.

ვიმეორებ, რომ **სოფლის მეურნეობისათვის, კოლმეურნეობებისათვის კადრების მომზადების საქმე —წარმოადგენს საქართველოს პარტიული**

(დასასრული მე-9 გვერდზე).

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების დასასრული

ორგანიზაციების ერთ-ერთ უყველაზე მნიშვნელოვან, საბრძოლო ამოცანას.

ვინაიდან სოფლის მეურნეობის ბევრი სპეციალისტი, რომლებმაც წარსულში დაამთავრეს სასწავლებლები, არ წავიდნენ უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ, არამედ საგრძნობი რაოდენობით მოკალათდნენ ქალაქად — დაწესებულებებში, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებში, კანცელარიებში, რომლებსაც ზოგჯერ სოფლის მეურნეობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, საჭიროა მიწსახკომმა ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან ერთად ახლავე შეარჩიოს 300-400 სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში (აქედან არანაკლებ 300 კაცისა ტფილისში), რათა ერთი თვის ვადაში გაიგზავნონ ისინი რაიონებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ, პირველ ყოვლისა, უხნის აგრონომებად კოლმეურნეობათათვის უშუალო მომსახურების გასაწევად.

ჩვენი სპეციალისტები — ეს საბჭოთა სპეციალისტები არიან, რომლებსაც კარგად ესმით პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. ეჭვს გარეშეა, რომ ისინი თვითონ დიდის ენთუზიაზმით წავლენ ამ პასუხსაგებ საქმეზე.

○

ჩამდენიმე სიტყვა **სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებზე.** უკანასკნელ დროს საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა საქართველოს ყველა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გულდასმით შემოწმება. შემოწმებამ ცხადჰყო, მრავალი ინსტიტუტი ცუდად მუშაობს. ცალკეული სპეციალისტები მუშაობენ ერთ, ორ და სამ ინსტიტუტშიაც კი, ასრულებენ სრულიად ერთსადაიმავე სამუშაოს და ღებულობენ ორმაგ-სამმაგ ხელფასს, ხოლო თავიანთი მუშაობის შედეგებს ცოტას იძლევიან.

ჩვენ იმის წინააღმდეგი არა ვართ, რომ ჩვენი სპეციალისტები დიდ ხელფასს იღებდნენ. მაგრამ საჭიროა მიზანშეწონილი იყოს, რომ ერთი და იგივე კაცი მუშაობდეს რამდენიმე ადგილას ერთსადაიმავე სამუშაოზე და არცერთ ადგილას არ ასრულებდეს სამუშაოს როგორც წესი და რიგია.

მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს საქართველოს რაიონებში ჰქონდათ თავიანთი, ეგრეთწოდებული დასაყრდენი პუნქტები და ბაზები, ამასთან ძალიან ხშირად ძნელი გასაგები იყო — დასაყრდენი ბაზა არსებობს ინსტიტუტთან, თუ ინსტიტუტი არსებობს დასაყრდენ ბაზასთან.

უმეტეს შემთხვევაში სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა ეს დასაყრდენი პუნქტები და ბაზები თუ საცდელი მინდვრები თავიანთ მეურნეობას გაცილებით უფრო უარესად უძღვებოდნენ, ვიდრე მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, ამავე დროს კი დიდძალ სახელმწიფო ფულს ნთქამდნენ.

მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს თავიანთი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში თითქმის არ მოუციათ, ღირებულების მქონე რაიმე სამეცნიერო პროდუქცია.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც **სოხუმის ტენიანი სუბტროპიკების ინსტიტუტი,** რომელსაც უზარმაზარი შტატი ჰყავს და დიდი ხარჯთაღრიცხვა აქვს. მაგრამ ამ ინსტიტუტში კადრები ძალიან სუსტად არის შერჩეული. ინსტიტუტი მრავალი წლის განმავლობაში არსებობს და, მართალი რომ ითქვას, ჯერ სოფლის მეურნეობისათვის არავითარი არსებითი რამ არ მოუცია. ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოახდინოს ამ ინსტიტუტის ლიკვიდაცია, ხოლო სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ტენიანი სუბტროპიკების დარგში გადასცეს ჩაის საკავშირო ინსტიტუტს.

ანდა, მაგალითისათვის ავიღოთ მევენახეობის ინსტიტუტი. უკანასკნელ დრომდე მევენახეობის ინსტიტუტი ცუდად მუშაობდა. ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა უმსგავსი იყო.

თქვენ ყველამ გესმით, რომ საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება „საქართველოში მევენახეობის განვითარების შესახებ" ამ ინსტიტუტს უდიდეს ამოცანებს აკისრებს და ამიტომ საჭიროა მევენახეობის ინსტიტუტის მუშაობაში დამყარდეს უკეთესი წესრიგი.

საქართველოში არსებული 77 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებიდან საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად სცნო გააუქმოს და გარდაქმნას 22, ამასთან დასტოვოს როგორც სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში მხოლოდ 55.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა საცდელი მინდვრები, დასაყრდენი პუნქტები და ბაზები მოეწყოს მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ეს სასარგებლო იქნება თვით ინსტიტუტისთვის; ამაზე ნაკლებად დაიხარჯება სახელმწიფო ფული, აგრეთვე სასარგებლო იქნება იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, და კოლმეურნეობებისათვის, რომლებშიაც ინსტიტუტი აკეთებს თავის სამეცნიერო ცდებს.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხკოლებისა და მეცნიერების განყოფილებამ 1936 წლის დამლევამდე და 1937 წლის დამდეგს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს უნდა წარუდგინოს განსახილველად ღონისძიებანი საქართველოს ყოველი ცალკეული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქალაქო და რაიონულმა პარტორგანიზაციებმა, უწყებებმა, რომლებსაც ეს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ექვემდებარებიან, თავიანთ მხრივ უნდა გააუმჯობესონ მათი მუშაობის ხელმძღვანელობა, ხოლო ამ საფუძველზე ჩვენ უნდა **მივაღწიოთ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ, ხარისხობრივ უფრო უკეთ გაშლას სოფლის მეურნეობის დარგში და ჩვენი ინსტიტუტების გადაქცევას სანიმუშო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებად.**

X. სტალინური სიფხიზლის დროშით

ამხანაგებო! საქართველოს ბოლშევიკებმა და მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და ზრდის საქმეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და განვითარების საქმეში.

მაგრამ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები მოითხოვენ, რომ ჩვენ ოდნავადაც არ დავმშვიდდეთ მიღწეული წარმატებებით, არამედ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, ბოლშევიკური შეუპოვრობით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვაწარმოოთ შემდგომი მუშაობა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს პირობების გამო, სოფლის მეურნეობა და საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში ძალიან რთულია.

საქართველოში ჩვენ უაღრესად მრავალფეროვანი ბუნებრივი კლიმატური პირობები გვაქვს სოფლის მეურნეობის გასაძლოლად. ჩვენ გვაქვს სულ სხვადასხვა და უაღრესად რთულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დიდძალი რაოდენობა. ყოველივე ეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს უფრო ღრმად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს, კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეს.

დასახული ამოცანების შესასრულებლად ჩვენ უფრო უკეთ უნდა მოვაწყოთ ფართო მასების აქტივობა; საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, ჩვენი ბრიგადირების, კომბაინერების, ტრაქტორისტების, სალეწ მანქანათა მემანქანეების, მეცხოველეობის ფერმათა მუშაკების, მწყემსების, ჩობანების, მწველავების, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტის, მიწათმოქმედების ორგანოთა მუშაკების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ყველა მუშაკის აქტივობა, საქართველოს ყველა მშრომელისა და ბოლშევიკის აქტივობა.

საქართველოს სოფელში უკვე არიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის ათობით მოწინავე საპატიო ადამიანები, რომლებიც საუცხოო მაჩვენებლებისათვის, წარჩინებული მუშაობისათვის დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოებით.

ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ ახლო მომავალში გვყავდეს არა ათობით, არამედ ასობით, მე ვიტყოდი, — ათასობით მოწინავე საპატიო ადამიანები, გმირი ქალები და კაცები, რომლებიც გვიჩვენებენ მუშაობის ნამდვილ ნიმუშებს და რომლებიც დაჯილდოვებულნი იქნებიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოებით.

ეჭვს გარეშეა, განუხრელად განახორციელებენ რა კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, საქართველოს ბოლშევიკები ახალ, კიდევ უფრო მეტ გამარჯვებებს მიაღწევენ ამ საქმეში ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ (ტაში).

○

ამხანაგებო, 24 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ მოსკოვში საერთო-სახალხო მრისხანების განაჩენი გამოუტანა ავაზაკთა და ბოროტმოქმედთა ბანდას, გაშიშვლებულ კონტრრევოლუციონერებს, ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის მონაწილეებს.

უზენაესი სასამართლოს განაჩენით ცენტრის ყველა მონაწილეს—ამ ლომაძეებსა და თეთრგვარდიელ ბანდიტებს — მისჯილი აქვთ სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა. (მქუხარე ტაში).

ამ განაჩენს უდიდესი კმაყოფილებით ხვდებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

იგი გამოხატავს მასების მთელ იმ მრისხანებას, მთელ ზიზღსა და აღშფოთებას, მთელ იმ გულისწყრომას, რითაც აღსავსეა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონების გული ტროცკისტულ-ზინოვიევურ მკვლელთა ამ ბილწი ბანდის მიმართ.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი წარმოადგენს მთელი მშრომელი ხალხის განაჩენს.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა ხელისუფლების იმ წარმატებათა და გამარჯვებათა წინაშე, რომლებიც მიღწეულია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა გენიალური ბელადის დიდი **სტალინის წინამძღოლობით (მქუხარე ხანგრძლივი ტაში ყველანი ფეხზე დგებიან)** კონტრრევოლუციურ ძალთა საზიზღარი ნაშთები და, უწინარეს ყოვლისა, კონტრრევოლუციური ტროცკისტული ქოფაკები—ტროცკისტები და ზინოვიეველები, გაბოროტებულნი და ისტორიის მიერ მხილებულნი, რომლებსაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ მასებში და რომლებმაც თავიანთ პრინციპებს საფუძვლად დაუდეს კარიერიზმი, თავგასულობა და მაროდიორობა, გადაიქცნენ მკვლელთა ბანდათ, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო არაფრით არ შეთაკილნათ და ყოველგვარი საშუალებით გამძვრალიყვნენ ხელისუფლებისაკენ.

დაადგნენ რა ღალატისა და გაცემლობის გზას, ტროცკისტები და ზინოვიეველები ჩაეფლნენ ყველაზე გაშიშვლებული თეთრგვარდიელობის ჭაობში, გადაიქცნენ ფაშისტური კონტრდაზვერვათა აგენტებად, გახდნენ კონტრრევოლუციურ ელემენტთა მთავარ დამრაზმავ ძალად ჩვენი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმად მის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ისინი ცდილობდნენ თავიანთი ლახვარი, უწინარეს ყოვლისა, მიემართნათ **ლენინ-სტალინის პარტიის** წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, **მის გულში, ჩვენი საყვარელი ბელადის, ჩვენი მასწავლებლისა და მამის ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ.**

კონტრრევოლუციონერთა ბანდას ანგარიში შეესწორა!

პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ და ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა ამხილეს ისინი და ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრეს.

პროლეტარული რევოლუციის ფოლადის ხელი ყელში სწვდა არამზადა მხეცებს, გამოამჟღავნა სისხლიანი შეთქმულება და შეუბრალებლად მოსპო ისინი. (მქუხარე ტაში).

მაგრამ, ვინც ფიქრობს, რომ უკვე ყველა მტერი გამომჟღავნებული და მოსპობილია, ძალიან სცდება.

ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველ—თვალთმაქცები, რომლებიც მიმალული არიან და ეწევიან თავიანთ დამარღვეველ მუშაობას.

პარტიული ორგანიზაციებისაგან, თვითეული კომუნისტისაგან ეს მოითხოვს კიდევ უფრო გააძლიერონ **სტალინური სიფხიზლე, კიდევ უფრო დაუნდობელნი იყვნენ მტრების მიმართ.**

უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიაში აგრეთვე გამომჟღავნებულ იქნენ მთელი რიგი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ჯგუფები.

მაგრამ შეუძლებელია ისე ფიქრი, თითქოს ყველა კონტრრევოლუციონერი მხილებული და გამოაშკარავებული იყოს.

საჭიროა ჯერ კიდევ კარგად, ფხიზლად ვიმუშაოთ, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური მყრალი იატაკქვეშიდან სინათლეზე გამოვათრიოთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უკლებლივ ყველა კონსპირირებული მტერი, რათა ბოლომდე ვამხილოთ ყველა თვალთმაქცი.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრები ამიერ-კავკასიის ნაციონალურ რესპუბლიკათა პირობებში ძალიან ხშირად იკეთებენ ნაციონალისტურ ნიღაბს.

მეორე მხრივ, ნაციონალისტური-შოვინისტური და დიდმპყრობელობითი ელემენტები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში უკავშირდებიან კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებს და მათთან ერთად ადგებიან ჯაშუშობის, დივერსიისა და ტერორისტული საქმიანობის გზას.

ეს ავალებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი სიფხიზლე ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმეში, კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ ელემენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტებმა და კომკავშირელებმა სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ ყოველგვარ ვითარებაში, ყოველ უბანზე, პრაქტიკული მუშაობის ყოველ ნაბიჯზე და ყოველდღიურ ცხოვრებასა და ყოფაცხოვრებაში.

კომუნისტებს, კომკავშირელებს და ყველა მშრომელთ უნდა შეეძლოთ მტრის გამოცნობა და გამოაშკარავება, რა რიგ ღრმადაც უნდა იყოს იგი კონსპირირებული.

ამჟამად ჩვენი პარტია მონოლიტური და მთლიანია, ისე როგორც იგი არასოდეს არ ყოფილა; იგი ისე მტკიცედაა დარაზმული თავისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავისი საყვარელი ბელადის, მამისა და დიდი მასწავლებლის **სტალინის** გარშემო, როგორც არასოდეს არ ყოფილა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. პლენუმი ფეხზე ამდგარი უკრავს ტაშს).**

მტრების ვერავითარი საზიზღარი ოინები, სულთმობრძავთა ვერავითარი მუქარა ვერ შეაშინებს, ვერ შეარყევს **ლენინ-სტალინის პარტიას.**

პროლეტარული დიქტატურის ფოლადის ხელი დაუნდობლად მოსპობს ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი შეახოს სოციალიზმის საქმეს, რომლის სულისჩამდგმელი და გამარჯვებათა ორგანიზატორი არის დიდი სტალინი. (პლენუმი ფეხზე დგება, გრიალებს მქუხარე ტაში).

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები იდგნენ, დგანან და მომავალშიაც იდგებიან, ვით ურყევი სალიკლდე, რევოლუციის დიადი საქმის, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის სადარაჯოზე.

ისინი იყვნენ, არიან და მომავალშიაც იქნებიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი.

საქართველოს ბოლშევიკები ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამოწრთობილნი და აღზრდილნი პირადად პარტიის ბელადის, დიდი სტალინის მიერ გამოწრთობილნი და აღზრდილნი, კიდევ უფრო მეტი სიყვარულით, ენტუზიაზმით, ბოლშევიკური სიმედგრითა და შეუპოვრობით იბრძოლებენ მათ წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად ჩვენი რესპუბლიკის სახელოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელოდ, ჩვენი მძლავრი პარტიის სახელოდ, მსოფლიო რევოლუციის დიდი მეხაჯის ამხანაგ სტალინის სახელოდ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის ძახილი: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", რახანც „ჰურა" „ვაშა" ჰქუხს).

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის წერილი ერთა ლიგის გენერალურ მდივანს

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ბ. ავენოლს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

ბატონო გენერალურო მდივანო!

ამა წლის 4 ივლისის კრების რეზოლუციის გამო, თქვენ მიმართეთ სსრ კავშირის მთავრობას თხოვნით, გაცნობოთ ის წინადადებანი, რომელთა წარდგენასაც ეს მთავრობა საჭიროდ თვლის პაქტის პრინციპების შეფარდების გასაუმჯობესებლად.

ამ თხოვნის საპასუხოდ და იმ შენიშვნების მიხედვით, რომლებიც მე უკვე შემთხვევა მქონდა გამომეთქვა ამ საკითხის განხილვის დროს საბჭოს 26 ივნისის სხდომაზე და ა.-წ. 1 ივლისის ასამბლეაზე, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ აზრი პაქტის გადასინჯვისა ამჟამად არ შეიძლება გამართლებულ იქნას გარემოებებით და მან არ შეიძლება მიგვიყვანოს სასურველ შედეგებამდე იმ სიძნელეთა გამო, რომლებიც დაკავშირებულია პაქტის ცვლილებათა პროცედურასთან, მისი 26 მუხლის თანახმად. ამასთან ერთად პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი დებულებანი, რომელთა მიღებაც, ჩემი მთავრობის აზრით, ხელს შეუწყობს პაქტის პრინციპების უფრო ზუსტად და ეფექტურად გამოყენებას კოლექტიური უშიშროების დარგში და რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას ამ მიზნით ან კრების რეზოლუციის ფორმით, ან ერთა ლიგის წევრთა ხელმოსაწერად ღიად დატოვებული ოქმის სახით:

1. ერთა ლიგის რომელიმე წევრის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში საბჭო მოწვეულ უნდა იქნას არაუგვიანეს სამი დღისა იმ მომენტიდან, რაც ეს გენერალურ მდივანს ეცნობება.

2. თავისი მოწვევის მომენტიდან სამი დღის ვადაში საბჭო ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საკითხზე—არსებობენ თუ არა ის პირობები, რომლებიც საჭიროდ ჰქმნიან პაქტის მე-16 მუხლის გამოყენებას.

ეს გადაწყვეტილება ჩაითვლება მიღებულად მაშინ, თუ მის სასარგებლოდ მიცემული იქნება დამსწრე წევრთა ხმების არანაკლებ სამი მეოთხედისა, იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ხმების ჩაუთვლელად, რომელიც აგრესიის მსხვერპლი გახდა და იმ სახელმწიფოსი, რომელზედაც მიტანილია საჩივარი.

3. იმ მომენტიდან, როცა საბჭო დაადასტურებს იმ პირობების არსებობას, რომლებიც საჭიროდ ხდიან მე-16 მუხლის გამოყენებას, ომის დამწყები სახელმწიფო ითვლება ერთა ლიგის ყველა წევრთან ომის მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოდ და მიიჩნეულია იმ ღონისძიებათა (სანქციების) შეფარდების ღირსად, რომელთა მიზანია უზრუნველყოს პატივისცემა პაქტის ვალდებულებათადმი.

4. სამხედრო სანქციების შესრულებას განახორციელებენ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც მოწოდებული არიან იმოქმედონ ამ შემთხვევაში, აგრეთვე ის სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ იმოქმედონ, თანახმად პაქტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა, საბჭოს იმ რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც გამოტანილია მე-2 პუნქტში აღნიშნული ხმების უმრავლესობით.

5. მე-2 პუნქტში აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გამოუტანებლობა საბჭოს მიერ ხელს არ უშლის იმას, რომ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი დახმარების შესახებ ამ ხელშეკრულებებში აღნიშნულ პირობათა მიხედვით.

6. იმ მომენტიდან, როცა გენერალურ მდივანს, საბჭოს მოწვევის მიზნით, პირველი პუნქტის თანახმად, ეცნობება, რომ დაიწყო ომი ერთა ლიგის წევრის წინააღმდეგ, ურთიერთდახმარების ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც მოწოდებული არიან იმოქმედონ ამ შემთხვევაში, უფლება აქვთ მიიღონ ყოველგვარი მოსამზადებელი ზომები, რომლებიც საჭიროა შეიარაღებულ ძალთა მზადყოფნაში მოსაყვანად და ამ ხელშეკრულებათა თანახმად დახმარების გაწევისათვის.

7. ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოები კისრულობენ აგრესიის აქტებად არ ჩათვალონ ის მოქმედებანი, რომლებსაც სამხედრო სანქციების წესით მე-4 პუნქტის მიხედვით ახორციელებენ როგორც ურთიერთდახმარების ხელშეკრულებათა მონაწილენი, ისე ლიგის სხვა წევრები.

8. აგრესორ სახელმწიფოს მიმართ სამხედრო სანქციების გამოყენების საკითხზე დამოუკიდებლად, საბჭო, მე-2 პუნქტში აღნიშნული უმრავლესობით, გადასწყვეტს საკითხს — პაქტის მე-16 მუხლის 1 და 3 პუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენების, მათი შინაარსის, მოცულობისა და ძალაში შესვლის ვადის შესახებ; ამასთან ერთად, ასეთი დადგენილება სავალდებულოა ლიგის ყველა წევრისათვის.

საბჭოს აგრეთვე შეუძლია, თუ ეს საჭირო იქნება მოქმედების საერთო გეგმის წარმატებით განხორციელებად, ან ერთა ლიგის ცალკე წევრთა ზარალის შესამცირებლად, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ცალკე სახელმწიფოები პაქტის მე-16 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ზომების სისრულეში მოყვანა.

9. ერთა ლიგის თვითეული წევრის მიმართ, რომელიც თავს არიდებს ეკონომიურ და ფინანსიურ სანქციებში მონაწილეობის მიღებას, შეიძლება ლიგის სხვა წევრების მიერ გამოყენებულ იქნას საბაჟო და სავაჭრო დისკრიმინაცია.

10. ერთა ლიგის წევრები კისრულობენ გაატარონ დაუყოვნებლივ, როგორც კი ეს რეზოლუცია (ოქმი) ძალაში შევა, ყველა საკანონმდებლო დადგენილება, რომლებიც აუცილებელია მათი შინაგანი საკონსტიტუციო წესდებით, რათა წინასწარ იქნას უზრუნველყოფილი იმ ღონისძიებათა დროზე გამოყენება, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას ეკონომიური და ფინანსიური სანქციების დარგში.

11. იმ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებანი ურთიერთდახმარების შესახებ, რომლებიც დაინტერესებული არიან განსაზღვრულ რაიონებში უშიშროების დაცვით, აღიარებულ იქნება უშიშროების დამატებით გარანტიად პაქტის ჩარჩოებში. ასეთ ხელშეკრულებებად, რომლებიც ასეთ დამატებით გარანტიას წარმოადგენენ, ითვლებიან ხელშეკრულებანი, რომლებიც დადებული არიან, ან შეიძლება დადებულ იქნან ორ, ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის; ეს ხელშეკრულებანი: 1) შეიცავენ ვალდებულებას დაეხმარონ ყოველ მონაწილეს იმ შემთხვევაში, თუ იგი თავდასხმის მსხვერპლი გახდება; 2) აწესებენ დახმარების ვალდებულებას იმ შემთხვევებში, რომლებშიაც დახმარების აღმოჩენის უფლება გამომდინარეობს ერთა ლიგის პაქტიდან; 3) რეგისტრირებული და გამოქვეყნებული არიან პაქტის მე-18 მუხლის თანახმად.

საჭიროდ მიმაჩნია დავსძინო, რომ, სსრ კავშირის მთავრობის აზრით, ცხოვრებაში ზემოაღნიშნულ დებულებათა გატარება გაადვილდებოდა, თუ მათ დაემატებოდა მითითება, რომ პაქტის მე-16 მუხლის გამოყენების მიზნებისათვის ომის დამწყებ სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს ის სახელმწიფო, რომელიც ჩაიდენს ერთ-ერთ იმ აქტთაგანს, რომლებიც ეხებიან აგრესორის განსაზღვრის შესახებ შედგენილ იმ მოხსენებაში აღნიშნულ კატეგორიას, რომელიც უშიშროების საკითხებზე გამოყოფილმა კომიტეტმა წარუდგინა 1933 წლის 24 მაისს შეიარაღებათა შემცირებისა და შეზღუდვის კონფერენციას.

მიიღეთ და სხვ.

მ. ლიტვინოვი

◇ ◇ ◇

მდგომარეობა ჩრდილო-ესპანეთში

ლონდონი, 29 აგვისტო. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, მეამბოხეთა ახალი იერიშის დროს სან-მარტიალზე (ირუნ-სან-სებასტიანის ფრონტზე) ხელჩართული ბრძოლა მოხდა. სახალხო მილიციამ გამოიყენა დინამიტიანი ყუმბარები. უცხოელი ლეგიონის 135 კაციდან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს იერიშში, მხოლოდ 28 დაბრუნდა დაუჭრელი. მეამბოხეებს მიეცათ ბრძანება დაიკავონ სან-მარტიალი, რადაც უნდა დაუჯდეთ, ვინაიდან ამ პუნქტის დაკავება განათავისუფლებს ირუნის გზას.

ირუნის ხელისუფალთ განაცხადეს, რომ მთავრობის ჯარებს მთელ ფრონტზე არ დაუკარგავთ არც ერთი თავისი ძირითადი პოზიცია. უცხოელი ლეგიონის მთელმა რიგმა ჯარისკაცებმა, რომელნიც გადავიდნენ მთავრობის მხარეს, განაცხადეს, ლეგიონმა დიდი ზარალი ნახაო.

ამბოხებული ჯარების ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი საფრანგეთის გაქცევას ცდილობდა საზღვარზე გადასვლით. მეამბოხე ჯარებმა სროლა აუტეხეს მათ. ყველანი დახოცეს, გარდა ერთისა, რომელმაც მოახერხა საზღვრის გადასვლა. მან გააცხადა საფრანგეთის ხელისუფალთ, 160 კაცი ცდილობდა ფაშისტური რაზმებიდან გამოქცევასო.

გვადარამის ფრონტზე სასტიკი შეტაკება მოხდა მთავრობისა და მეამბოხეთა ჯარებს შორის. მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს (ადს).

◇

მეამბოხეთა აჯანყება გენ. ფრანკოს წინააღმდეგ

პარიზი, 29 აგვისტო ესპანეთის მთავრობა ავრცელებს ცნობას, რომელშიც იგი ემყარება აბსოლუტური ნდობის ღირს წყაროებს და აღნიშნავს, რომ ესპანეთის ერთ-ერთი უცხოელი ლეგიონი აჯანყდა გენერალი ფრანკოს წინააღმდეგ, ლეგიონერებმა დახოცეს თავისი ოფიცრები (ადს).

სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (ნორვეგიაში) ამხ. იაკუბოვიჩის განცხადება ნორვეგიის მთავრობას

საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. იაკუბოვიჩმა შემდეგი განცხადებით მიმართა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს:

„1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში მოკლულ იქნა სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ს. კიროვი. სასამართლოს გამოძიებით დადასტურდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა იმ ტერორისტული ორგანიზაციის წევრმა, რომელიც თავის ამოცანად ისახავდა ტერორისტულ აქტებს საბჭოთა მთავრობის წევრთა და სხვა ხელმძღვანელ პირთა წინააღმდეგ. ეს აღიარებულ იქნა სასამართლოში 1934 წლის დამლევს თვით კიროვის მკვლელისა და აგრეთვე მისი თანამონაწილეების მიერ.

დამატებითი გამოძიებით, აგრეთვე სასამართლოში გარჩევის დროს, რასაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში 1936 წლის 19-23 აგვისტოს, შემდეგ დადასტურდა, რომ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია შეიქმნა ლ. ტროცკის ინიციატივით, რომელიც ამჟამად ნორვეგიაში ცხოვრობს და რომელიც დაწერილებით მითითებებს იძლეოდა საბჭოთა კავშირში მყოფ თავის თანამოაზრეებს მოეკლათ სტალინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე და მთავრობის სხვა წევრები და ხელმძღვანელი პირები. ამ მიზნით ტროცკი საზღვარგარეთიდან საბჭოთა კავშირში გზავნიდა სპეციალურ აგენტებს, ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი 1936 წლის აგვისტოს სასამართლოს ახლალი გარჩევის დროს დაადასტურეს ყველა ტროცკის თანამოაზრეებმა და აგენტებმა, რომლებიც სასამართლოში იყვნენ მიცემული.

ამგვარად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ნორვეგიაში მცხოვრები ლ. ტროცკი არის იმ ტერორისტულ მოქმედებათა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა მთავრობის წევრებისა და საბჭოთა ხალხის ბელადების მოკვლა.

აცნობებს რა ზემოაღნიშნულს ნორვეგიის მთავრობას, საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ თავშესაფარის შემდგომ მინიჭებას ლ. ტროცკისათვის, ტერორისტულ მოქმედებათა ორგანიზატორისათვის, შეუძლიან ზიანი მიაყენოს სსრ კავშირსა და ნორვეგიის შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ცნებას.

ამ შემთხვევის გამო შეიძლება გავიხსენოთ, რომ სამხრეთ-სლავიის მეფის ალექსანდრის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბარტუს მკვლელობასთან დაკავშირებით, მთავრობათა დამოკიდებულება მათ ტერიტორიაზე სხვა მთავრობების წევრთა წინააღმდეგ ტერორისტული მოქმედების მომზადებისადმი გახდა ერთა ლიგის საბჭოში განხილვის საგნად 1934 წლის 10 დეკემბერს, როცა აღნიშნულ იქნა ერთა ლიგის წევრთა ვალდებულება დაეხმარონ ერთმანეთს ტერორიზმთან ბრძოლაში და საჭიროდაც კი იქნა ცნობილი ამ მიზნით საერთაშორისო კონფერენციის დადება. საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ნორვეგიის მთავრობა არ დააყოვნებს მიიღოს სათანადო ზომები, რათა წაერთვას ტროცკის ნორვეგიის ტერიტორიაზე თავშესაფარის შემდგომი ოლობა".

28 აგვისტო 1936 წ.

◇ ◇ ◇

ანტიბოლშევიკურ სახელმწიფოთა ბლოკი

ვენა, 29 აგვისტო. რუმინეთის გაზეთი „კურენტული" აქვეყნებს თავისი რედაქტორის საუბარს რუმინეთის ფაშისტური ნაციონალურ-ქრისტიანული პარტიის ლიდერ გოგასთან, რომელიც ესეს არის დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც არაერთხელ აწარმოებდა მოლაპარაკებას ჰიტლერთან და გერმანული ფაშიზმის სხვა ხელმძღვანელებთან. გოგამ განაცხადა: „ამჟამად გერმანიის მთელი საგარეო პოლიტიკა მიმართულია მთელი რიგი ქვეყნების ბლოკის შექმნისაკენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ" (ადს).

პარიზი, 29 აგვისტო. გაზეთებს მოჰყავთ ჰავასის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანიის უცხოელთა ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში დადის ხმები მუსოლინის მოსალოდნელი გამგზავრების შესახებ ბერლინში. კორესპონდენტის სიტყვით, „ზოგიერთი მეთვალყურე აშჩნევს, რომ გერმანია და იტალია ცდილობენ შექმნან ევროპის ცენტრში ანტიბოლშევიკური სახელმწიფოთა ბლოკი". „ესპანეთის ამბებმა, — განაგრძობს კორესპონდენტი, — თითქოს დააჩქარეს ეს ევოლუცია ბერლინისა და რომის პოლიტიკაში. მოსალოდნელი ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს, გერმანიისა და იტალიის გარდა, პოლონეთზე, ავსტრიაზე, უნგრეთზე და, შეიძლება, ბულგარეთზედაც". (ადს).

◇ ◇ ◇

საქ. დეპეშათა სააგენტოს ცნობა

იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლოში შედის ნოტების გაცვლა-გამოცვლა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოსცა ბრძანება 1936 წლის 28 აგვისტოდან ესპანეთში, ესპანეთის სამფლობელოებსა და ესპანეთის მაროკოში ყოველგვარი იარაღისა, ამუნიციისა, სამხედრო მასალისა, საჰაერო გემებისა (დაშლილი ან აწყობილი სახით), აგრეთვე სამხედრო გემების ექსპორტისა, რეექსპორტისა და ტრანზიტის აკრძალვის შესახებ. (ადს).

ტატარესკუ გადადგა

პარიზი, 29 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით რუმინეთის პრემიერი ტატარესკუ გადადგა. რუმინეთის მეფემ ტატარესკუსვე მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა. (ადს).

უცხოეთის ქრონიკა

○ გამოქვეყნდა ჰიტლერის განკარგულება წყალქვეშა ნავების მეორე ფლოტილიის შექმნის შესახებ.

გერმანიის პროპაგანდის მინისტრი გებელსი ჩავიდა ვენეციაში, სადაც განზრახვა აქვს დაჰყოს ორი დღე. გებელსის შესახვედრად ვენეციაში გაემგზავრა იტალიის ბეჭდვითი სიტყვის მინისტრი ალფიერი.

○ გაზეთ „პტიპარიზიენის" სიტყვით გენერალ რიძ-სმიგლის საუბრები პარიზში სამხედრო საკითხებს ხეილდება. პოლონეთის მთავრობა კერძოდ, მოილებს უდიდეს ფინანსიურ ღონისძიებებს სამხედრო პროგრამის დასამთავრებლად.

○ იაპონიის ელჩმა პოლონეთში იტომ პოლონეთის პრეზიდენტს მოსციცკის გადასცა იაპონური ორდენი „ქრიზანტემა".

○ გაზეთ „ოუგარის" ცნობით, ჰიტლერი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ გერმანელთათვის ავტონომიის მისანიჭებლად.

გაზეთის აზრით, ჰიტლერის ეს ნაბიჯი მიმართულია იქეთკენ, რომ უზრუნველყოს გერმანიის საზღვრები ჩეხოსლოვაკიის მხრივ საჰაერო თავდასხმისაგან.

ხან მოიამა წინწკლებისა და ბუ
ხმა, როცა მოედანზე აღმარ
ლ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ —
. **ლავრენტი ბერია,** საქართვე
ს სტუმარი, საკავშირო მთავრო
ერთ-ერთი ხელმძღვანელი — სა
შირო სახკომსაბჭოს თავმჯდომა
მოადგილე ამხ. **მეჟლაუკი,** ამხ.
**დრიავცევი, ვ. ბაქრაძე, გ. არუ
ნოვი, მ. გობეჩია,** არმიის მეორე
ნგის სარდალი ამხ. **ლევანდოვსკი,
ნიორაძე, კეკელია, გ. ყურულა
ლი, გ. გიორგობიანი, აბალაძე,
ქაცარავა, ხ. მილშტეინი** და სხვ.
ტიისა და მთავრობის ხელმძღვა
ებს მოეყარათ აქ თავი, რომ მი
ებოდნენ ჩვენს ახალგაზრდო
რომ მისალმებოდნენ მათ ბედ
რებს, ჯანსაღებს, ენტუზიას
.

დემონსტრაცია დაიწყო ფიზ
ლტურელთა კოლონების გავლით.
თა რაზმები სცვლიან ქალ-ფიზ
ტურელთა გუნდებს, მზით შე
ხულნი, მავარკუნთებიანი და
ნით სავსენი.

ზკულტურელები თაიგულებით
პინძლდებიან ამხ. ბერიას და
მეჟლაუკს.

ზკულტურელთა კოლონებს
ყვებ პიონერები. ნორჩი, პირ
რე, წითელ ყელსახვევიანი
ბიჭები ისე მწყობრად, ისე
ხად, ისე კოხტად მიდიან, თით
ისინიც გავარჯიშებული ფიზ
ტურელები იყვნენ. წინ მედრო
მიუძღვით. რა სამკაულია,
რიგებს რომ არ ამშვენებდეს!
ან მორთულ ავტომობილებით,
სიპედებით, იმპროვიზებული
მფრინავებით მიაქვთ ყვავილე
დროშები, პლაკატები და ბელა
სურათები. ბავშვური აღფრთო
ბა, სიხარული და აღტაცება
ას" ძახილად ჰქუხს ტრიბუნას
მათი მიახლოებისთანავე.

გაუმარჯოს საუკეთესო სტა
ლს — ლავრენტი ბერიას! სა
ჩვენს სტუმარს ამხ. მეჟლაუკს!
გ. გიორგობიანი დაუღალავად
პახის ტრიბუნის წინ მიმავალ
წერთა კოლონებს სხვადასხვა

ლოზუნგების ძახილში ინთ
პიონერები ყვავილებს ესვრიან
ბუნაზე მდგომთ. დროგამოშვ
პატარები გამოხტებიან ხ
მწყობრიდან და თაიგულებს
დებენ ამხ. ბერიას და მეჟლაუკ
აგერ, პატარა გოგონამ თაიგ
მიუცურცულა „საყვარელ
ამხ. ლავრენტი ბერიას. ტრიბ
თან მიახლოებისთანავე პ
გოგონა, ამხ. ბერიამ აიყვა
მიუალერსა მას. აღფრთოვანებ
პატარა, თითქოს ფრთებშე
ლიაო, შურდულივით გაქანდა
ხაგებისაკენ...

მაგრამ ეს ყველაფერი შესა
იყო და გამარჯვებული ქ
ბედნიერი ახალგაზრდობის
ზეიმი მხოლოდ ახლა იწყებ
დროშების ტყემ დაფარა
ქტრონის სინათლე კომინტ
ქუჩაზე. ლენინის რაიონის ა
გაზრდათა მედროშეებს უკან ო
ტრი აფრქვევდა მარშის — „
ლია ჩემი სამშობლოს" მო
ერთად თავმოყრილი ახალგაზ
ბის კოლონებმა გაავსეს კომი
ნის ქუჩაც და გაჩირაღდნე
მოედანიც. საფრენოსნო, საპ
რო, საპარაშუტო სკოლების მ
ლეები, მუშა-პილოტები, სა
ვანი სტახანოველები, წვევამ
ბი, ყველა პროფესიის, ყველა
ნების ახალგაზრდობა გამოსუ
ამ დღეს ქუჩაში ახალგაზრდა
ტერნაციონალური ძმობის და
ტურებლად.

მწყობრად და დარაზმულად
რეს ტფილისის ახალგაზრდებ
დღეს დემონსტრაციაზე ქ
ყველა რაიონიდან. ჩვენი ქვ
დიადი საბჭოთა კავშირის სიმ
და უძლეველობა მოსჩანდა
სვლაში.

120 ათასზე მეტმა ახალგა
მიიღო დემონსტრაციაში მონა
ობა. დემონსტრაცია ღამის 1
თამდე გაგრძელდა.

◇ ◇

მარცვლეულის ლ

25 აგვისტოსათვის, საქმიწსახკომის ცნობებით, გალეწილი იყო 212.115 ჰექტარის მოსავალი (გეგმის 52,8 პროცენტი). საბჭოთა მეურნეობებს გალეწილი ჰქონდათ 18.233 ჰექტარის მოსავალი (გეგმის 91,3 პროც.), კოლმეურნეობებს — 154.298 ჰექტარისა (55,8 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებს — 39.584 ჰექტარისა (37,6 პროც.). ცალკე რაიონების მიხედვით ლეწვის მდგომარეობა ასეთ სურათს იძლევა. **ახალქალაქის** რაიონს გალეწილი ჰქონდა 516 ჰექტარის მოსავალი (გეგმის 2,1 პროც.), **ბოგდანოვკისას**—81 ჰექტარისა (0,2 პროც.), **ახალციხისას** — 4.206 ჰექტარისა (42,7 პროც.), **ადიგენისას**—848 ჰექტარისა (11,1 პროც.), **ასპინძისას**—1.719 (18,5 პროც.), **ხაშურისას**—14.790 (68,1 პროც.), **გორისას**—14.151 (67,3 პროც.), **კასპისას** — 4.494 (39,4 პროც.), **ბორჯომისას**—849 ჰექტარისა (28,9 პროც.), **გურჯაანისას**—14.797 (79,6 პროც.), **სიღნაღისას**—43.930 ჰექტარისა (96 პროც.), **თელავისას**—18.666 ჰექტარისა (82,4 პროც.), **ყვარლისას**—7.940

(64,5 პრო
ჰექტარისა (
სას—14.609
—2.135 (70,
—5.357 ჰექ
**ლუქსემბურგ
წალკისას** —
პროც.), დ
პროც.), ალ
პროც.), ხაგ
პროც.), ბაშ
სა (0,6 პრო
(7,9 პროც.
14.302 (79,3
104 (91,2 პ
1070 (100
175 ჰექტარ
თურისას—5.
ჯონიკიძისას
ონისას—1.24
ლაურისას—2
ცაგერისას—3
ცნობები ა
ვის, ადიგენი
ლაგოდეხის,
ნების შესახებ
ხოლო ყვარლ
კი — 15 აგვ

◇◇

30.000 მნახველი ერთ

შესრულდა ერთი თვე მას შემდეგ, რაც ტფილისში გაიხსნა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" მიძღვნილი გამოფენა საქართველოს მხატვრების ნიმუშევრისა. გამოფენაზე შეჯამებული ცნობების მიხედვით, განვლილი ერთი თვის განმავლობაში ეს გამოფენა დაათვალიერა 30.000-ზე მეტ მნახველმა.

გარდა ერთპიროვნული მნახველებისა, გამოფენაზე მოსულა 350-მდე ჯგუფი, როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, ისე საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეებიდან

და უცხოეთი
კოფების დას
კულან — ე
დან, ბაქოდან
თომიდან,
ორჯონიკიძი
დან, ხარკოვ
ქეთიდან, სტ
კიდან, ლენინ
დონბასიდან,
უცხოელ ტ
ლაუთველი
მერიკელებ
ლებს, ფრანგ

ოციალისტ
ინილბე
და მო
ლი ჩვენს
მოზარდი
აღზრდის

(ბ) ალბუ
მა გამოა
გარიცხვა
სოფლების
მან ჩა
ის მზადე
კონტრრე
ულ საქმია
განათლების
მოზარდი
ური შზა
მაგალითი
ავალებს
ლთვის და
მინილბული
შანთით

ში ყველას
ბა. ამ უფ
თა მოქალა
კონსტიტუ
ჯყანაში შე
მოზარდი
მშენებელი
სტალინუ
განათლების
სწავლებელს
პასუხსაგები
ურად, სტა
ნ მას.
ვესწავლოთ
ვენი სოცია
სახელოდ.
ელისა და
ტალინის სა

ლსათვის"
ლებაში,

გაუმარჯოს ახალგაზრდობის XXII საერთაშორისო დღეს!

ახალგაზრდა სტახანოველები. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. შალვა ერაძე (ავტოსარემონტო ქარხნის № 8-ის კომკავშირელი მუშა, რომელიც ავიდა მყინვარწვერზე, დაჯილდოვებულია საბჭოთა კავშირის ალპინისტის ნიშნით), თამარა კონკურეცვა (მაუდის ფაბრიკა), ლუდმილა წერეძე (ავტოსარემონტო ქარხანა № 8), ალექსანდრე ბლიკოვი (კიროვის სახ. ქარხნის კომკავშირელი მუშა), ნინო დოლიძე (მაუდის ფაბრიკა), ტანია კოშკალო, სერგო ჯარიაშვილი, ვლადიმერ რუტუ (ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის მოწინავე კომკავშირელი მუშები) და გიორგი ფილატოვი (ამავე ქარხნის მუშა, რომელიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობს ფრეზისობის კურსებზე). ფოტო კოგანის

ჩვენი მგზნებარე ახალგაზრდობა

ალ. გვინჩიძე

სიჭაბუკის მგზნებარე ცეცხლი ანთია ახალგაზრდების გულში, გაბედულად და სიხარულით სძგერს ახალგაზრდობის გული დიდი საბჭოთა სამშობლოსათვის, მისი ძლიერებისთვის.

ამხ. ბერიას სახ. ვაგონების შემკეთებელი ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია ნამდვილად ჩადგა სათავეში ამ მგზნებარე ადამიანებს, დარაზმა ისინი სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის წარმატებათა მოპოვებისათვის, მათი ენერგია, მთელი ძალღონე მიმართული იქნა ლენინ-სტალინის დიდი საქმის განხორციელებისაკენ.

ქარხანაში 250 კომკავშირელი და 483 კავშირგარეშე ახალგაზრდა მუშაობს. ენტუზიასტთა ეს დიდი რაზმი მუშაობს და ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცხოვრებით და ერთი საქმით,—სოციალიზმის წარმატებებით, ბედნიერი და მხიარული ცხოვრების ახალი მწვერვალების დასაპყრობად შრომით.

ბერიას სახ. ქარხნის კომკავშირს ჰყავს მოწინავე ახალგაზრდების მთელი პლეადა. ქარხნის 130 კომკავშირელიდან (რომელიც დაზგებზე მუშაობენ) ამჟამად 102 საუკეთესო სტახანოველია, ხოლო დანარჩენი დამკვრელები არიან. არც ერთი არ არის ისეთი კომკავშირელი-მუშა, რომელსაც გეგმის შესრულება 100 პროცენტზე ნაკლები ჰქონდეს.

კომკავშირის მე-10 ყრილობის შემდეგ განსაკუთრებით გაუმჯობესდა კომკავშირის ორგანიზაციის მზრუნველობა სტახანოველთა მიმართ. ამჟამად კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა მასობრივად ჩაებნენ სტახანოვურ მოძრაობაში. ამხ. ბერიას სახ. ქარხნის ყველა საამქროში „დაიბადნენ" ახალგაზრდა სტახანოველთა ახალი კადრები, რომლებიც საამაყონი არიან არა მარტო კომკავშირისათვის, არამედ მთელი ქარხნისათვის. ვინ არ იცნობს სამგზავრო საამქროს ახალგაზრდა სტახანოველს ამხ. შ. სუხიტაშვილს, რომელიც გეგმას 220—240 პროცენტით ასრულებს. მასთან ერთად იცნობენ მოწინავე სტახანოველს ზეინკალს ამხ. პოსელენოვს, რომელმაც ივლისის გეგმა—350 პროც. შეასრულა. საბარგო საამქროს კომკავშირელი ვ. ერმაკოვი, გარდა იმისა, რომ გეგმას სისტემატიურად 240 პროცენტით ასრულებს, საუკეთესოდ მუშაობს საამქროს კედლის გაზეთის გამოცემაზე. აქტიურად მუშაობს კომკავშირის კომიტეტში (წევრია კომიტეტისა). ამავე საამქროს კომორგი ამხ. შალვა სულხანიშვილი ყოველმხრივ კარგ მაგალითს აძლევს თავის ორგანიზაციის წევრებს. იგი გეგმას სისტემატიურად 318—320 პროცენტით ასრულებს. ამავე დროს სამაგალითოდ აქვს დაყენებული პოლიტმასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციის წევრები არიან საუკეთესო სტახანოველი — კომკავშირლები, რომლებიც სარეკორდო მაჩვენებლებს აძლევენ გეგმების შესრულების მხრივ. ახალგაზრდა ზეინკლებმა ამხ. ლეჟავამ და ჩიჩინაძემ ივლისის გეგმა 652 პროც. შეასრულეს. სადურგლო საამქროს კომკავშირის ორგანიზაცია არ ჩამორჩება სხვებს; კომკავშირის ჯგუფორგი ამხ. როზა მარქარაშვილმა ივლისის გეგმა—330 პროც. შეასრულა, შ. ვაშაკიძემ—203 პროც. ახალგაზრდა ხარატებმა ალექსი ცქალაძემ და პ. სუხიტაშვილმა ივლისის თვის გეგმა 360 პროცენტით შეასრულეს. აქ მრავალნი წარმატებულნი სახელოვანი ახალგაზრდები არიან, რომელთა შესახებ შეიძლება ბევრი კარგის თქმა. მათი წინსვლა შეუჩერებელია. ყოველ ხვალინდელ დღეს ამ ახალგაზრდების ახალ გამარჯვების სიხარული მოაქვს. ეს გამარჯვებანი არ იქმნებიან თავისთავად, არამედ მათ წინ უძღოდა კომკავშირის ორგანიზაციის თავდადებული მუშაობა. მე-10 ყრილობის შემდეგ ამხ. ბერიას სახ. ქარხნის კომკავშირმა განსაკუთრებით მოჰკიდა ხელი სწავლების საქმეს, სწავლა, სწავლა და სწავლა! აი ეს იყო და არის მათი მთავარი საზრუნავი. გარდა იმისა, რომ აქ მუშაობს 6 პოლიტწრე, ყველა საამქროში მოწყობილია აგრეთვე ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები (60 კომკავშირელი სწავლობს ტექწრეებში). კომკავშირის თაოსნობით სრულიად იქნა გამოვლენილი და ალიკვიდებული წ.-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე ახალგაზრდა ქარხანაში. მოწყობილი იქნა წ.-კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, სადაც ამჟამად ჩაბმულია 160 ახალგაზრდა. ხოლო საშუალო ცოდნის მისაღებად წარმოებიდან მოუწყვეტლივ მიღებულია სპეციალურ კურსებზე 50 მუშა—ახალგაზრდა.

კომკავშირის ორგანიზაციამ გამოზარდა საუკეთესო პროპაგანდისტები, რომელთაგან მრავალი მუშაობს კომკავშირის პოლიტწრეების პროპაგანდისტად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბერიას სახ. ქარხნის კომკავშირმა სამხედრო თავდაცვისა და ავიაციის კადრების გამოზრდის მხრივ. ჯერ კიდევ 1935 წელს კომკავშირიდან მფრინავთა კურსებზე გაიგზავნა აქტივისტი კომკავშირელი ქალი ოლღა გრიგოლოვსკაია, რომელიც წლის ბოლოს დაამთავრებს კურსებს. ოლღა საუკეთესოდ სწავლობს, კომკავშირის ორგანიზაციას ის ხშირად სწერს წერილებს თავისი წარმატებების შესახებ: „მე უკვე დამოუკიდებლად დავფრინავ"—სწერს ის კომკავშირლებს.

იზრდებიან მამაცი, გამბედავი ახალგაზრდები, ეცნობიან სამხედრო საქმეს, ახალ ტექნიკას, სწავლობენ მარქს-ლენინ-სტალინის თეორიას და ამრიგად ემზადებიან ბოლშევიკური პარტიის წევრობისათვის...

ახალგაზრდობის მე-22 საერთაშორისო დღეს ბერიას სახ. ქარხნის კომკავშირლები და კავშირგარეშე ახალგაზრდები მნიშვნელოვანი წარმატებებით და ახალი მიღწევებით ხვდებიან.

— ბედნიერი, ენერგიით სავსე ახალგაზრდობა მხიარული ცხოვრების ზეიმით და სიხარულით აღტყინებულნი აღზნებული ხმით უმღერიან დიადი ცხოვრების მესაჭეს:

ახალგაზრდობის მადლობა მშობლიურ სტალინს. მადლობა ბედნიერი და მხიარული ცხოვრებისათვის.

◆

ახალი რეკორდები

ჭიათურა, 30 აგვისტო. (ჩვენი კორ.). ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მოწინავე ადამიანებმა სტახანოველთა მოძრაობის წლისთავთან დაკავშირებით ახალი ნორმების შესრულებაში რეკორდი დაამყარეს და გამარჯვებულნი გამოვიდნენ სტახანოველთა მესამე რაიონულ შეკრებაზე.

29 აგვისტოს სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა გინადი მეცხვარიშვილმა მადნის მონგრევისა და დატვირთვის გეგმა 400 პროცენტით შეასრულა. ამხ. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს სტახანოველმა კოლია გაფრინდაშვილმა 491 პროც. მარგანეცის გამამდიდრებელი ქარხნის მადნის დამხარისხებელმა აკაკი გურულმა დღიური გეგმა 322 პროცენტით შეასრულა. გამარჯვებით შეხვდნენ სახელოვან წლისთავს დანარჩენი სტახანოველებიც.

ს. იბრალიძე.

ხვალინდელი დღის რწმენა

ქ. აქბარდია

იგი დაიბადა სოფ. მლეთში. ის იზრდებოდა განახლებული ქვეყნის ლაღი ბუნების მკერდზე, მას სმენას და თვალს ხიბლავდა ვერცხლისებური ნაკადულის ხმაური; ცქრიალა გოგონა ბუნების თავისუფალ სამეფოში ტკბებოდა ტყის ფრინველების მომხიბლავი ჭიკჭიკით. ბუნების ამ ჰარმონიულობას შებინდების ჟამს უერთდებოდა ნახირის ბღავილი...

იგი წამოიზარდა.

— დედი, იცი, რა მსურს. მე აუცილებლად მქსოველი უნდა გამოვიდე... ქარხანაში წავალ და ქსოვას ვისწავლი, — არ აძლევდა მოსვენებას მარო თავის დედას.

— კარგი, შვილო... დღეს მზე თქვენთვის ანათებს. აბა, შენ იცი, თუ არ დაივიწყებ მოხუც დედას...

მარო ბეღდულს ნატვრა აუსრულდა, იგი 1933 წ. მოეწყო ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში. აქედან იწყება მისი ცხოვრების ახალი ხანა. ბეჯითად და მუყაითად მუშაობდა ეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდა გოგონა... ის კომკავშირშიაც მიიღეს. ღრმა შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახდა მისი ცხოვრება...

დაიწყო სტახანოვური მოძრაობა. ქარხნის მომუშავეები ეჯიბრებიან ერთმანეთს სტახანოვური მეთოდის დაუფლებაში. მაროც ებმება წარმოების ამ რიტმიულ ფერხულში.

მაროს სტახანოვური მეთოდის დაუფლებისათვის სწავლა დასჭირდა, მას უნდა სცოდნოდა მანქანის მთელი საიდუმლოება, ის „ინჟინერულად მოაზროვნე" ადამიანი უნდა გამხდარიყო, რომ მთელ ქარხანას მასზე ლაპარაკი დაეწყო. სტახანოვური მეთოდით მუშაობამ გაამდიდრა მისი გონების ჰორიზონტი ცოდნის ახალი დარგებით.

— ახალგაზრდობის მე-22 საერთაშორისო დღის მზადებასთან დაკავშირებით პირობა დავდე, რომ პირველი სექტემბრისათვის ჩემს ჯგუფში ყოველი კომკავშირელი სტახანოველი იქნებოდა. ეს პირობა ადრე შევასრულეთ. პირველ სექტემბერს მთელი ჯგუფი სტახანოვური შემადგენლობით ხვდება, — ამაყად აცხადებს მარო.

ქარხანაში მაროს იცნობენ, როგორც კარგ მსროლელს... მან სამხედრო ქიმიის გამოცდაც ჩააბარა. ის ემზადება თვითმფრინავიდან ჩამოსახტომად.

რამდენი ღამე გაუთენებია მაროს პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის კითხვაში.

— ძალიან მიტაცებს ისეთი ნაწარმოები, სადაც მოცემულია თანამედროვე ადამიანის არა მარტო საწარმოო ცხოვრება, არამედ სიყვარულიც, განცდები, მისი ტემპერამენტი. ასეთი ნაწარმოების კითხვა ისე გამიტაცებს ხოლმე, რომ ხშირად დაძინებაც მავიწყდება, — ლაპარაკობს მარო.

მას წიგნის თაროებს ამშვენებენ აკაკის, ილიას, ოსტროვსკის, დანტეს, რუსთაველის და სხვათა ნაწარმოებები. იგი სამკითხველოს აქტიური წევრია, საიდანაც სარგებლობს პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

განუსაზღვრელია მაროს პერსპექტივები და მიზნები. და განა შეიძლება პერსპექტივებს საზღვარი ჰქონდეთ იქ, სადაც ისინი ნათელია და გაგებული, სადაც მიზანი შებოჭილი არ არის საგანთა ბატონობის ბურუსით. მაროც გატაცებულია მძლავრი მისწრაფებებით, იბრძვის, რომ საქმე წინ წასწიოს, გაიზარდოს იდეურად, დაეუფლოს ტექნიკას.

მარო მუშფაკის მე-3 კურსის ფრიადოსანი სტუდენტია.

— მე მსურს სწავლა და ვისწავლი კიდეც. ამაში ყველა პირობა მიწყობს ხელს.

მარო ისწავლის და ცოდნას შეადუღაბებს საწარმოო ცხოვრებასთან. მას გზა ხსნილი აქვს.

— მარო, რაში ხარ ყველაზე უფრო დარწმუნებული? — შევეკითხე მე.

— რაში? ყველაზე უფრო აწმყოსა და ხვალინდელი დღის ბედნიერებაში ვარ დარწმუნებული. რადგან ხვალ კიდევ უფრო უკეთესი მომავალი ელის მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას და მათ შორის მეც.

და ამ თქმაში მარო არ შემცდარა. ბედნიერი მომავალი აქვს მაროს. და განა მარტო მაროს. მთელი ქარხნის, მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ასეთ ბედნიერებას განიცდის გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც სტახანოვური მოძრაობა ამზადებს პირობებს კომუნიზმზე გადასასვლელად.

ჩვენი თაობის გაზაფხული

ვარლამ ქურული

როგორც შუილი
კლდეებთა ხანჯრის,
ან ბორცვ ფერდება
ბილიკი ხაპრის,—
ისე მოვდივართ,
სიცოცხლეს გასცქერის
ახალგაზრდობა
ცაში რომ აკრის.

ჩვენ ვართ ფურცლები
სტალინის ტომის,
ვართ ერთგულივით
ხალხის კოლექტივ.
ჩვენ გვაქვს მხნეობა
პალესტრობის,
სული გრიგალურ
ამაღლებული.

ქოხში ვისმენდით
ტკბილ იავნანას,
ახლა ალიონს
ვხედავთ, ვეხებით.
ვლოცავთ მზესთანაც
დროშის ატანას,
ცის შევარდნები,
მტერს ვუტევებთ.

დრომ სიხარული
გულს დაიკარა,
დრო გვემღერის, როგორც
ერთი ნუგეში.
რომც გვანათის
თმაში ჭაღარამ,
ჩვენ ისევ შევალთ
სიჭაბუკეში.

როგორც ტბის პირად
შრიალი ლერწმის,
ან სიმკვირცხლე
ვარდის ნამისა, —
გულს ხურავს,
დაჭკნობ გვაწვავს
ვით ცას ვარსკვლავი
შეუნდობნა.

დარგებს მოვყავართ
უცხო მხარეში,
გვესმის გოდება
სამხრეთიდან.
ცრემლიც სისხლია
მე სამარეში.
მუწყუ ტელმანის
ბედს რომ სტიროდა.

სადაც მაინც
გაზაფხულს ჰქონდა,
იქ უკვე დაჰკრეს
ბალში იანი.
ბნელ ჯურღმულიდან,
ცეცხ საკნიდან
ხმამაღლა ყვირის
ადამიანი:

— შხამით ვეწამლავენ,
გონს არ ვკრებით,
გულს კი კოცნით
ებრძოლებათ;
გადაცანტურებით
მშობლებთა მტრები,
საფლავი ჩუმს
მტრის შებრალება!—

როგორც შხაპუნი
სისხლიან დოლგმის,
ან ელვარება
სიკვდილის ცელთ,—
დადგება ვამი
პირისპირ შეხმს,
ახლა ვართ ომში
მრისხანე წელთან.

ჩვენ ხომ არასდროს
გვინდომებია
სადმე აგვენთო
ომის ხანძარი?!
შორით გაბედავ
კვლავ ომება,
გააქვთ ქალაქებს
გრგვინვა, ზანზარი.

ჩვენ ხომ ციმბირის
ყრუ სადგურებში
არ გაგვივლია
ბორკილთ ჩხარუნი!
ხალხის ჯალათის
განადგურებით
დრომ ჩაგვაბარა
ზღვა სიხარული.

ჩვენ აქ მოვედით
ახალ მერცხლებად,
როგორც სამშობლოს
ნატვრა, ნუგეში.
რომც შევსაროს
თმის შევერცხლება
გული კვლავ შევა
სიჭაბუკეში.

როგორც ტყეებში
ავარდნა ალის,
ან ჩირაღდნული
ხანძარობა,—
დგას თეთრ თმობერობელად
ხმლიანი, წყლის
ცაში ასული
ჩვენი თაობა

სული მკვეთ ღილვას
პალასტრონს,
მუდამ მებრძოლი,
ამხედრებულ".
ჩვენ ვართ ფურცლები
სტალინის ტომის
ყველანი ერთად—
ქვეყნის კრებული.

ახალი ბინები სტახანოველებს

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია ფართო მშენებლობა. წელს მესამე კვარტალში მზად იქნება 9 ახალი სახლი 54 ბინით. ბინებს მისცემენ საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო სტახანოველებს.

ამას წინათ საბჭოთა მეურნეობაში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაგა 35 ბავშვისათვის. კაპიტალურად შეაკეთეს კლუბი, რომელშიაც ეწყობა ხმოვანი კინო. ეწყობა აგრეთვე საკუთარი სატრანსლაციო რადიოკვანძი.

მუშათა დასასვენებლად პლანტაციებში აშენებენ საპლანტაციო ფარდულებს.

◆

მზადება კონვერსიისათვის

25 აგვისტოსათვის ტფილისში აღრიცხული იყო 68.500 ათასი მანეთის სესხის ობლიგაციები, რომლებიც უნდა გადაიცვალოს ახალი სესხის ობლიგაციებზე. უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ობლიგაციების აღრიცხვა დაიწყება სექტემბერში.

ობლიგაციების გამოცვლა ტფილისში იწყება 1 ოქტომბერს, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში 1 ნოემბერს.

ობლიგაციების კოლექტიური გამოცვლა ორგანიზაციების მიხედვით იწარმოებს 10 შემნახველ სალაროში. დანარჩენი 24 შემნახველი სალაროები გამოსცვლიან იმ ობლიგაციებს, რომლებიც შესანახად აქვთ ჩაბარებული.

შემნახველი სალაროები გაცხოველებით ემზადებიან ამ პასუხსაგები მუშაობისათვის.

◆

რუსულ-ქართული ლექსიკონი

რუსულ-ქართული ლექსიკონის და ქართული ენციკლოპედიის ბეჭდვა, რომლებიც „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" რედაქციით გამოდის, წარმატებით მიმდინარეობს.

60 ნაბეჭდი ფორმიდან, რასაც შეადგენს რუსულ-ქართული ლექსიკონის მოცულობა, უკვე დაბეჭდილია ნახევარზე მეტი (40 ნაბეჭდი ფორმა) ასო—„პ"-მდე.

სხვა ამგვარ გამოცემისგან განსხვავებით, ლექსიკონი მდიდარია ფრაზეოლოგიით, ე. ი. რუსული ენის სპეციფიკური გამოთქმებით ქართულ ორიგინალურ გამოთქმებთან შედარებით. რაც არ არის ჩუბინაშვილის, აბულაძისა და აბელიანის წინათ გამოცემულ ლექსიკონებში.

30 ნაბეჭდი ფორმიდან, რომელსაც შეადგენს ასო „ა" (ენციკლოპედიის პირველი ტომი) უკვე დაბეჭდილია 20 ფორმა.

ენციკლოპედიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს რაიონებს, რომლებიც მასში ძლიერ ფართოდ არიან წარმოდგენილი (საერთო ცნობები, ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, ეკონომიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები). საქართველოს რაიონების ფერადი რუკები უკვე დაბეჭდილია.

სტატიებს ენციკლოპედიისათვის სწერენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპეციალისტები. კერძოდ საქართველოს მეცნიერთაგან ამ მუშაობაში არიან ჩაბმულნი: მათემატიკის დარგში — პროფ. ნ. მუსხელიშვილი და ლ. გოკიელი, გეოლოგიისა — პროფ. ა. ჯანელიძე, ფიზიოლოგიისა — პროფ. ი. ბერიტაშვილი, ჰუმანიტარული დისციპლინებისა — პროფ. მ. ტოროშელიძე, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, შ. ნუცუბიძე, გ. ნათაძე, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, მ. გოგიბერიძე, ს. გოდაბრელიძე და სხვ.

ორივე წიგნი გამოვა მიმდინარე წლის შემოდგომაზე მ. ტოროშელიძის საერთო რედაქციით.

ხელოვნება

ვაინტრაუბის ჯაზის გასტროლები ტფილისში

დღეს, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში იწყება [illegible] ვაინტრაუბის ჯაზის გასტროლები. ეს ჯაზი ცნობილია მთელ ევროპაში, როგორც საჯაზო მუსიკალური ნომრების ვირტუოზულად შემსრულებელი.

ზამთარში ვაინტრაუბის ჯაზის გასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა ლენინგრადსა, მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებში. გაზაფხულიდან ვაინტრაუბის ჯაზი წასული იყო საგასტროლოდ ამერიკაში, საიდანაც იგი ხელახლა მოიწვიეს საბჭოთა კავშირში. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ვაინტრაუბის ჯაზის პირველი გასტროლები იმართება ტფილისში.

ვაინტრაუბის ჯაზის ახალ პროგრამაში რომელიც შესრულებული იქნება ტფილისში, შეტანილია ჯაზ-ორკესტრისათვის სპეციალურად დაწერილი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნიც.

◆

მუშა-მსახიობის პ. თათევოსიანის საღამო

30 აგვისტოს მიასნიკოვის სახელობის კლუბი აწყობს სომეხ მუშა-მსახიობის პაველ თათევოსიანის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოს.

ამ საღამოზე თათევოსიანი ტფილისის მაყურებელთა წინაშე გამოვა სირაჯიანის მელოდრამაში — „სამი ობოლი უცხო ნაპირას".

პ. თათევოსიანი მიწვეულია სოხუმში, სომხურ დრამატულ თეატრში სამუშაოდ.

◆

საქ. დეპეშათა სააგენტოს დაარსება

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, ადსი (ამ.-კ. სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო) 1 სექტემბრიდან რეორგანიზებულია საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ საქართველოს დეპეშათა სააგენტოდ — სადს.

◆

ქ რ ო ნ ი კ ა

— მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი 1 სექტემბრიდან გადადის ახალ შენობაში (ჯორჯაძის ქ. № 4, 26 კომუნარის ბაღი).

◆

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

დღეს, 1 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება ლექცია პარტაქტივისა და პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „სამგზის საზიზღარი ტროცკისტ-ზინოვიეველები საერთაშორისო ფაშიზმის სამსახურში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეთა პროპაგანდისტებისათვის, საკითხზე — „ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ტერორისტული გაერთიანებული ცენტრი. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

◆

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ რაიკომში (შაუმიანის ქ. № 1) ამხ. კარანაძესთან პარტდოკუმენტების გამოცვლის თაობაზე:

სიდრაკ სიმონის-ძე მელიტონიანი, გრიგოლ პავლეს-ძე ტაბილოვი, ამოჯ ოსიფის-ძე ათოიანი, მანუკ ყაზარის-ძე შელიქოვი, ზაქარია ვასილის-ძე ლაშქარავა, ტიგრან პავლეს-ძე პოლოსოვი და ადამ ივანეს-ძე კოსტენკო.

◆

რედაქციისაგან.

„კომუნისტის" დღევანდელ ნომერში 10 გვერდია.

ნ. პროკოფიევი

მსოფლიო კომკავშირის გმირები

მეტად [illegible] სოფლის საკოლმეურნეო ხელმძღვანელობაში.

ამიტომ საუბნო აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ვეტექიმს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გარს უნდა შემოერტყან მზრუნველობით და ყურადღებით, შეუქმნან მათ კარგი პირობები მუშაობისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა ეს სპეციალისტნი უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი უდიდეს საქმეს აკეთებენ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის; ისინი უნდა გრძნობდნენ კიდევ მეტ პასუხისმგებლობას თავისი მუშაობის ყოველი ნაბიჯისათვის, იმ კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის, რომელთა მომსახურება მათ აკისრიათ.

ავიღოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების მხრივ.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებს, საკოლმეურნეო ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა აკისრიათ. რაიაღმასკომები აძლევენ კოლმეურნეობებს სახელმწიფო აქტებს მიწების მუდმივი სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ; ისინი ამტკიცებენ სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმას რაიონსა და კოლმეურნეობებში; ისინი იხილავენ კოლმეურნეთა აპელაციებს კოლმეურნეობიდან მათი არასწორად გამორიცხვის შესახებ; ისინი ამტკიცებენ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების შემადგენლობას. ბევრი რაიაღმასკომი ამჟამად ამ უშუალო მოვალეობებს, რომელთაც მათ აკისრებს სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება, არ ასრულებს.

რაიაღმასკომის თავმჯდომარეებმა უნდა შეიგნონ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება მათ აკისრებს პასუხსაგებ ამოცანებს კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში და ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი მათ სწრაფად უნდა აღმოფხვრან.

საჭიროა გაძლიერებულ იქნას სასოფლო საბჭოების როლი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობასა და დახმარებაში

[illegible] დადგენილებათა საფუძველზე, როგორც თქვენ იცით, ჩვენ მოვახდინეთ სამიწათმოქმედო ორგანოების გარდაქმნა. საქართველოს მიწსახკომში შეიქმნა საწარმოო ტერიტორიული და დარგობრივი სამმართველოები.

მიწსახკომის აპარატის გარდაქმნამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას მისი მხრით ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. მაგრამ მიწსახკომის მუშაობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლაც ბევრი ნაკლი მოიპოვება.

მიწსახკომის აპარატში კოლმეურნეობათა საკითხებს ამჟამად უძღვება ორი საწარმოო ტერიტორიული სამმართველო — მარცვლეულისა და სუბტროპიკული. მიწსახკომის დანარჩენი სამმართველოები კი, წარმოადგენენ რა დარგობრივ სამმართველოებს, ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობათა საკითხები მათ სრულებით არ ეხებათ.

ასეთი მდგომარეობა სრულიად არასწორია და შეუწყნარებელი.

უშუალო ხელმძღვანელობა შემდეგშიაც უნდა დარჩეთ საწარმოო-ტერიტორიულ სამმართველოებს. მაგრამ, თვითეულმა დარგობრივმა სამმართველომ სოფლის მეურნეობის თავისი დარგის განვითარებისათვის მთელი თავისი მუშაობა უწინარეს ყოვლისა უნდა ააგოს კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანების საფუძველზე.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საწარმოო - ტერიტორიულ სამმართველოშიც კი — მარცვლეულისა და სუბტროპიკულ სამმართველოებში, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე მუშაობენ ეგრეთწოდებული სამმართველოთა უფროსების თანაშემწენი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ხაზით (სუბტროპიკულ სამმართველოში — ცინცაძე, მარცვლეულის სამმართველოში — ქანთარია). მათ მარცვლეულისა და სუბტროპიკული სამმართველოების დანარჩენი მუშაკები კი, სხვა სამმართველოებს რომ თავი დავანებოთ, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე სისტემატიურად არ მუშაობენ.

რის სომაიემ — თიდა ლაპორტემ — მოჰკიდა ხელი თავის ტყვიამფრქვევს და წამოიძახა:

— ამხანაგებო, ცეცხლი ამ საზიზღრებს! წინ რევოლუციისათვის!

სოფლის პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გადიდებას. მაგრამ, კოლმეურნეობათა პოლიტიკური განმტკიცების ამოცანები ჩვენგან მოითხოვენ კიდევ უფრო უკეთ მოვაწყოთ თვითეული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა კოლმეურნეობებში,—ხოლო იქ, სადაც სრულიად არ არის პარტიულ - კომკავშირული ჯგუფი, პირველ რიგში შევქმნათ საკოლმეურნეო აქტივის ძლიერი ბირთვი.

ჩვენ ცოტა მაგალითი როდი გვაქვს, როდესაც კომუნისტები და კომკავშირელები არა მარტო ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, საკოლმეურნეო წარმოებაში ვერ თამაშობენ ავანგარდულ როლს, არამედ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც კომუნისტები და კომკავშირელები არაჯანსაღ, წამლეკველურ და კოლმეურნეობის საწინააღმდეგო განწყობილებებს მეთაურობენ.

ეს მოწმობს კომუნისტებისა და კომკავშირელების პარტიული აღზრდის სუსტად დაყენებას სოფლად. პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის დამთავრების შემდეგ ჩვენ ვიწყებთ პარტიაში მიღებას.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უკვე ახლავე პერსონალურად შეარჩიონ საკოლმეურნეო წარმოების სტახანოველთა გაზრდილი საუცხოო კადრები პარტიაში მისაღებად, რომ ამის საფუძველზე კიდევ უფრო გავამტკიცოთ ჩვენი სოფლის პარტიული ორგანიზაციები.

კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანები მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა ორგანოების ბრძოლის გაძლიერებას სოფლად მენშევიკური, დაშნაკური, მუსავატისტური და კულაკური ელემენტების ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური მუშაობის გამოვლინებასთან, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ძირგამომთხრელ თეთრგვარდიულ მუშაობასთან.

„...ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გაჰქარებით შეაფასა კოლმეურ-

ლი კომკავშირლები ახლაც იტანჯებიან საპყრობილეებში, ათასობით ნაწამები დახვრეტილნი და ჩამოხრჩობილნი არიან. მაგრამ ოხრანკის ვერავითარი ოსტატობა, ვერავითარი ტერორი ვერ შესძლებს პრ[illegible]

ლის შესახებ.

ვინც ფიქრობს, რომ წინათ გასახლებული კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებიდან უკანასკნელ წლებში დაბრუნებულთაგან ვინმე ახლა აღარ იმუშავებს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ, იგი [illegible]ლოდ ხელს შეუწყობს მტრის გამომთხრელ მუშაობას.

ფაქტები იმას მოწმობენ, რომ იქ, სადაც საკმარისი არ არის პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლე, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები დაუნდობელ ბრძოლას არ აწარმოებენ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ ელემენტებთან, უკანასკნელნი აჩაღებენ თავის მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას.

იმ არაჯანსაღ განწყობილებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალქალაქისა, ყაზბეგისა, დუშეთისა, ალბულაღ-მანგლისის რაიონების [illegible] კოლმეურნეობებში ამ უკანასკნელ დროს, დიდად უწყობდნენ ხელს ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური ელემენტები.

ახალქალაქის რაიონის სოფ. ერინჯიში კოლმეურნეობის დაშლა მოაწყეს გადასახლებიდან დაბრუნებულმა ყოფილმა კულაკებმა, [illegible] რაიკომმა კი ვერ [illegible] ამათი ძირგამომთხრელი მუშაობა კოლმეურნეობაში.

ასპინძის რაიონში დაიარებოდა ვინმე ქერიმ იზი ოღლი, მოიარა ქალაქის რაიონი, მოსაზღვრე სოფლები და ყველგან ავრცელებდა ჭორებს, კოლმეურნეობები ისპობა და დაიტაცეთ საკოლმეურნეო ქონება. რამდენსამე დღეს მოგზაურობდა ეს ქერიმ ყიზი ოღლი კოლმეურნეობებში და ეწეოდა კონტრრევოლუციურ ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას, ხოლო ახალქალაქის და ასპინძის რაიონის ხელმძღვანელებს არავითარი ზომები არ მიუღიათ კონტრრევოლუციონერის საიზოლაციოდ, ვიდრე იქ არ ჩავიდა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი.

საქართველოს მიწსახკომის ორგანოების მიერ ამ ბოლო დროს ქართველთა სოფლებსა და კოლმეურნეობებში გამომჟღავნებულ იქნა მთელი რიგი კონტრრევოლუციური მენშევიკური, დაშნაკური, ტ[illegible]

„თქვენ, ბატონო მოსამართლენო, არ გეშინოთ ხუთწლედის, მე კი არ მეშინის ჩემი პატიმრობის ხუთმეტი წლის" (გერმანია. კომკავშირელი რედერი. სიტყვა სასამართლოში).

„რა განაჩენიც უნდა გამოიტანონ ჩემსა და ჩემი ამხანაგების წინააღმდეგ, სოციალიზმის დიადი საქმე, მიუხედავად ყოველივესი, გაიმარჯვებს" (ბელად კაიზერი — გერმანიის კომკავშირის ც. კ-ის წევრი, რომელსაც 10 წლის კატორღა მიუსაჯეს).

„დიახ, მე კომუნისტი ვარ, ამას ვაცხადებ უშიშრად თქვენს წინაშე და საზოგადოდ მთელი მუშათა კლასის წინაშე" (რუმინეთი. კომკავშირელი ვასილი კიგი. სიტყვა სამხედრო სასამართლოში. მისჯილი აქვს 20 წლის კატორღა).

::: მილკა სტეფანოვა ბულგარელი 20 წლის ფეიქარი ქალი—აქტიური კომკავშირელი მებრძოლი იყო წარმოებაში. პროვოკატორის დასმენით იგი დააპატიმრა ოხრანკამ. ვერავითარმა ტანჯვა-წამებამ და დაცინვამ ვერ გასტეხა იგი. პოლიციამ ვერაფერი დასტყუა ამხ. სტეფანოვასაგან და წამების ახალი სახე მოიგონა. სტეფანოვა ჩასვეს ტომარაში, შემდეგ ეს ტომარა მიაკრეს ძელს და ჩაუშვეს ზღვაში. ამის მიუხედავადაც ოხრანკამ ერთი გამცემლური სიტყვაც ვერ მიიღო მილკასგან.

::: საას გრუზდანოვი—23 წლის მუშა. აქტიური ამხანაგი,— პირველად დააპატიმრეს როცა 17 წლისა იყო. 3 წელს საპატიმროში იჯდა. განთავისუფლების შემდეგ ხელახლა აქტიურად მუშაობდა ბულგარეთის კომკავშირში. იგი გაიწვიეს არმიაში, იქაც განაგრძობდა რევოლუციურ მუშაობას. ამისთვის მთელი პოლკის დასანახად წკეპლავდნენ ზურგით. საასი ხელმეორედ დააპატიმრეს და 30 დღის განმავლობაში ოხრანკა მხეცურად აწამებდა მას, მაგრამ ვერავითარი ჩვენება ვერ დასტყუა. შემდეგ მას მიუსაჯეს 13 წლის კატორღა.

...მიტკა სტოიანოვის — 25 წლის კომკავშირელის—ბინა გაჩხრიკეს 30 აპრილს ღამით. პოლიციამ იპოვნა წითელი დროშა, რომლითაც იგი აპირებდა დემონსტრაციაზე გასვლას. ოხრანკაში იგი აწამეს, თმები დაავლიჯეს, სცემეს, ჩაუმტვრიეს ნეკნები, მაგრამ მან ერთი ამხანაგიც არ დაასახელა, ერთი სიტყვაც არ ამოღერა...

შეგვეძლო მოგვეყვანა ათასობით მაგალითები იმ ახალგაზრდობის გმირობისა, სიმამაცისა და თავგანწირვისა, რომელიც იბრძვის ბედნიერი ცხოვრებისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხნი რომ სტკბებიან. საერთაშორისო ახალგაზრდობის მე-22 დღეს მსოფლიო კომკავშირი გამოდის ლენინ-სტალინის დროშით ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცებული, ალსავსე მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მთელი თავისი ენერგია, მთელი ძალ-ღონე და, თუ საჭიროა თავისი ახალგაზრდული სიცოცხლეც შესწიროს ბრძოლას ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმის, ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ცირკი"
დამკვრელი სახ. ხაზ.-გზ. ს. ხ. მთ. 7, 8-50, 10-40	ახალი ხმოვ. ფილმები 1) სტალინური მარშრუტით, 2) ახალგაზრდობა, 3) მოჯირითის თოჯასწავლა
კომკავშირელი სახ.-სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. სურათი „მხიარული ახალგაზრდობა" ახალი დამატებით
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-45, 8-45, 10-45	დიდი ხმოვანი ფილმი „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ"
სახაფხ. „ითერი" 8-30, 10-30	ხმოვ. ამერიკ. მხატვრ. ფილმი „ახალი დროება" ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.
26 კომ. სახ. 8-30, 10-30	
კომინტერნი სახაფხ. 8-30, 10-30	ხმოვანი კომედია „მხიარული ახალგაზრდობა"

დამწუხრებული ძმები: მელქო და მიხა არევაძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს საყვარელი დის
რიმა არევაძის
გარდაცვალებას, დაკრძალვა ტფილისში 3 სექტემბერს, 5 ს. გამოსვენება სტროლკოვის, 13. 15875

კლიმენტი გოგიავა ცოლით ვალიათი და შვილით ზურიკოთი იუწყება საყვარელი
რეზო ჩაჩავას
უდროოდ გარდაცვალებას. 158

დამწუხრებული ქმარი ილიკო, შვილები: გრიგოლ, ანგელინა, კოტე, ვალიკო, ბიჭიკო, რძალი მარუსია შაინოვები იუწყებიან
ლიზიკო ბესარიონის-ასული ბუკია—შაინოვის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 სექტემბერს ქ. მახარაძეში (გურია). 15877

დამწუხრებული ცოლი მარიამი, შვილები: ანდრო, ნინო, რძალი ჩალა, სიძე დავით, შვილიშვილები: ლიდა, ანმარა, პავლე, ზაირა იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი
პავლე იოსების-ძე კოსტავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. დღეს. 15863

მეუღლე პლატონ გიორგის-ძე აფაქიძე, შვილი შალვა, ქალიშვილები: თამარ თეკლია, ქეთევან ფილავა ქმარშვილით, იუწყებიან.
ვასასი (ქვაჩა) პავლეს-ასული აფაქიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, მარტის, 5, 6 ს. 15862

გაუბედურებული გამზრდელი მამიდა მანია პატარაია, დედა მარო, ძმა კოლია, დები: თამარ, შურა იუწყებიან, რომ 3 სექტემბერს ფოთში ნინოშვილის სასაფლაოზე დანიშნულია ახალგაზრდა მეზღვაურის
პეტია გვიჩიას
პანაშვიდი. 15850

დამწუხრებული მეუღლე სერგო, შვილი ჩადია, სიძე ტუზა ლანდია, მაზლი ვალოდა ცოლშვილით მესხორიძეები იუწყებიან
თებრო იოსების-ასულ მესხორიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს. 7 ს. ნიკოლაძის, შეს. 5. 15861

დამწუხრებული სიძეები: ვალოდია გიორგობიანი ცოლშვილით, დიდით ალექსანდრათი, გიორგი ჰიქოძე ცოლშვილით, მეგობარი კოწია დარახველიძე ცოლით ნადიათი იუწყებიან ექიმ აპოლონ კონსტანტინეს-ძე
ცინცაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 სექტემბერს 7 ს. გურამიშვილის, 32. 60

მშობლები: კლიმენტი, ზაბილონა ბახტაძეები შვილებით, ბებია ნატალია, ბიძია მექი, ბიცოლა ბაბუცა ფარცხალაძეები შვილებით, ბებია დესპინე ბახტაძისა იუწყებიან
ქეთინო ბახტაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში 3 სექტემბერს. 15874

მშობლები: თებრო, იოვანე, ბიძები, ბიცოლები, ბიძაშვილები: ლალიკო, კატუშა, ეკა, გიგო, ვასო, მარო, ლადო, ვერა, ლუბა, იუწყებიან
ხვერენია იოვანეს-ასული ისაკაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს მუხლში (რაჭა). 15866

მამა ევგენი იოსელიანი, ძმა ტიტიკო, და ქეთინია, სიძე სილოვანი იუწყებიან
კირილეს, მისი ცოლის ვალენტინასი და შვილის ბიბის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, 2 სექტემბერს წულუკიძის მეორე შესახვევი სახლი, 2. 15871

დამწუხრებული მელქისედეკ ლებანიძე, მეუღლე მარიამ მეტეხელი-ლებანიძისა, შვილი შალვა, რძალი ფატმა ლებანიძეები იუწყებიან პირველის სიდედრის, მეორისა დედის
ელისაბედ მეტეხელის
გარდაცვალებას. გამოსვენება როვაზოვის, 5 დღეს 4 ნახ. ს. 15868

მენიკო, ქეთო და კოტე ბახტაძეები იუწყებიან მათთვის ძვირფასი მეუღლისა და მამის
ივანე სიმონის-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში 1-ლ სექტემბერს. 15857

შვილები: ოლია, კირა, გუგული, ტანია, გიგი, ვახტანგი, სიძე შალვა გენძეხაძე შვილებით, სიდედრი სალომე, ცოლისდა სონია სვანიძეები იუწყებიან, რომ 2 სექტემბერს დანიშნულია
ვიქტორ ბარნაბას-ძე ლლონტის
პანაშვიდი დიდუბეში. 15878

მთავლიტის რწმუნებული დ. 8564